პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი. ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ— ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

— დამატებითი მუნიციპალურ არჩევნებში ბესონში (საფრანგეთში) კომუნისტებმა გაიმარჯვეს.
— ამხ. ლიტვინოვის და გერმანიის წარმომადგენლის —ბერნსტორფის თათბირი ჟენევაში.
— მექსიკაში დაარსდა „რევოლიუციონური თავდაცვის ლიგა".
— ამხ. დორიოს და კურტუა 1.000 ფრ. დაჯარიმეს ანტი-მილიტარისტული წერილების გამოქვეყნებისათვის.
— კომუნისტების დევნის გაძლიერება ბულგარეთში.
— გერმანელი მუშები ესალმებიან საკავშირო კომპარტიის ც. კ.
— მოსკოვში ჩავიდა ცნობილი ამერიკელი მწერალი ლ. სინკლერი.

ხუთშაბათი, 1 დეკემბერი 1927 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 272 (2017)

კომუნისტი

მიიღება ხელის მოწერა
დეკემბრისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

პარტიის ყრილობა

საკავშირო კომპარტიის მე-15 ყრილობა ბოლშევიკურ პარტიის ისტორიაში უდიდეს ადგილს დაიჭერს. ჩვენს პარტიაში არასოდეს ასე მწვავეთ, ასე რეალურად არ დასმულა საკუთარი რიგების მთლიანობის, საკუთარი მარქსისტულ - ბოლშევიკური დროშის სიწმინდის დაცვის საკითხი.

თვით ის ფაქტი, რომ მე-15 ყრილობაზე ვერ დაესწრება ჩვენი პარტიის დღეს უკვე არა მარტო ყოფილი ზოგიერთი ხელმძღვანელები, არამედ ყოფილი წევრებიც კი—ზინოვიევი—ტროცკი — პრეობრაჟენსკი, იმის მაჩვენებელია, რო პარტიამ განსაკუთრებით განვლილ ორი წლის მანძილზე არაჩვეულებრივი შინაპარტიული ბრძოლა გადაიტანა. ამ ბრძოლიდან ლენინური პარტია კიდევ უფრო გაკაჟებული, იდეურათ და ორგანიზაციულათ კიდევ უფრო გასალკდევებული გამოდის. ლენინურ - ბოლშევიკური პარტია იზრდება, არა მარტო კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, არამედ რევოლიუციონური მარქსიზმის ყოველი სახის გამყალბებელთა და გამბათილებელთა წინააღმდეგ ბრძოლაშიაც.

სრულიადაც შემთხვევითი არ ყოფილა ის დაუსრულებელი იდეურ-ორგანიზაციული ქანაობა, რომელსაც განიცდიდა უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩვენი პარტიის ყველაზე უფრო მერყევი ელემენტები პარტ-ორგანიზაციის ყველა საფეხურებზე.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს არაჩვეულებრივ სიძნელეების პირობებში უხდება ზრდა განვითარება. ჩვენ უკვე ექვს წელზე მეტია, რაც ფეხი შევდგით მშვიდობიან აღმშენებლობის გზაზე. ნამდვილათ ეს მშვიდობიანობა პირობითი იყო იმ აზრით, რომ საბჭოთა კავშირი განვლილ ექვსი წლის მანძილზე გახუწყვეტელ პოლიტიკურ - ეკონომიურ შემოტევას განიცდიდა კაპიტალისტური სახელმწიფოების მხრივ. და ეს შემოტევა მით უფრო მწვავე ხასიათს ღებულობდა, რაც უფრო იხრებოდა გამარჯვების სასწორი საბჭოთა რესპუბლიკების მხარეზე, რაც უფრო ვიზრდებოდით და წინ მივდიოდით ჩვენ ეკონომიურათ და პოლიტიკურათ.

ასეთ პირობებში პარტიამ და ხელისუფლებამ შესძლო მეურნეობის აღორძინებითი პერიოდის წარმატებით დასრულება და სოციალიზმის გაშლილი ფრონტით მშენებლობის პრაქტიკულ ყოველდღიურ ამოცანათ დასახვა. თავისთავად ცხადია, რომ ეს მიღწევები სრულიადაც არ ნიშნავს ჩვენი სამეურნეო აღმშენებლობის სიძნელეების შესუსტებას. პირიქით, ახალი სიძნელეები იბადებიან ჩვენივე ზრდიდან. ეს სიძნელენი იმდენადვე რთული ხასიათისაა, რამდენადაც დიდი და ახალი ამოცანები ისმება ჩვენს წინაშე.

ბოლშევიკურ პარტიას არ სჩვევია სიძნელეთა წინაშე წუწუნი და მოთქმა-გოდება. ის იბრძვის მათ წინააღმდეგ. მისთვის ჩვეული თავდადებით და ღრმა რწმენით, რომ სოციალიზმის საქმე, რომელსაც მტკიცე საძირკველი ჩაუყარა ოქტომბერმა, უთუოდ გაიმარჯვებს. ამ ბრძოლაში ყველაზე მეტი სილაჩრე და უიმედობა გამოიჩინა ჩვენი პარტიის განსაზღვრულმა ჯგუფმა, შემდგარმა არა პროლეტარულ ელემენტებისაგან, რომელსაც სათავეში ჩაუდგენ ოქტომბრის ცნობილი შტრეიკბრეხერები ზინოვიევ - კამენევი და ლენინიზმის შეურიგებელი მოწინააღმდეგე ტროცკი.

როგორც ეს ხდება ყოველ პოლიტიკურ ბრძოლაში, ოპოზიციამ მხოლოდ რამოდენიმე კითხვებიდან დაიწყო და იქამდე მივიდა, რომ დღეს არ მოიძებნება პარტიულ და საბჭოთა აღმშენებლობის არც ერთი დარგი, რომელსაც ახლად მოვლენილი ვითომდა „მემარცხენე" კრიტიკოსები წუნს არ სდებდნენ. არსებითად ოპოზიციის დღევანდელი გამოსვლები, რომელიც უკვე ჩამოყალიბებულია განსაზღვრულ პლატფორმებშიც კი, მიზნათ ისახავენ პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის სრულ ლიკვიდაციას და ამრიგათ ოქტომბრის რევოლიუციის დასამარებას. რა უყოთ, რომ ოპოზიცია გამოდის ვითომ ლენინიზმის საფარ ქვეშ. ეს ყველა რევიზიონისტების და მოღალატეების თანდაყოლილი თვისებაა. ამ მხრივ საკავშირო კომუნისტური პარტიის ოპოზიცია ახალს არაფერს წარმოადგენს. მათი გაშლილი მუშაობა ყველაზე უფრო მჭერმეტყველურათ ღაღადებენ, საით უნდა ოპოზიციას წაიყვანოს პარტია.

მიუხედავათ გამწვავებულ შინაპარტიულ მდგომარეობისა, პარტიამ მე-14 ყრილობის შემდეგ ორი წლის განმავლობაში უდიდესი მუშაობა ჩაატარა. საკავშირო კომპარტიის მე-15 ყრილობას მოუხდება არა მარტო შინაპარტიულ მდგომარეობის საკითხების განხილვა, არამედ ის ჯამს გაუკეთებს იმ დიდ მიღწევებს, რომელნიც ჩვენ გვაქვს სამეურნეო და კულტურულ აღმშენებლობის დარგში და დასახავს მუშაობის ახალ ძირითად გზებს.

მთელი პარტია დიდი იმედისა და ნდობის თვალით მოელის მე-15 ყრილობის სიტყვას. ძალთა განწყობილება შინაპარტიულ უთანხმოებაში კარგა ხანია გამორკვეულია. პარტიის აბსოლიუტური უმრავლესობამ სასტიკათ დაჰგმო ტროცკისტულ პარტიის გამოსვლები. ამას მოწმობს, სხვათა შორის ის ცნობები დისკუსიის შედეგების შესახებ, რომელიც ჩვენ მოგვდის საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან. უკანასკნელი (26 ნოემბრის) ცნობების მიხედვით საკავშირო კომპარტიის ცეკას თეზისებს 666.127 პარტიის წევრიდან და კანდიდატიდან მხოლოდ 3.732 კაცმა ანუ 0,5 პროცენტმა მისცა წინააღმდეგ ხმა. ოპოზიციის უნიადაგობის მაჩვენებელია აგრეთვე ის ფაქტიც, რომ მიუხედავათ ყოველგვარ, ხშირად აშკარა ანტიპარტიულ ცდებისა, რომელთაც მიმართავდა ოპოზიცია არჩევნების დროს, ის მაინც გარიყული დარჩა. ოპოზიცია არც ერთ ადგილობრივ კონფერენციებსა და ყრილობებზე თითქმის სრულიად არ იყო წარმოდგენილი.

ოპოზიციას დარჩენია მხოლოდ პარტიის გარეთ ეძებოს თანაგრძნობა. და ეს ასედაც არის. ერთად ერთი დასაყრდენი ძალა, რომელსაც შეუძლია მიმართოს ტროცკისტულ პარტიამ, ესაა ყველა ჯურის ანტისაბჭოთა ელემენტები. ოპოზიცია ამას თვითონაც კარგათ გრძნობს. ის უკვე დიდი ხანია კავშირშია პარტიის გარეთ მდგომ ელემენტებთან, მან თავისი იდეური მამამთავარის ტროცკის პირით ამ უკანასკნელათ კიდევაც წამოისროლა ლოზუნგი: პარტიასთან აქ ძე გათავებულია, საჭიროა ავამხედროთ მასები პარტიის წინააღმდეგო. მაგრამ, როგორც ყველა სხვა შემთხვევაში, ოპოზიცია აქაც სასტიკათ მოსტყუვდა. მუშათა კლასმა უკვე გამოსთქვა თავისი აზრი ჩვენს შინაპარტიულ უთანხმოებების შესახებ. ოპოზიციის გამთიშავ მუშაობას საბჭოთა კავშირის პროლეტარიატმა უპასუხა კომუნისტური პარტიის რიგებში მასიურათ შესვლით. სულ ოციოდე დღეც თუ იქნება, რაც დაიწყო ოქტომბრის გაწვევა ლენინურ პარტიაში და დღეს უკვე 70 ათასამდე დაზგის მუშას შემოტანილი აქვს განცხადება პარტიაში შემოსვლის შესახებ.

ამრიგათ ერთად - ერთი გზა, რომელიც დარჩენია ოპოზიციას, ესაა ან გაგრძელება იმ ანტიპარტიულ - ანტისაბჭოთა ბრძოლის, რასაც ის უკვე კარგა ხანია აწარმოებს, ან სრული და გულწრფელი აღიარება საკუთარი შეცდომებისა. სხვა გამოსავალი შექმნილ მდგომარეობიდან არ არის. პარტია თავს არ მოიტყუებს მიკიბულ - მოკიბულ მონანიებითი განცხადებით, რომელსაც მიმართავდა ოპოზიცია წარსულში და ეხლაც, მე-15 ყრილობის წინ. პარტია მოითხოვს სრულ იდეურ და ორგანიზაციულ მთლიანობას, ვინც ამას არ იზიარებს, რკინის ხელით მოიკვეთება პარტიის სხეულიდან.

პარტიას არ სურს დისკუსია, მან ფაქტიურად უკვე დაჰგმო და გარიყა ოპოზიცია. მე-15 ყრილობა თავისი ავტორიტეტული სიტყვით დაადასტურებს პარტიის ამ ერთსულოვან სურვილს და შეჰქმნის მშვიდობიან მუშაობის მტკიცე გარანტიებს.

განიარაღების საკითხი

ჟენევაში გაიხსნა ე. წ. განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისიის სესია. თუ დღევანდელ უაღრესად გართულებულ საერთაშორისო მდგომარეობის დროს განსაკუთრებით საჭიროა განიარაღების საკითხის დასმა: ესევე მდგომარეობა აშკარად ხდის, რომ იმპერიალისტურ ქვეყნების რაიმე განიარაღებაზე ლაპარაკიც არ შეიძლება. პირიქით, ჩვენ კაპიტალისტურ სახელმწიფოების ინტერესთა უფრო მეტ გამწვავების, შეიარაღების ზრდის და ომისათვის მზადების მოწმენი ვართ.

პირველ რიგში აღსანიშნავია წინააღმდეგობანი ამერიკისა და ინგლის შორის. რაკი ინგლისი არ თანხმდება, რომ ამერიკა გაუთანასწორდეს მას საზღვაო ძლიერების დარგში (საზღვაო კონფერენციის ჩაშლა), ამერიკა ემყარება რა თავის უდიდეს ეკონომიურ-ფინანსიურ რესურსებს, დაჩქარებული ტემპით აძლიერებს თავის საზღვაო მშენებლობას. ამ სამხედრო ქიშპობას საფუძვლად უდევს ამერიკის კაპიტალის ბრძოლა მსოფლიო ჰეგემონიისათვის ინგლისის ხარჯზე. გამწვავებული მდგომარეობა ბალკანეთში. იტალიის (და ინგლისის) შეტევის საპასუხოთ, საფრანგეთი კავშირს კრავს სამხრეთ - სლავიასთან; თავის მხრივ იტალია „არ დარჩა ვალში" და მან სამხედრო შეთანხმება დასდო ალბანეთთან. ორივე მხარე აშკარად ემზადება შეიარაღებული თავდასხმისათვის. პოლონეთ - ლიტვის კონფლიქტი კვლავ ატარებს ომის უშუალო მუქარას და თუ ის დროებით მაინც აცილებული აქნება, ეს მიეწერება უმთავრესად საბჭოთა კავშირის ენერგიულ გამოსვლას. საერთოდ კაპიტალისტურ მსოფლიოში ხდება ძალთა გადაჯგუფება, წარმოებს სამხედრო კავშირების დადება მოწინააღმდეგე ქვეყნებს შორის. ამავე დროს, რა თქმა უნდა, გრძელდება კამპანია საბჭოთა კავშირზე თავდასხმის მოსამზადებლად.

ყველაფერ ამას აქვს ადგილი იმ დროს, როცა ჟენევაში ლიგის კომისია შეიკრიბა მორიგი ლაყბობისათვის განიარაღების შესახებ. ეს ლაყბობა თავის თავად და იმპერიალისტების გაფთრებული შეიარაღება თავის დავად—ასეთია სურათი. ჟენევის სესიის მეცადინეობა იქითკენ იქნება მიმართული, რომ რამდენადაც შეიძლება დაფაროს სინამდვილე მსოფლიოს ზევით დახასიათებულ მდგომარეობის შესახებ, გვერდი აუაროს განიარაღების საკითხის პრაქტიკულათ დასმას, ისე კი, რომ შექმნას ილიუზიები, თითქო ერთა ლიგა მუშაობას აწარმოებდეს მშვიდობიანობისა და განიარაღებისათვის და რომ ვითომ მას უნარი შესწევდეს ეს მუშაობა წარმატებით აწარმოოს. ასე ხდებოდა წინეთ. „ათანხმებდნენ" მოქიშპე სახელმწიფოთა შეუთანხმებელ თვალსაზრისებს, ღებულობდნენ ბუნდოვან რეზოლიუციებს, რომლებიც არავისთვის არ იყვნენ სავალდებულონი. საქმე ამით თავდებოდა, ხოლო შეიარაღება თავისი წესით მიმდინარეობდა.

ეხლაც შეეცდებიან ასეთ „ნაცად" გზისათვის მიმართვას. მაგრამ ჟენეველ „მშვიდობის მაყურებელთა" მთელი „უბედურება" დღეს ის არის, რომ კომისიის სესიას ესწრება მათთვის მეტად არასასიამოვნო საბჭოთა დელეგაცია. პირველ ხანებში, როცა საბჭოთა მთავრობამ თანხმობა განაცხადა განიარაღების მოსამზადებელ კომისიაში მონაწილეობაზე, ევროპის პრესა გარეგნულად თითქო კმაყოფილებით შეხვდა ამას. ამით იმპერიალისტებს სურდათ იმის „დამტკიცება", რომ ვითომ ისინი მოწადინებული არიან მშვიდობიანობას და განიარაღების საკითხის დადებითად გადაჭრას, რასაც თითქო ხელს უშლიდა საბჭოთა მთავრობა. მაგრამ რაც უფრო ახლოვდებოდა განიარაღების კომისიის სესია, მით უფრო მეტი შიში და ნერვიულობა ეტყობოდათ მის მესვეურებს. ავტორიტეტულ საბჭოთა დელეგაციის დანიშვნამ რომ მთლად აურია მათ „დავთარი". გერმანული გაზეთი „ფოსსიშე ცეიტუნგი" სწერდა: „საბჭოთა დელეგაციის კვალიფიციურ შემადგენლობას აფასებენ როგორც ახალ სიძნელეს იმათთვის, ვინც მიზნად ისახავდა მომამზადებელ კომისიის მუშაობის მომავალ წლისათვის ჩქარად და ჩუმად გადადებას". იმპერიალისტებს სამართლიანად ეშინიათ, რომ საბჭოთა წარმომადგენლები კონკრეტიულად და პირდაპირ დასვამენ განიარაღების საკითხს და ამით ნიღაბს ახდიან მათ თვალთმაქცურ პაციფიზმს.

სესიის მთავარი ხელმძღვანელების მეცადინეობა დღეს იქითკენაა მიმართული, რომ საბჭოთა დელეგაციას არ მისცენ ჩვენი პროგრამის გადაშლის შესაძლებლობა და განიარაღების პრობლემა ჩაიფუჩეჩონ. უკანასკნელი ცნობით, ინგლისი, საფრანგეთი და იტალია შეთანხმებულან იმაში, რომ სესიის დღის წესრიგში სრულიად არ დაისვას განიარაღების საკითხი და მისი „მუშაობა" შეზღუდონ, ე. წ. უშიშროების კომისიის არჩევით და მისთვის „ნაკაზის" გამომუშავებით. თუ ეს განზრახვა მათ გაატარეს, თუ მათ მოინდომეს განიარაღების საკითხისათვის გვერდის ახვევა, ამით იმპერიალისტები ერთხელ კიდევ (მერამდენეჯერ?) გაიშიშვლებენ თავს მასსების წინაშე, როგორც მშვიდობიანობის დაუძინებელი მტერი, თუმცა ეს უამისოდაც ცხადია ყველასათვის. სრული პასუხისმგებლობა კომისიის სესიის უშედეგობისათვის, როგორც წინეთ, ეხლაც, აშკარაა, ჩემბერლენებს და სესიის სხვა სულის ჩამდგმელებს ეკისრება.

საბჭოთა დელეგაცია რა თქმა უნდა, ყოველნაირად შეებრძოლება ასეთ ცდას. გერმანია, ალბად ამ შემთხვევაში მას დაუჭერს მხარს, თუმცა სულ სხვა მოტივებით, ვინემ საბჭოთა მთავრობა: გერმანია ისეთივე იმპერიალისტური ქვეყანაა, როგორც ვსთქვათ, საფრანგეთი, ინგლისი, იტალია და სხ., მაგრამ ის თვითონ განიარაღებულია და დაინტერესებულია მოწინააღმდეგეების განიარაღებით, რაკი მას არ აძლევენ შეიარაღების უფლებას. არ არის გამორკვეული შეერთებულ შტატების პოზიცია. მისი ინტერესები მოითხოვენ ევროპის სამხედრო შესუსტებას და შესაძლებელია მან მოითხოვოს განიარაღების საკითხის განხილვა კომისიის ეხლანდელ სესიაზე, თუ მას ამაზე უარი არ ათქმევინეს რაიმე შეთანხმების საშუალებით.

ორში ერთი: ან საბჭოთა დელეგაციას შესაძლებლობა მიეცემა გამოვიდეს განცხადებით განიარაღების შესახებ, და ეს იქნება იმპერიალისტების „პაციფისტური" სიტყვიერების მხილება და განიარაღების ნამდვილი კონკრეტიული პროგრამის გადაშლა. ან მას ამის საშუალებას არ მისცემენ, რაც ისევ ცხადყოფს, რომ იმპერიალისტები არავითარ განიარაღებაზე არ ფიქრობენ და ომისათვის ემზადებიან. ორივე შემთხვევაში ისინი ჩავარდნილი არიან „უხერხულ" მდგომარეობაში, რომლიდან თავის დაძვრენა ვერავითარი მჭერმეტყველური სოფისტიკით ვერ მოხერხდება.

იმპერიალისტები ცდილობენ მიაფუჩეჩონ განიარაღების საკითხები

ლიტვის მთავრობის მიმართვა ერთა ლიგისადმი პოლონეთთან კონფლიქტის შესახებ

გერმანიის პრესა აღიარებს, რომ საბჭ. ნოტამ იხსნა ლიტვა პოლონეთის თავდასხმისგან

განიარაღების კონფერენცია

ახალი სალაყბო

ლონდონი, 29 ნოემბერი. ინგლისის თემთა პალატის წევრმა **კენვორტიმ** განაცხადა, რომ სასურველია იაპონიის მთავრობამ ტოკიოში მოიწვიოს სამთა ახალი კონფერენცია საზღვაო შეიარაღების შეზღუდვის შესახებ. ამ განცხადების საპასუხოდ საზღვაო მინისტრის ამხანაგმა **ოსუმიმ განაცხადა, რომ კონფერენცია ამჟამად ნაადრევია, ვინაიდან საერთო ატმოსფერა ხელსაყრელი არ არის საზღვაო შეიარაღების შეზღუდვის საკითხების წამოყენებისათვის** (ადს).

იაპონიის პოზიცია

ტოკიო, 29 ნოემბერი. გაზეთ „ციუგაი ცოგიო"-ს ცნობით იაპონიის თვალსაზრისი განიარაღების საკითხში მდგომარეობს შემდეგში: საჭიროა დაცვულ იქნას საერთაშორისო ხელშეკრულება თავდაუსხმელობის შესახებ, საჭიროა განისაზღვროს თვითეულ ქვეყნის შეიარაღების პროპორციული სიდიდე, რისთვისაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საზღვრების სიგრძე, მოსახლეობის სიმჭიდროვე და მრეწველობის ნაყოფიერება (ადს).

ბერნსტორფი ამხ. ლიტვინოვთან

ჟენევა, 29 ნოემბერი. ჟენევაში ამხ. ლიტვინოვი ინახულა გერმანიის წარმომადგენელმა ერთა ლიგაში **გრაფ ბერნსტორფმა**. საუბარი ერთ საათს გაგრძელდა (ადს).

ერთა ლიგის წრეებში

ჟენევა, 29 ნოემბერი. ამტკიცებენ, რომ ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის დელეგაციები შეუთანხმდნენ, რათა ხელი შეუშალონ საბჭოთა დელეგაციას უარყოს განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისიის დღის წესრიგი. ხსენებულ დელეგაციების აზრით დღის წესრიგი უნდა განისაზღვროს უშიშროების კომისიის არჩევის და კომისიისათვის ნაკაზის შემუშავების საკითხებით. ფიქრობენ, რომ ამ თვალსაზრისს მიემხრობა ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატებიც.

უშიშროების კომისიის თავმჯდომარეთ საბოლოოთ დასახელებულია ბენეში. ამერიკულ წრეებში ცნობას იმის შესახებ, რომ ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები დანიშნავენ, დელეგატს, ან მეთვალყურეს უშიშროების კომისიაში, სკეპტიკურათ უყურებენ. (ადს).

შეკითხვები თემთა პალატაში

ლონდონი, 29 ნოემბერი. რეიტერი იუწყება, რომ თემთა პალატის სხდომაზე მუშათა პარტიის წევრი **ვეჯვუდი** შეეკითხა ბოლდუინს— გასცა თუ არა რუსეთის მთავრობამ რაიმე პასუხი ბოლდუინის მიერ 9 ნოემბერს წარმოთქმულ სიტყვაზე, რომელშიაც შესაძლოთ იყო ცნობილი რუსეთთან ურთიერთობის განახლება და აპირებს თუ არა ბოლდუინი რაიმე ნაბიჯის გადადგმას ამ მიმართულებით, ვინაიდან ურთიერთობის განახლებას ადგილი უნდა ექნეს ჟენევაში. ბოლდუინმა შეკითხვის ორივე ნაწილზე უარყოფითი პასუხი გასცა.

მუშათა პარტიის წევრი **კერკვუდი** დაეყრდნო ბოლდუინის უარყოფით პასუხს და შეეკითხა უკანასკნელს — დარწმუნებულია თუ არა პრემიერი, რომ მის სიტყვაში დასახული წინადადებები განხორციელებულ უნდა იქნეს ქვეყნის ინტერესებისათვის, და თუ ეს ასეა, გადადგამს თუ არა ის რაიმე ნაბიჯს სასურველ შეთანხმების მიღწევის მიზნით.

ბოლდუინმა უპასუხა, რომ თავის სიტყვაში მან დასახა პირობები, რომლებშიაც ინგლისი მზადაა განიხილოს საკითხი ურთიერთობის განახლების შესახებ. ამ მხრივ პროგრესი შესაძლოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირობები მიღებულ იქნება.

ვეჯვუდი შეეკითხა:—განა ახალი შეთანხმების დადების ინიციატივი უნდა გამოდიოდეს მეორე მხრიდან, განა არ შეიძლება, რომ ჩვენ დავიწყოთ მოლაპარაკება იმ მოვლენის გამო, რომელსაც ახდენს ჩვენს ვაჭრობაზე რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის უქონლობა"?

ბოლდუინმა უპასუხა:

„ჩვენ აქამდის არ ვყოფილვართ დარწმუნებული იმაში, რომ რუსეთის მთავრობა თავს დაანებებს ჩვენს შინაურ საქმეებში ჩარევას".

უილ ტორნი (მუშათა პარტია) შეეკითხა—შეუძლია თუ არა მან განმარტოს შემდეგი: „თუ თქვენ გსურთ მოლაპარაკების დაწყება რუსეთის მთავრობასთან და რუსეთის მთავრობას სურს მოლაპარაკების დაწყება თქვენთან, როგორ ხდება ეს? (სიცილი).

ბოლდუინის პასუხი არ ისმის (ადს).

ლატვიის სეიმში

რიგა, 29 ნოემბერი. 29 ნოემბერს სეიმში სწარმოებდა კამათი ოპოზიციის შეკითხვების გარშემო.

არქიეპისკოპოსი იოანე თავს ესხმოდა მთავრობას საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ხელშეკრულების დადების გამო, რამაც, მისი აზრით; ლატვია გახადა საბჭოთა კავშირის ვასალათ.

ოპოზიციის სხვა ორატორები ცდილობდნენ დაემტკიცებიათ, რომ მთავრობა ატარებს არასწორ ეკონომიურ პოლიტიკას, რომელიც საზიანოა ლატვიის მეურნეობისათვის.

შემდეგ გამოვიდნენ მთავრობის მომხრე ორატორები და მკაცრად გაილაშქრეს ოპოზიციონერ ორატორების წინააღმდეგ. ბასტიანმა ციფრებით ხელში დაამტკიცა, რომ წინანდელი მემარჯვენე მთავრობები სახელმწიფო საშუალებებს იყენებდენ პარტიულ და პირადი ინტერესებისათვის.

ბასტიანის სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

სეიმის კულუარებში ამბობენ, რომ კენჭისყრა შეკითხვის გარშემო, რომელიც დანიშნულია 2 დეკემბრისათვის, საშიშროებას არ წარმოადგენს მთავრობისათვის. (ადს).

„მუშათა პარტია" ლოცულობს

ლონდონი, 29 ნოემბერი. „დეილი ტელეგრაფ"-ის ცნობით, ხოლიხედში დაწესებულია „ახალი ჩვეულება" პოლიტიკურ კრებებზე: მუშათა პარტიის კრება ამ ქალაქში გაიხსნა ლოცვით, რომელიც წარმოსთქვა კრების თავმჯდომარე მორისმა. (ადს).

პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტი

საბჭოთა ნოტის გამარჯვება

ბერლინი, 29 ნოემბერი. გაზეთ „გერმანია"-ს ლონდონელი კორესპონდენტი იუწყება, რომ პოლონეთის მიერ ერთა ლიგისადმი წარდგენილ წინადადებას მხურვალედ ესალმებიან ლონდონში; ამიტომ ეჭვს გარეშეა, რომ საბჭოთა მთავრობა, რომლის ნოტამ საქმე გადასწყვიტა ვარშავაში, მოიპოვა გამარჯვება. მიუხედავად ამისა, მეტად საეჭვოა, რომ საბჭოთა კავშირს მისცენ ამ გამარჯვების გამოყენების საშუალება. გამწვავებული ურთიერთობა ლონდონსა და მოსკოვს შორის ხელს უშლის ამ გონიერ შეხედულების განმტკიცებას, რომლის თანახმად საბჭოთა კავშირსაც უფლება აქვს დაიცვას თავისი კანონიერი ინტერესები. თუ საბჭოთა მთავრობას თავისი ნოტის ჩაბარების დროს მხედველობაში ჰქონდა ვილნოს საკითხის განხილვაში მონაწილეობის მიღება (თუ ჟენევაში სერიოზულად მოჰკიდებენ ხელს ამ საკითხის განხილვას), მოსკოვი იძულებული იქნება ანგარიში გაუწიოს ინგლისის გადამჭრელ წინააღმდეგობას (ადს).

ლიტვის მთავრობის ნოტა ერთა ლიგის გენერალურ მდივანს

კოვნო, 29 ნოემბერი. გამოქვეყნებულია ნოტა, რომლითაც ლიტვის მთავრობამ 28 ნოემბერს მიმართა ერთა ლიგის გენერალურ მდივანს. ნოტაში ნათქვამია:

„დამატებით 21 ნოემბრის ნოტისა, ლიტვის მთავრობა ერთა ლიგის საბჭოს ყურადღებას მიაქცევს ვიკოპისა და მიცკუსის (ლიტველ ემიგრანტთა ყრილობის მონაწილენი, რომლებიც ამ ყრილობაზე გამოვიდნენ მამხილებელი სიტყვებით) 14 ნოემბრის წერილებზე, რომლებშიც გარკვევით არის დასაბუთებული პოლონეთის მთავრობის მიერ ლიტვაში არეულობის მზადება, და რომლებშიც მოყვანილია ვარშავის გაზეთის „კურიერ პორანის" ცნობა იმის შესახებ, რომ თითქოს ლიტვის არმიაში ადგილი აქვს ლიტველ ჯარისკაცთა მასიურ დეზერტირობას სრული შეიარაღებით. გაზეთი აგრეთვე იუწყება, რომ პოლონეთის მთავრობის განკარგულებით ეს დეზერტირები იგზავნებიან ვილნოში.

ვინაიდან ლიტვის არმიაში დეზერტირობას სრულიად არ ჰქონია ადგილი, ამ გაზეთების ცნობები ადასტურებენ წინანდელ ცნობებს პოლონეთის მთავრობის მიერ ლიტვის წინააღმდეგ ბანდების შედგენის შესახებ.

პასუხისმგებლობას ასეთი მოქმედებისათვის ლიტვა აკისრებს პოლონეთის მთავრობას". (ადს).

ლიტვის დელეგაცია № 2

ვარშავა, 29 ნოემბერი. „კურიერ ჩერვონი" იუწყება, რომ რიგაში ლიტვის ემიგრანტებმა ვილნოში მყოფ ლიტველ ემიგრანტებთან შეთანხმებით, დაადგინეს გაგზავნონ ჟენევაში დელეგაცია, სოციალ-დემოკრატ პლეჩკაიტისის და ნაროდნიკ სელიანთა პარტიის წევრის მიცკუსის მეთაურობით (ადს).

ერთი ლიგის იმედი აქვთ

პარიზი, 29 ნოემბერი. ლიტვის მისია პარიზში აქვეყნებს ცნობას, რომელშიაც უარყოფს ხმებს იმის შესახებ, თითქოს ლიტვაში ადგილი ჰქონდეს ღელვარებას ჯარში და ოფიცრების დაპატიმრებას.

ცნობაში ნათქვამია, რომ ლიტვამ ერთა ლიგას განსახილველად გადასცა მთელი რიგი ფაქტებისა, რომლებიც წარმოადგენენ მდგომარეობის გართულების მიზეზს. დარწმუნებული თავისი პოზიციის სიმართლეში, ლიტვა მოელის ამ ფაქტების განხილვას ერთა ლიგის საბჭოს მომავალ სესიაზე (ადს).

თათბირი პრეზიდენტთან

კოვნო, 29 ნოემბერი. ლიტვის პრესის ცნობით, **რესპუბლიკის პრეზიდენტთან გაიმართა თათბირი, რომელსაც დაესწრნენ მთავრობის და ოპოზიციონერ პარტიების წარმომადგენელნი.** თათბირზე 28 ნოემბერს ოპოზიციონურ პარტიების წარმომადგენლებმა პრეზიდენტს გადასცეს წერილობითი მემორანდუმი, რომელიც შეიცავს მათ პოლიტიკურ პროგრამას. 28 ნოემბერს თათბირს დაესწრო ვოლდემარასი, რომელმაც განაცხადა, რომ „ხმები პოლონეთის მხრით მოსალოდნელ საფრთხის შესახებ მეტად გაზვიადებულია და ამიტომ მიზანშეწონილი იქნება კოალიციის საკითხის გადაჭრის გადადება ერთა ლიგის საბჭოს სესიის დამთავრებამდე". ოპოზიციონურ პარტიების წარმომადგენლებმა ვოლდემარასის განცხადება მიიღეს ცნობად. თათბირი ამით დამთავრდა.

კოვნოში

კოვნო, 29 ნოემბერი. ლიტვის გაზეთების ცნობით, 28 ნოემბერს სამხედრო სამინისტროში შესდგა კოვნოს გარნიზონის ნაწილების უმაღლეს სარდლობის წარმომადგენელთა კრება. კრებას დაესწრო რესპუბლიკის პრეზიდენტი.

გაზეთების ცნობით, კრებამ არმიის სახელით სრული ნდობა გამოუცხადა მთავრობას და არმიის მთავარსარდალს გენ. ჟუკოვსკის და განაცხადა, რომ არმია მზადაა თავი დასდოს ლიტვის დამოუკიდებლობისათვის (ადს).

ლიტვის პრესა ვოლდემარასის განცხადების შესახებ

კოვნო, 29 ნოემბერი. ნაციონალისტების ორგანო „ლეტუვის" კომენტარიებს უკეთებს ინტერვიუს ვოლდემარასთან და სწერს:

„პრემიერმა განმარტა, რომ პოლონეთის თავდასხმის საფრთხე არ არის დიდი. ოპოზიციის იერიში დამარცხდა და ატეხილი განგაში მინელდა. მთავრობის პოზიცია უფრო მტკიცე აღმოჩნდა. ოპოზიციამ უნდა იცოდეს, რომ მთავრობასთან თანამშრომლობა შეიძლება არა ძალადობით, არამედ თავისუფალი შეთანხმებით".

ოპოზიციონური „ლეტუვოს ჟინიოს"-ი სწერს:

„ინტერვიუს ვოლდემარასთან მეტად ოპტიმისტური ხასიათი აქვს. პოლონეთის მიერ ლიტვაზე თავდასხმის საფრთხეს საზღვარგარეთ სულ სხვანაირად აფასებენ. აგრეთვე მეტად ოპტიმისტურია კოალიციის შექმნის იმედები მთავრობისა და პარტიების წარმომადგენლების თათბირის შემდეგ. ჩვენ არ ვიცით—შეიძლება თუ არა ვიქონიოთ კონსოლიდაციის იმედი ქვეყნის შიგნით?" (ადს).

მონღოლეთის კულტურული ზრდა

ულან ბატორ, 29 ნოემბერი. გამოქვეყნდა მონღოლეთის მეოთხე დიდი ხურულდანის დადგენილებები. დადგენილებები განსაკუთრებით აღნიშნავენ სახალხო მეურნეობის წარმატებით განვითარებას, ადგილობრივ თვითმმართველობათა დაახლოებას სახალხო მასებთან, წარმატებას არმიაში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის და ახალ სასამართლო ორგანოების განმტკიცების საქმეში.

სამეცნიერო კომიტეტის მოხსენების თანახმად, **ხურულდანმა დაადგინა განაგრძოს მეგობრული ურთიერთობა საბჭოთა კავშირის სამეცნიერო აკადემიის მიერ მივლინებულ მეცნიერებთან** (ადს).

„რევოლიუციონურ თავდაცვის ლიგა"

მექსიკა, 29 ნოემბერი. ობრეგონმა, რომელიც გამოდის კანდიდატათ მექსიკის პრეზიდენტის არჩევნებში, განაცხადა, რომ ის შეუდგა „რევოლიუციონურ თავდაცვის ლიგის" მოწყობას: ობრეგონის გარდა, ლიგის სათავეში ჩადგებიან აგრარულ პარტიის და გლეხთა ლიგის წარმომადგენლები და აგრეთვე ტრანსპორტის მუშაკთა ბელადი. ყველა ეს მოღვაწენი მექსიკის შრომის რეფორმისტულ კონფედერაციის მოწინააღმდეგენი არიან (ადს).

ამხ. დორიოს და კურტუას საქმე

პარიზი, 29 ნოემბ. გამასწ. სასამართლომ კომუნისტ დორიოს და კურტუას გაზ. „ავანგარდში" „არეულობის გამომწვევ" წერილების მოთავსებისათვის მიუსაჯა 1.000 ფრანკის ჯარიმა თითეულს.

კომპარტიის კანდიდატების გამარჯვება

პარიზი, 29 ნოემბერი. დამატებითი მუნიციპალურ არჩევნებში ბესონში არჩეულ იქნენ კომუნისტური კანდიდატები **ლეგეი, ნიკოლი და დეგუი**, რომლებმაც საშუალოთ მიიღეს (თითეულმა) 940 ხმა 1253-დან. (ადს).

დმოვსკის დაპატიმრება

ვარშავა, 29 ნოემბერი. დაპატიმრებულია დეპუტატი დმოვსკი (საზ. დემ.), რომელსაც ბრალდება მაშინიკობა და სხვა ფინანსიური აფიორები. დაპატიმრებული აღარ სარგებლობს დეპუტატის ხელშეუხებლობით, ვინაიდან სეიმის რწმუნების ვადა გასულია (ადს).

ახალი საჰაერო გემი

ლონდონი, 28 ნოემბერი. გაზეთების ცნობით, ავიაციის მინისტრ ხორმა დაათვალიერა დირიჟაბლი, რომელიც შენდება ისტიორკშირის საჰაერო გემთსაშენში. დირიჟაბლის მოცულობა უდრის 5 მილ. ფუტს, მოტორების საერთო სიძლიერე 4.200 ცხ. ძალ., 35 აუზი იტევს 35 ტონ საწვავ მასალას. ეს მარაგი საკმარისია 4.500 მილზე შეუჩერებლივ ფრენისათვის. დირიჟაბლზე მოთავსებულია კაიუტები 100 მგზავრისათვის, სამზარეულო და სასადილო 50 ადგილით. კაიუტებზე მოწყობილია შუშაბანდიანი ვერანდები. (ადს).

ოხრანკის პროვოკაცია

ვენა, 29 ნოემბერი. სოფიიდან მიღებული ცნობებით, ბულგარეთის პოლიცია ამტკიცებს, რომ მან თითქოს შესძლო იარაღის ფარული საწყობის აღმოჩენა კიუსტენდილში. ამასთან დაკავშირებით **დაპატიმრებულია 36 კაცი, რომელთაც ბრალი ედება იმაში, რომ ისინი ეკუთვნიან კომპარტიას**, მათ შორის „გლეხთა კავშირის ცნობილი მოღვაწე", რომლის სახელს ბულგარეთის პოლიცია არ აქვეყნებს (ადს).

ომის წინააღმდეგ

ლონდონი, 28 ნოემბ. რეიტერის სააგენტო იუწყება:

„ომის საწინააღმდეგო ნაციონალურ კავშირში განიხილა მოხსენება იმის შესახებ, რომ რუსეთი და გერმანია მზად არიან მონაწილეობა მიიღონ განიარაღების უზრუნველყოფაში, და ბოლდუინის და ჩემბერლენის სახელზე გაგზავნა რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია: „საბჭო ესალმება რუსეთის მთავრობის თანამშრომლობას განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელ კომისიაში და აგრეთვე გერმანიის მთავრობის გადაწყვეტილებას განაახლოს კომისიის მომავალ სესიაზე დისკუსია განიარაღების საკითხის გარშემო. საბჭო მოუწოდებს ინგლისის მთავრობას ისარგებლოს ამ შესაძლებლობით. რათა თანამშრომლობის გზით დაძლეულ იქნეს დაბრკოლებები, რომლებიც ხელს უშლიან განიარაღების შესახებ საერთო ხელშეკრულების დადებას" (ადს).

პიასტის ცეკაში

ვარშავა, 27 ნოემბერი. კულაკურ პარტიის — პიასტის ცეკას უკანასკნელი სხდომა მეტად მღელვარედ ჩატარდა. პილსუდსკისთან დაახლოების მომხრეებს და მოწინააღმდეგეებს შორის სწარმოებდა სასტიკი შეხლა-შემოხლა. **სხდომის შემდეგ პიასტის ბევრმა გამოჩენილ მოღვაწეებმა განაცხადეს, რომ ისინი წინააღმდეგი არიან პილსუდსკისთან თანამშრომლობის** (ადს).

უკანასკნელი ცნობები

მე-15 პარტყრილობა გაიხსნება 2 დეკემბერს

მოსკოვი, 30 ნოემბერი. მე-15 პარტიული ყრილობა გაიხსნება პარასკევს, 2 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე კრემლში, დიდი სასახლის ანდრეევის დარბაზში (ადს).

მობილიზაცია ლიტვაში

ვარშავა, 30 ნოემბერი. „ექსპრეს პორანი" იუწყება, რომ ვითომც ლიტვაში გამოცხადებულია სამი უმცროსი ასაკის მობილიზაცია.

პატეკის გამგზავრება მოსკოვში

ვარშავა, 30 ნოემბერი. პატეკი მოსკოვში გაემგზავრა. (ადს).

57 უკრაინელი კომუნისტის საქმე

ვარშავა, 30 ნოემბერი. 28 ნოემბერს ლუცკში დაიწყო 57-ის პროცესი, რომელთაც ბრალდებათ დასავლეთ უკრაინის კომპარტიის წევრობა და შეიარაღებული აჯანყების მომზადება ვოლინის პოლონეთისაგან ჩამოშორების მიზნით. სასამართლომ დეპუტატი პოდხორსკი არ დაუშვა დამცველად. სასამართლოს უარი გამოწვეული იყო პროკურორის განკარგულებით, რომელმაც განაცხადა, რომ თითქოს პოდხორსკი ანტისახელმწიფოებრივ პროპაგანდას ეწევა. ბრალდებულებმა ამის გამო პროტესტის ნიშნად გამოაცხადეს სიმშილობა.

კომუნისტების გამარჯვება არჩევნებში

ბერლინი, 30 ნოემბერი. ბაზელში მუნიციპალურ არჩევნებში კომპარტიამ მიიღო 1.598 ხმა (წარსულ არჩევნებში 1924 წ. მიიღო—1.358 ხმა.), ხოლო სოციალ-დემოკრატებმა მიიღო 2.330 ხმა (წარსულ არჩევნებში 1927 წ. მიიღო 2.542 ხმა). მუშათა რაიონებში კომპარტიამ უფრო მეტი ხმები მიიღო, ვიდრე სოციალ-დემოკრატებმა. კომუნისტების გამარჯვებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა იმის გამო, რომ სოციალ-დემოკრატიულმა ბელადებმა საარჩევნო კამპანია ჩაატარეს კომუნისტების წინააღმდეგ გალაშქრების ლოზუნგებით. (ადს).

ავსტრიის კომპარტიის მდივანის ამხ. კოპლენიგის საქმე

ვენა, 28 ნოემბერი. ვენის პროკურატურამ კვლავ აღძრა საქმე ავსტრიის კომპარტიის მდივანის კოპლენიგის წინააღმდეგ იმ სიტყვისათვის, რომელიც მან წარმოსთქვა ივლისის გამოსვლების მსხვერპლთა დაკრძალვის დროს. როგორც ცნობილია, კოპლენიგი პირველად დაპატიმრებული იყო ამ სიტყვისათვის, ამასთანავე მას ბრალდებათ წარუდგინეს „სახელმწიფო ღალატი", მაგრამ პროკურატურა იძულებული გახდა შეეწყვიტა საქმე და გაენთავისუფლებია კოპლენიგი. ეხლა კოპლენიგს იმავე სიტყვის გამო უყენებენ ბრალდებას „აჯანყების მოწყობისათვის". კოპლენიგთან ერთად სასამართლოში მიცემულია 6 სხვა ბრალდებული. (ადს).

ცელენსის განცხადება

რიგა, 30 ნოემბერი. მოსკოვიდან დაბრუნებულმა ლატვიის სახელმწ. ბანკის თავმჯდომ. ცელენსმა ბირჟის წარმომადგენლებთან საუბარში განაცხადა: „მე დავრწმუნდი, რომ საბჭოთა კავშირი ყოველი ძალ-ღონით შეეცდება, რათა ლატვია-საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულება დაუბრკოლებლივ განხორციელდეს. საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკი კისრულობს აგრეთვე ჩვენი თამასუქების განაღდებას. ჩვენის მხრით განსაზღვრულ შემთხვევებში გაუხსნით კრედიტებს ლატვიის ფირმებს, რომელნიც შეკვეთებს ასრულებენ საბჭოთა კავშირისათვის".

კოალიცია ვერ ეწყობა

ვენა, 30 ნოემბერი. ბუქარესტიდან მიღებული ცნობებით, გლეხთა ნაციონალურმა პარტიამ უარჰყო პრემიერ ვინტილო ბრატიანუს წინადადება კოალიციური მთავრობის შექმნის შესახებ. ამ კოალიციაში გლეხთა ნაციონალურ პარტიას ეთმობოდა სამინისტრო პორტფელის ნახევარი. (ადს).

ამხ. მაისკი მიკადოსთან

ტოკიო, 30 ნოემბერი. იაპონიის სააგენტოს ცნობით, საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენლობის პირველი მრჩეველი ტოკიოში ამხ. მაისკი დღეს ოფიციალურად წარუდგა მიკადოს, როგორც საბჭოთა კავშირის საქმეთა რწმუნებული ტოკიოში და გადასცა მას რწმუნებულების სიგელი. (ადს)

პოლონეთის ხარჯზე

ვარშავა, 30 ნოემბერი. პრეზიდენტის დეკრეტის თანახმად გამოცემულია განკარგულება, რომლის მიხედვით ეძლევა დახმარება იმ ინვალიდებს, რომელნიც მსახურობდნენ პეტლიურას ბულაკ-ბალახოვიჩის და იაკოვლევის რაზმებში და იბრძოდნენ პოლონეთის მხარეზე. (ადს).

დეპუტატ ვალიშის საქმე

ვენა, 30 ნოემბერი. შტირიის ლანდტაგმა დაადგინა სოციალ - დემოკრატ დეპუტატს ვალიშს ჩამოართვას ხელშეუხებლობის უფლება და გადასცეს იგი სამოსამართლო ხელისუფლებას, რომელმაც მის წინააღმდეგ აღძრა საქმე იმ ბრალდების გამო, რომ მან „ძალადობა ჩაიდინა ოფიციალური პირების მიმართ" და „აქეზებდა მტრული მოქმედებისაკენ". დეპუტატის ხელშეუხებლობის უფლების ჩამორთმევა და სასამართლოსათვის გადაცემა პოლიტიკურ საქმის გამო, პირველი შემთხვევა არის ავსტრიის საპარლამენტო პრაქტიკაში. ვალიში ხელმძღვანელობდა მუშათა გაფიცვას პატარა ქალაქში ბრუკაში და გაფიცვის დროს მუშებს მოუწოდებდა არ დამორჩილებოდნენ პოლიციას.

წყალდიდობისაგან დაზარალებულთა დამხმარე კომიტეტის ლიკვიდაცია

ვარშავა, 30 ნოემბერი. დაშლილ იქნა წყალდიდობისაგან დაზარალებულ უკრაინელთა დამხმარე კომიტეტი. კომიტეტის წევრები—კარაიკოვიჩი და სოროხოვიჩი, რომლებმაც უარი განაცხადეს დაზარალებულთათვის შეგროვილი თანხის გადაცემაზე, დააპატიმრეს. (ადს).

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

საღამოს პედაგოგიური უნივერსიტეტი

მოსკოვი, 30 ნოემბერი. 28 ნოემბერს კომუნისტური აღზრდის აკადემიასთან მოხდა საღამოს პედაგოგიური უნივერსიტეტის საზეიმო გახსნა. უნივერსიტეტში მიღებულია 505 მსმენელი. (ადს).

საშობაო უქმეები

მოსკოვი, 30 ნოემბერი. რ. ს. ფ. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატი განმარტავს, რომ მიმდინარე წელში წარმოება დაწესებულებებმა 25 და 26 დეკემბერი („შობა") ახალი სტილით უნდა იუქმონ.

1,5 მილიონი მან. საკლუბო მშენებლობისათვის

მოსკოვი, 30 ნოემბერი. საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის შუამდგომლობით „ცეკომბანკმა" საკლუბო მშენებლობისათვის 1927—28 წელში დაამტკიცა 1.500.000 მან. კრედიტი. (ადს).

ბულგარეთის დამოუკიდებელ პროფკავშირთა მისალმება

მოსკოვი, 30 ნოემბერი. საკავშირო პროფსაბჭომ ბულგარეთის დამოუკიდებელ პროფკავშირისაგან მიიღო მისასალმებელი დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია, რომ ბულგარეთის მუშები მომავალშიაც მთელი ძალ-ღონით იბრძოლებენ პირველ მუშურ სახელმწიფოსთან ომის წინააღმდეგ, რომელსაც ამზადებს საერთაშორისო კაპიტალიზმი. (ადს).

ტრანსპორტელთა მთლიანობის კომიტეტი

მოსკოვი, 30 ნოემბერი. საბჭოთა კავშირის ტრანსპორტელთა ცეკას, ირლანდიის მუშათა კავშირისა და ირლანდიის ტრანსპორტელთა კავშირის წარმომადგენელთა გაერთიანებულ სხდომამ გადაწყვიტა შეიქმნას საბჭოთა კავშირის და ირლანდიის მუშა-ტრანსპორტელთა მთლიანობის კომიტეტი იმ მიზნით, რომ მორალური და მატერიალური დახმარება აღმოეჩინოს ტრანსპორტელებს გაფიცვის დროს და წარმოებულ იქნას ბრძოლა ტრანსპორტელთა მოძრაობის მთლიანობისათვის ეროვნული და საერთაშორისო მასშაბით. (ადს)

ინგლისის კოოპერატიული დელეგაციის დეკლარაცია

მოსკოვი, 30 ნოემბერი. ინგლისის კოოპერატიული დელეგაცია საბჭოთა კავშირში თავის დეკლარაციაში იმიჯნება კონსერვატორების ანტისაბჭოთა პოლიტიკისაგან.

„ჩვენ ვამტკიცებთ, ნათქვამია დეკლარაციაში, — რომ ინგლისის კოოპერატორები არ გაიზიარებენ ინგლისის მთავრობის პოზიციას საბჭოთა კავშირის მიმართ. ინგლისის კოოპერატიულმა მოძრაობამ უნდა გამოიყენოს ყოველი შესაძლებლობა საბჭოთა კავშირის დასაცავად ინგლისის იმპერიალიზმისაგან". (ადს).

სინკლერ ლიუსი მოსკოვში

მოსკოვი, 30 ნოემბერი. ჩამოვიდა ცნობილი ამერიკელი მწერალი სინკლერ ლიუსი.

ნავთის ექსპორტის ზრდა

ლენინგრადი, 30 ნოემბერი. ლენინგრადში ჩამოვიდა ნავთის სინდიკატის კომისია მთელ რიგ იმ საკითხების გადასაწყვეტათ, რომელნიც დაკავშირებულნი არიან საგაზაფხულო ნავიგაციის დაწყების და ჩვენი ნავთის პროდუქტების გატანასთან ლენინგრადის ნავთსადგურიდან ცენტრალურ ევროპის ქვეყნებში. კომისიის თავმჯდომარემ და ნავთის სინდიკატის გამგეობის დირექტორის მოადგილემ ამხ. **რიაბოლოვმა** საუბრის დროს განაცხადა.

„მიმდინარე წელში დეტერდინგის ცდების მიუხედავათ, ნავთის სინდიკატის პროდუქტების გატანა საზღვარგარეთ გაიზარდა 50 პროცენტით. დაპყრობილია მთელი რიგი ახალი ბაზრები. რამოდენიმე მილიონი ტონა ბენზინი გატანილი იქნება საფრანგეთში. განზრახულია გავაფართოვოთ ნავთის ექსპორტი სხვა ქვეყნებშიაც. მიღებულია ზომები ნავთის გემების რაოდენობის გასადიდებლად. 1928 წლის მაისში წყალში ჩაშვებული იქნება საფრანგეთში აშენებული პირველი ნავთის გადამზიდავი გემი „საბჭოთა ნავთი". ეს გემი მოწყობილია ტეხნიკის უკანასკნელ მიღწევათა მიხედვით.

სამი თვის შემდეგ წყალში ჩაშვებულ იქნება ნავთის სინდიკატის მეორე გემი, რომელიც აგრეთვე აშენებულია საფრანგეთში.

ამას გარდა კიდევ სამი ახალი ნავთის გადამზიდავი გემი შენდება ამჟამად ნიკოლაევში.

თანხები „აზნავთისათვის"

მოსკოვი, 30 ნოემბერი. აზნავთის 1927—28 წლის კაპიტალურ აღმშენებლობის პროგრამა „გლავგორტოპ"-ის მიერ მიღებულია 95.700.000 მანეთის რაოდენობით. აზნავთის კაპიტალურ ხარჯების მთავარი მუხლები შემდეგია: ბურღვაზე გადადებულია 34 მილიონი მანეთი, ახალ ნავთიან ადგილების გამოკვლევა—3.300.000 მან., მოწყობილობა და ნაგებობანი ბურღვისა და ექსპლოატაციისათვის—16.300.000 მან., გაზის ამოღება უტილიზაცია—1.500.000 მან., ბაქოს ნავთის გადამამუშავებელი ქარხნები—10.500.000 მან., ქარხნები ნავთსადგურებში—4.700.000 მან., ბაქო-ბათომის ნავთსადენი—5.200.000 მან., ელექტრო სადგური და ელექტროფიკაცია 6.700.000 მან., საბინაო აღმშენებლობა—4.500.000 მან., აზნავთის შტატი ყველა დამხმარე წარმოებებთან ერთად დაწესებულია 43.105 კაცის რაოდენობით. აზნავთის მუშის საშუალო ხელფასი 74 მან. და 80 კაპეიკიდან გადიდებულია 80 მანეთამდე. სამუშაო ხელფასის წლიური ფონდი აზნავთში შეადგენს 41.380.000 მანეთს. (ადს).

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

ამნისტია

ბაქო, 30 ნოემბერი. კომისიამ, რომელიც ცხოვრებაში ატარებს ოქტომბრის ამნისტიას, ბაქოში გაანთავისუფლა 424 მსჯავრდებული, ლენქორანში—47 კაცი. ბაქოს გამასწორებელ სახლებში მყოფ 158 მსჯავრდებულს პატიმრობის ვადა შეუმცირდათ სანახევროთ, 57-ს ერთი მესამედით. კომისიის მუშაობა გრძელდება. (ადს).

მეორე ავია-ლატარია

ბაქო, 30 ნოემბერი. სულ მთელი აზერბეიჯანისათვის გამოთხოვილია მეორე ავია-ლატარიის 50.000 ბილეთი. უკვე გასაღებულია—11.000 ბილეთი.

ბაქოს მუშების თხოვნით აზერბეიჯანის თავდაცვა-ავიაქიმმა აღძრა საკითხი, რომ მეორე ავია-ლატარია გათამაშებული იქნეს ბაქოში.

ქარავანი ყინულში

პირველი ცნობები

ბაქო, 30 ნოემბერი. მხსნელი კრეისერი „სახონოვი" ბაქოს ობსერვატორიას ატყობინებს, რომ კასპიის ზღვის ჩრდილოეთ ნაწილში გაყინულია 15 სანტიმეტრის სისქეზე მდ. ვოლგის შესართავი და ზღვის სანაპიროები. ზღვა გაყინულია 15 მილის სივრცეზე. ქარავანის გამოყვანა გაყინულ დონიდან ჯერ ჯერობით შეუძლებელი შეიქნა. ზღვაზე ამტყდარი გრიგალის, ქარბუქის და ყინულის გამო შეუძლებელია გემთა მიმოსვლა. სანაპიროების რაიონში იპოვეს ექვსი მეთევზის გაყინული გვამები და აგრეთვე 48 გაყინული მეთევზე. ობსერვატორიის დირექტორი პროფ. მიხაილოვსკი შემდეგი მიზეზებით ხსნის ამ გარემოებას: სკანდინავიიდან ნოემბრის 20 რიცხვებში ჩამოეშვა დიდი ანტიციკლონი, რომელმაც გამოიწვია ტემპერატურის დაცემა შავ სა და კასპიის ზღვებზე და ძლიერი გრიგალი რომელიც ათ ბალს აღწევს.

ძალიან აცივდა აგრეთვე ბაქოსა და აზერბეიჯანის მხარეებში სადაც მოვიდა ნორმაზე მეტი თოვლი. მოკლე ხანში მოსალოდნელია გამოდარება (ადს).

დაწვრილებითი ცნობები

ბაქო, 30 ნოემბერი. 28 ნოემბერს კასპიის ფლოტის გემების ქარავანი—29 გემის შემადგენლობით საზამთრო ბინიდან გაემგზავრა ასტრახანში.

ზღვაზე ადგილი ჰქონდა ძლიერ ყინვებს. მცურავი ყინულები წამოეწიენ ქარავანს, მთელი ქარავანი გაიჭედა ყინულში.

ქარავანის დასახმარებლად ადგილზე გაემგზავრა „კასპარის" ადმინისტრაცია და შეუდგენ გემებისათვის გზის გაკაფვას. ყინული გაამტვრიეს და გზა გაუკაფეს ცხრა გემს, რომლებიც უკვე მივიდნენ ასტრახანში.

დანარჩენი ორი გემი დღესაც ყინულშია ჩაჭედილი.

ზოგიერთი გემი ყინულის ლოდების დაჯახების გამ დაზიანდენ—დაემტვრათ ხრახნილები (ვინტი). ამის გამო ეს გემები დაუხმარებლივ ვერ განაგრძობენ გზას.

მიღებულია ზომები და სწარმოებს მუშაობა დარჩენილ გემების განთავისუფლებლად.

გადარჩენილია 300 კაცი

ბაქო, 30 ნოემბერი. კასპიის ზღვის ხანაოსნო საზოგადოებამ მიიღო დეპეშა. რომ დამხმარე კრეისერმა გადაარჩინა 300 მეთევზე, რომელნიც ჩავარდნილი იყვნენ ყინულებში. მეთევზეები, რომელთაც ზღვაში არ ჰქონდათ საჭმელი და ტანისამოსი, სიმშილით დასუსტებული და სიცივისაგან გაყინული იყვნენ. დამხმარე გემები განაგრძობენ 200 მეზღვაურის ძებნას, რომელნიც ზღვამ გაიტაცა. გემების ნაწილი გამოყვანილია ყინულებიდან; ეს გემები გაიგზავნა მახაჩ-კალაში. მუშაობა გემების გადასარჩენად გრძელდება. (ადს).

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმოსავლეთში

რუსი თეთრგვარდიელები ეგვიპტეში

ამ რამოდენიმე ხნის წინათ ეგვიპტის გაზეთებში გამოქვეყნდა ცნობა, რომ ეგვიპტის შინაგან საქმეთა სამინისტრომ პარლამენტის საფინანსო კომისიას სთხოვა განსაზღვრული თანხის გაღება „საზოგადოებრივი უშიშროების სამმართველოში" 8 თანამდებობის დასაწესებლად რუსებისათვის (თეთრგვარდიელებისათვის).

ეგვიპტის შინაგან საქმეთა სამინისტრო პირველად როდი იჩენს გულის ამაჩუყებელ მზრუნველობას რუს თეთრგვარდიელების მიმართ. ჯერ კიდევ მიმდინარე წლის დასაწყისში ეგვიპტის შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოითხოვა 3 ათასი გირვანქა სტერლინგი იმ მიზნით, რომ მოეწყო ე. წ. „რუსეთის ბიუროები", რომელთა გამგებლობაში გადავიდოდა „რუსების საქმეების ხელმძღვანელობა ეგვიპტეში". თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ეგვიპტის შინაგან საქმეთა სამინისტროს ფაქტიურად განაგებენ ინგლისელები და რომ პოლიტიკა და ოხრანკა მთლიანად იმყოფება ინგლისელების ხელში, რომლებთანაც დეკორუმის დასაცავად იმყოფება ორიოდე ეგვიპტელი, მიზეზი ასეთი მზრუნველობისა თეთრგვარდიელების მიმართ, ცხადი შეიქნება.

მაგრამ მიუხედავად ინგლისელ „მრჩევლების" კატეგორიული მოთხოვნილებისა, ეგვიპტის პარლამენტმა უარი სთქვა კრედიტების გაღებაზე და მხოლოდ სერვეტ-ფაშას (პრემიერის) მუდარით სავსე განცხადების შემდეგ, რომ ლაპარაკია მხოლოდ „ლტოლვილების" დახმარებაზე, პარლამენტი დასთანხმდა გაეღო მხოლოდ 1.800 გირვ. სტერლინგი გამოთხოვილ 3.000 გირ. სტ. ნაცვლად.

მაგრამ, როგორც სჩანს, რუსი თეთრგვარდიელები არ დააკმაყოფილა გადადებულმა თანხამ. გავიდა რამოდენიმე თვე და ეგვიპტის შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ ითხოვს „ცოტაოდენ გროშებს" თავის პროტეჟეებისათვის. დამატებითი კრედიტის გაღებას სამინისტრო ახლა „კომუნისტურ პროპაგანდასთან" ბრძოლის საჭიროებით ასაბუთებს. მაგრამ ეგვიპტის პრესამ უკანასკნელად გაფართოებული კამპანია დაიწყო შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ „კომუნისტურ საფრთხესთან" საბრძოლველად შემუშავებულ პროექტის წინააღმდეგ. ლიბერალების (მთავრობის) პარტიის (კონტრ. ორგანომ „ას-სიასამ" მოწინავე წერილში, რომელიც შეეხებოდა ამ საკითხს, აღნიშნა, რომ დაუშვებელია ეგვიპტის სამსახურში გამოყენებული იქნენ ბნელი ელემენტები, რომელთა მთელ „დამსახურებას" წარმოადგენს სამსახური მეფის პოლიციაში. უარყოფითი პოზიცია დაიკავეს პროექტისადმი სხვა გაზეთებმაც, რომლებიც ამავე დროს დაინტერესდნენ ე. წ. „რუსეთის ბიუროების" დანიშნულებით. ახალი საპოლიციო პროექტის უარყოფითმა შეფასებამ აიძულა შინაგან საქმეთა სამინისტრო გამოსულიყო „განცხადებით", რომ „რუსები არიან კომუნისტური მოძრაობის წყარო და უკიდურესი წამქეზებლები". ამიტომ „ქაირში, პორტ-საიდში და ალექსანდრიაში ეწყობა რუსეთის ბიუროები, სადაც რუსეთის ქვეყნებისათვის თვალყურის სადევნებლად დანიშნული იქნება ეგვიპტეში ცნობილი ზოგიერთი რუსები".

„რუსეთის ბიუროების" ფუნქციებიდან აღსანიშნავია შემდეგი:

1) მოწმობების გაცემა „კარგი ყოფა-ქცევის შესახებ".

2) დოკუმენტების და გაზეთების თარგმნა ეგვიპტის მთავრობისათვის.

3) ბიუროში აღრიცხულ რუსების კონფლიქტების გარჩევა.

ეს „ბიუროები" ეწყობა, ასე ვსთქვათ, ოჯახურ საფუძველზე. ქაირში „რუსეთის ბიუროს"-სათავეში ინიშნება (ეგვიპტის პრესის ცნობით) „მოსიე ნიკოლაი ვინოგრადოვი და მადემუაზელ ნინა სტაროსელსკაია, ალექსანდრიაში—მოსიე ალექსანდრ პეტროვი და მადემუაზელ ელენა სემიონოვა". პორტ-საიდის „ბიუროს" გამგედ დანიშნული „მოსიე კონსტანტინ კარასევი" როგორღაც „უმადემუაზელოთ" დატოვებიათ, მაგრამ იგი ალბათ სამაგიეროთ რაიმე სხვა „კომპენსაციას" მიიღებს.

რატომ არის, რომ ეგვიპტის შინაგან საქმეთა სამინისტრო ასე თავგამოდებით იცავს ბიუროების დაარსებას?, აქ, როგორც საერთო მიზეზი, როლს თამაშობს თეთრგვარდიელების მოღვაწეობის გაძლიერება ყველგან ინგლის - საბჭოთა ურთიერთობის გაწყვეტასთან დაკავშირებით. მაგრამ არსებობს კიდევ სპეციალური, თუ შეიძლება ითქვას წმინდა ეგვიპტური ხასიათის მიზეზი. ეს მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ უკანასკნელ ხანებში ეგვიპტის ახლანდელი მმართველების და მათი ლონდონელი „ხაზეინების" სურვილის წინააღმდეგ მტკიცე ნიადაგი ეყრება ინგლის - საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ურთიერთობის განახლებას და გაფართოებას.

ამ მიზნით, თუ ეგვიპტის მთავრობისათვის არა, მის „მრჩევლებისათვის" მაინც საჭირო შეიქნა რუსეთის „ბიუროები", რომლებიც აწარმოებენ „ბრძოლას კომუნიზმთან", მისცემენ რუსებს მოწმობებს „კარგი ყოფა-ქცევის" შესახებ და სხვ. „მოსიე ალექსანდრ პეტროვი და მადმუაზელ ნინა სტაროსელსკაია „(ალბათ) ცდილობენ გამოიყენონ მომენტი და რაც შეიძლება მეტი სტერლინგები ჩაიჯიბონ.

მაგრამ საეჭვოა, რომ მათი „ოჯახური იდილია" დიდ ხანს გაგრძელდეს. ეგვიპტის არსებული პარლამენტი კი მათი წინააღმდეგია და ისინი ბოგინობენ მხოლოდ ინგლისელ მფარველების წყალობით.

რ. მ.

საით მიდის ოპოზიცია

(კომინტერნის აღმასკომის რეზოლიუცია)

თავის რეზოლიუციაში საკავშირო კომპარტიის (ბ) ოპოზიციის შესახებ, კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმი აღნიშნავს შემდეგს:

1. საკავშირო კომპარტიის (ბ) ოპოზიციის იდეოლოგია ამჟამად გამოხატავს ისეთ შეხედულებათა სისტემას, რომლებიც სასტიკად ეწინააღმდეგება ბოლშევიზმს. ოპოზიციის ეს იდეოლოგია ყველაზე უფრო საპასუხისმგებლო პუნქტებში ეთანხმება სოციალ-დემოკრატიის შეხედულებებს საერთოდ, და რუსეთის მენშევიკების შეხედულებებს კერძოდ. პროლეტარიატის სახელმწიფოს,—საბჭოთა კავშირს, დახასიათება „ტერმიდორიანულ", ე. ი. კონტრ-რევოლიუციონურ სახელმწიფოდ, რომელიც „ადგია გადაგვარების გზას", ან „გადაგვარდა"; ასეთივე დახასიათება საკავშირო კომპარტიისა (ბ), პროლეტარიატის დიქტატურისა საერთოდ და მის სამეურნეო ორგანოებისა; საკავშირო კომპარტიის (ბ) ხელმძღვანელ წრეებისა და საბჭოთა ხელისუფლებისათვის „ბონაპარტიზმის" ბრალდების წარდგენა—მთელი ეს იდეოლოგია, გადმოწერილი მარტოვებისა, კაუცკებისა და დანებისაგან, ამტკიცებს, რომ ოპოზიციამ გაწყვიტა იდეური კავშირი ბოლშევიზმთან და სდგება კონტრ-რევოლიუციონურ სოციალ-დემოკრატიის გზაზე კორშის, კაცის, მასლოვის; სუვარინისა და კომპანიის მსგავსად.

2. ოპოზიციის ამ მენშევიკურ იდეოლოგიას შეეფერება მისი ტაქტიკაც. ოპოზიციამ სისტემატიურად აქცია ვულგარულ ცილისწამების მეთოდები და კომინტერნის, საკავშირო კომპარტიის (ბ) და სხვა სექციების ორგანოებისათვის სახელის გატეხის პოლიტიკა. ფრაქციულ დაჯგუფებიდან ოპოზიცია გადავიდა თავის ტროცკისტული პარტიის შექმნაზე, კომიტეტების ფართო ქსელით და საკუთარი გამაერთიანებელი ცენტრით, მუშაობის ფრაქციულ მეთოდებიდან ოპოზიცია გადავიდა არალეგალურ ტეხნიკის შექმნაზე, არალეგალურ კრებების გეგმაშეწონილ მოწყობაზე, ბინების ძალადობით ხელში ჩაგდებაზე; ქუჩის დემონსტრაციებზე და სხვა ცდებზე; რომლებიც ატარებენ არა მარტო ანტიპარტიულ, არამედ ანტისაბჭოთა ხასიათსაც. ამასთან ერთად შინაპარტიულ დისკუსიიდან ოპოზიცია გადავიდა აპელიაციაზე უპარტიო ობივატელურ მასებისადმი, რითაც უხსნის რა ხელფეხს ანტისაბჭოთა კონტრ-რევოლიუციონურ ძალების მუშაობას, ის [illegible] გზას უკაფავს ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რესტავრაციას. სწორედ ამიტომ ოპოზიციას აშკარად უჭერენ მხარს კონტრ-რევოლიუციონური პარტიები, პირველ რიგში ესერები და მენშევიკები.

3. არღვევს რა აშკარად დისციპლინას საკავშირო კომპარტიაში (ბ), ოპოზიცია აგრეთვე აშკარად არღვევს კომუნისტურ ინტერნაციონალის დისციპლინასაც. ოპოზიცია არ კმაყოფილდება მით, რომ ხელს უწყობს თავის აგენტების ფრაქციულ მუშაობას კომინტერნის შიგნით. ეგრედწოდებულ „ულტრა-მემარცხენე" რენეგატებთან ერთად, ის თავის გარშემო თავს უყრის აშკარა მემარჯვენე ელემენტებსაც (სუვარინი, როსმერი, ფრეი, ლორიო; როლანდ ჰოლსტი; გულა და სხვ.), უკავშირდება იტალიისა და პარიზის ემიგრაციის საეჭვო ჯგუფებს, თავის ცენტრალურ საზღვარგარეთის ორგანოდ ხდის მასლოვის ფურცელს, რომელიც გერმანიის პოლიციასთან აბეზღებს კომუნისტურ ინტერნაციონალის მუშაკებს და სხვ. და სხვ.

4. ოპოზიციის ასეთი მუშაობა არის აშკარა ღალატი პროლეტარიატის საერთაშორისო რევოლიუციონურ მოძრაობისადმი. ეს დანაშაულია განსაკუთრებით ამჟამად, როდესაც სოციალისტური აღმშენებლობა მოითხოვს ყველა ძალების შემჭიდროებას, როდესაც საბჭოთა კავშირზე იერიში მოაქვთ უდიდეს იმპერიალისტურ სახელმწიფოებს, როდესაც მდგომარეობა მოითხოვს, რომ ყველა რევოლიუციონური ძალები შეკავშირდნენ, რათა დაიცვან საბჭოთა კავშირი, როგორც საერთაშორისო რევოლიუციის, კაპიტალისტურ ქვეყნის პროლეტარიატის ფართო მასების და ჩაგრულ კოლონიალურ ხალხების ციხე-სიმაგრე. ოპოზიცია ილაშქრებს მსოფლიოში პირველ მუშურ სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელსაც ებრძვის მის ხელმძღვანელ პარტიას და პროლეტარიატის დიქტატურას. კოლოსალურ ისტორიულ ბრძოლების მიჯნაზე კაპიტალსა და შრომას შორის, იმპერიალიზმსა და საბჭოთა კავშირს შორის, ოპოზიციის ლიდერები [illegible] გარბიან ბრძოლის ველიდან, როგორც ზოგი ერთი მათგანი გაიქცა ბრძოლას ჯერ კიდევ 1917 წლის ოქტომბერში.

5. კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმი უდიდესი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ტროცკისტული ოპოზიცია სასტიკად დამარცხდა საკავშირო კომპარტიის (ბ) პარტიულ მასებში და საბჭოთა კავშირის მთელი მუშათა კლასში. ოპოზიციის დემაგოგიურ ავანტიურისტულ გამოწვევას მუშათა კლასმა პასუხი გასცა „ოქტომბრის გაწვევით"—საკავშირო კომპარტიის (ბ) რიგების ახალი შევსებით. კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმი აგრეთვე აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის მეგობართა კონგრესი მოწმობს სიმპატიების ძლიერ ზრდას საბჭოთა კავშირის მიმართ უპარტიო და სოციალ-დემოკრატ მუშების მხრივ, რომლებიც მიდიან საბჭოთა კავშირის დასაცავად თავის ბელადების სურვილის წინააღმდეგ და წინააღმდეგ ოპოზიციის ბელადებისა, რომლებიც ცილს სწამებენ საბჭოთა კავშირს და საკავშირო კომპარტიას (ბ). კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმი აგრეთვე აღნიშნავს პროლეტარიატის დიქტატურის მხარეზე ანარქისტული მოძრაობის საუკეთესო ნაწილის გადასვლას. ამრიგად, მიუხედავად ულტრა-მემარცხენე ფრაზეოლოგიისა, რომელიც თამაშობს ნიღაბის როლს, ოპოზიცია სინამდვილეში კავშირს კრავს სოციალ-დემოკრატ ბელადებთან სოციალ-დემოკრატიულ მასების წინააღმდეგ, ბლოკში შედის საბჭოთა კავშირისა და მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციის ყველა მტრებთან, რაც ერთხელ კიდევ უსვამს ხაზს მის გამხრწნელ ანტი-რევოლიუციონურ, დეზორგანიზატორულ ბუნებას, რომელიც თავის იჩენს შექმნილ მდგომარეობაში, როდესაც არსებობს ომის საფრთხე.

ყველა ზემოაღნიშნულის მიხედვით კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმი მთლიანად და სავსებით უჭერს მხარს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას ყველა ღონისძიებებს მის ბრძოლაში ტროცკისტულ ოპოზიციის წინააღმდეგ და ავალებს საკავშირო კომპარტიის (ბ) მომავალ ყრილობაც არ შეჩერდეს გადამჭრელ ზომების წინაშე, რათა ხელი შეუშალოს ოპოზიციონურ დეზორგანიზატორების მუშაობას. მთელი საერთაშორისო რევოლიუციონური პროლეტარიატი დაიცავს საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის დიქტატურას. იმ ხალხს, რომელიც ძირს უთხრის ამ დიქტატურას, იმ ხალხს, რომელიც აწარმოებს აშკარა ან ფარულ ბრძოლას მის წინააღმდეგ, ადგილი არა აქვს კომუნისტური ინტერნაციონალის რიგებში.

კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმი გამოსთქვამს სრულ რწმენას, რომ საკავშირო კომპარტიის (ბ) მორიგი (მე-15) ყრილობა განამტკიცებს საკავშირო კომპარტიის (ბ) რიგების უსასტიკეს დისციპლინას და სრულ ორგანიზაციულ და იდეოლოგიურ მთლიანობას, სავსებით უკუაგდებს ოპოზიციონურ იდეოლოგიის „ტერმიდორიანულ" თეზისს და სხვა „თავგულებს" და გაწმენდს პარტიას ყველა იმ პირებისაგან, რომლებიც, მასლოვისა და კორშის მსგავსად თავის ზრახვებს ფარავენ მემარცხენე ფრაზით და გადავიდნენ, ან გადადიან პროლეტარიატის კლასობრივ მტრების მხარეზე. კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ კომუნისტურ ინტერნაციონალის ყველა სექციებმა გამოაშკარავეს უარყოფითი დამოკიდებულება ოპოზიციისადმი.

ყველა ხელმძღვანელ ორგანოებს ევალება ენერგიულად და დაბეჯითებით განუმარტონ მასებს ოპოზიციის ანტიკომუნისტური ხასიათი.

საფრანგეთის მუშათა დელეგაცია თბილისში

გუშინ, საფრანგეთის მუშათა დელეგაცია გაიყო ორ ჯგუფად: ერთი ჯგუფი ესტუმრა რკინისგზის მთავარ სახელოსნოებს, სადაც დაათვალიერა ყველა ცეხები და ესაუბრა მუშებს, მეორე ჯგუფი კი შეუდგა ქართული და რუსული შრომის სკოლების დათვალიერებას.

სკოლებში დელეგატები გაეცვნენ სწავლების მეთოდს და მოწაფეების ნამუშევარს.

საღამოს პროფსაბჭოში გაიმართა დელეგატების საუბარი ადგილობრივ პროფმუშაკებთან. საუბრის დროს დელეგატებს აინტერესებდათ, თუ რამდენ წევრს აერთიანებენ საქართველოს პროფკავშირები, როგორია მუშების საშუალო ხელფასი, შრომის პირობები, როგორ მიმდინარეობს საბინაო აღმშენებლობა და სხვ. ყველა ამ საკითხებზე მათ ამომწურავი ცნობები მიაწოდეს ადგილობრივმა მუშაკებმა.

დღეს დელეგაცია მთელი შემადგენლობით მიემგზავრება ერევანში.

პარტიული ცხოვრება

საკავშირო პარტყრილობის წინ

478 დელეგატი

მოსკოვი, 30 ნოემბერი. მე-15 საკავშირო პარტიულ ყრილობაზე დასასწრებლად ჩამოვიდა 478 დელეგატი—ყრილობის შემადგენლობის ერთი მესამედი. დელეგატებს უფლება აქვთ თავისი მანდატებით დაესწრონ წარმოდგენებს ყველა სახელმწიფო თეატრებში.

მისალმება საკავშირო კომპარტიის ცეკას

მოსკოვი, 30 ნოემბერი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო მისასალმებელი ადრესი გერმანიის კომპარტიის ერცგებირგის საოლქო კომიტეტისაგან და რევოლიუციონურ მუშებისაგან რომელთაც 7 ნოემბერს, ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე ოლქის 60 ქალაქში მოაწყვეს დემონსტრაციები.

„კომუნისტური პარტია და ერცგებირგ-ფოგტლანდის რევოლიუციონური მუშები, რომელნიც 7 ნოემბერს კომპარტიის ხელმძღვანელობით გამოვიდნენ ქუჩებში,—ნათქვამია მისალმებაში,—ყველა საშუალებით და საკუთარი ბურჟუაზიასთან რევოლიუციონური ბრძოლით შეეცდებიან ჩაშალონ იმპერიალისტურ ყაჩაღების ცდა თავს დაესხან საბჭოთა კავშირს". (ადს).

ოქტომბრის გაწვევა

მოსკოვი, 30 ნოემბერი. მოსკოვში და მის გუბერნიაში 29 ნოემბრამდე მუშებმა და მუშაქალებმა შემოიტანეს 10.823 განცხადება პარტიაში მიღების შესახებ. განცხადების შემომტანთა საერთო რიცხვიდან ნახევარი უკვე გატარდა მიმღებ კომისიაში.

ყველა სამრეწველო ცენტრებში კვლავ გრძელდება მუშა და მუშა-ქალების განცხადებათა მიღება პარტიაში შესვლის შესახებ. მრავალ გლეხურ რაიონებში განცხადება შემოაქვთ სოფლის ღატაკ-ღარიბებს. მასალების მიხედვით, 28 ნოემბრისათვის მთელ კავშირში შემოსულია 3.756 განცხადება. სულ კი, წინათ შემოტანილთან ერთად 63.081-მდე.

დისკუსია აზერბეიჯანის კომკავშირში

ბაქო, 30 ნოემბერი. 28 ნოემბრამდე 71 პუნქტში კომკავშირის დისკუსიაში მონაწილეობა მიიღო 7,000 კომკავშირელმა.

ცენტრალურ კომიტეტის ხაზს ხმა მისცა—6.856 კაცმა, წინააღმდეგ 12, თავი შეიკავა 12, ორმა, რომელთაც ცეკას წინააღმდეგ მისცეს ხმა და აგრეთვე იმათაც, ვინც თავი შეიკავა შემოიტანეს განცხადება, რომ ისინი იმიჯნებიან ოპოზიციისაგან (ადს).

თბილისის ბოლშევიკები ოპოზიციის წინააღმდეგ

(დისკუსიის საბოლოო შედეგი)

დისკუსია დამთავრდა. ეხლა შეიძლება გამოვიყვანოთ საერთო ჯამი და შევაფასოთ ის ბრძოლა, რომელიც გაიმართა თბილისის ორგანიზაციაში პარტიასა და ოპოზიციის შორის.

ცეკას ორივე თეზისების გარჩევა გაგრძელდა სამი კვირა—4-დან 25 ნოემბრამდე. კრებებზე დასწრების პროცენტი საშუალოდ უდრის 76.8 პროც. დისკუსიამ დაამტკიცა, რომ ოპოზიცია კოლოსალურ უმცირესობაში დარჩა. განსაკუთრებით სასტიკი დამარცხება განიცადა მან მუშურ რაიონებში.

დისკუსიის საბოლოო შედეგები ასეთია: ხუთწლიან გეგმის თეზისების გარჩევაში სულ თბილისის ორგანიზაციაში მონაწილეობა მიიღო 9.771 კომუნისტმა, კამათში გამოვიდა 791, აქედან ოპოზიციონერი—117. თეზისების წინააღმდეგ ხმა მისცა 159 (1,62 პროც.), თავი შეიკავა 40 (0,4 პროც.). სოფლად მუშაობის თეზისების გარჩევაში მონაწილეობა მიიღო 9.771, კამათში გამოვიდა 625, აქედან ოპოზიციონერი—87. თეზისების წინააღმდეგ ხმა მისცა 152 (1,55 პროც.), თავი შეიკავა 23 (0,23პროც.).

როგორც მოსალოდნელი იყო, ოპოზიციამ ქალაქის რაიონში შეკრიბა მეტი ხმები, ვიდრე სხვა რაიონებში, ვინაიდან ეს რაიონები უმთავრ. არამუშურია თავის შემადგენლობით. განსაკუთრებით უმნიშვნელოა ოპოზიციისათვის მიცემულ ხმების რაოდენობა საწარმოო უჯრედებში.

ხუთწლიან გეგმის გარჩევის დროს თეზისების წინააღმდეგ ხმა მისცა საწარმოო უჯრედებში დამსწრეთა 0,9 პროცენტმა, საბჭოთა უჯრედებში—2,89 პროც., უმაღლ. სასწ. უჯრედ.—[illegible] პროც., სამხედრო უჯრედ.—0,36 პროც.; სოფლად მუშაობის თეზისების გარჩევის დროს საწარმოო უჯრედებში წინააღმდეგ ხმა მისცა 0.46 პროცენტმა, საბჭ. უჯრედებში—3,32 პროცენტმა, უმაღლ. სასწ. უჯრედ.—2,17 პროც., სამხედრო უჯრედ. 0,36 პროც.

ოპოზიციონერები ჩივიან, რომ მათ „არ აძლევდენ ლაპარაკის საშუალებას". მაგრამ ეს სინამდვილეს არ შეეფერება. მთელ რიგ უჯრედებში ოპოზიციის წარმომადგენლებმა ილაპარაკეს უფრო დიდხანს, ვიდრე ეს დაწესებული იყო რეგლამენტით (ლიტოგრაფია, ფოსტა, აღმასკომი, წყალსადენი, სახ. პოლიტექნ. ინსტ., მუშკოოპი და სხვ.); მაგ., ლიტოგრაფიაში თუმანოვმა მთელი ერთი საათი ილაპარაკა. რა თქმა უნდა, იყო ისეთი შემთხვევებიც, რომ განსაკუთრებით დემაგოგიური სიტყვების გამო („ცეკას ხელები გასვრილია ჩინეთის მუშების სისხლით" და სხვ.) ზოგიერთ ოპოზიციონერებს ართმევდენ სიტყვას და აძევებდენ კრებიდან, ან იქვე გამოჰქონდათ დადგენილება მათი პარტიიდან გამორიცხვის შესახებ, მაგრამ ამაში თითონ ოპოზიციონერებია დამნაშავე.

დისკუსიამ დაამტკიცა, რომ ოპოზიციას არ გააჩნია პრინციპიალური გეზი და ცეკას ნათელ და კონკრეტულ თეზისების წინააღმდეგ მას არაფრის წამოყენება არ ძალუძს. ოპოზიციონერების გამოსვლებს ახასიათებს უდიდესი დაბნეულობა და უამრავი წინააღმდეგობანი. ძლიერ ხშირად გამოსული ოპოზიციონერები ისე იბნეოდენ, რომ თითონვე ამბობდა უარს სიტყვებზე. ყველაფერი ეს ამტკიცებს ოპოზიციის იდეურ ღატაკებას.

ზოგიერთი ამხანაგები ოპოზიციონერების ამ უბადრუკ გამოსვლების შემდეგ საბოლოოდ გამოემიჯნენ პოზიციას და მხარი დაუჭირეს ცეკას თეზისებს.

განსაკუთრებით სასტიკი დამარცხება იგემა ოპოზიციამ საკითხში პარტიის მთლიანობის და ცეკას შესახებ. თუმცა ოპოზიციონერები გაიძახოდენ, რომ ისინი წინააღმდეგი არიან მეორე პარტიის შექმნის, მაგრამ მათ არავინ არ უჯეროდა და არც დაუჯერებს, ვინაიდან ოპოზიციის მთელი პრაქტიკული მუშაობა, მისი „საქმები", ძლიერ დაშორებულია ამ არაგულწრფელ განცხადებებიდან.

დისკუსიის განმავლობაში ოპოზიციონერებმა წამოაყენეს მხოლოდ 3—4 წერილობითი რეზოლიუცია, ვინაიდან რაიმე ახლის თქმა მათ თითონ არ შეეძლოთ, ისინი კმაყოფილდებოდენ ოპოზიციის კონტრ-თეზისების გადმოწერით. რა თქმა უნდა, თითონ ოპოზიციონერების გარდა, ამ რეზოლიუციებს ხმას არავინ აძლევდა.

სადავო საკითხები, რომლების შესახებ ოპოზიცია უკვე ორი წლის განმავლობაში გაჰკიოდა, თბილისის ორგანიზაციამ გულდასმით გაარჩია. ყველამ „გაიგო, თუ რა სურს ოპოზიციას". და ყოველივე ამის შედეგად თბილისის ორგანიზაციის კომუნისტებმა განაცხადეს: „ჩვენ მხარს ვუჭერთ პარტიას ოპოზიციის წინააღმდეგ".

დისკუსიამ დაამტკიცა, რომ თბილისის ორგანიზაცია არის ჯანსაღი, ბოლშევიკურად მტკიცე და მედგრად სდგას ლენინიზმის იდეურ პოზიციებზე. თბილისის ორგანიზაცია მტკიცედ უჭერს მხარს პარტიის რკინისებურ დისციპლინას და მის ფოლადისებურ მთლიანობას და მონოლიტობას.

ი. რ—ძე.

საბჭოთა კავშირის თავდაცვისათვის

წითელი არმიის 10 წლის თავი

1928 წლის 23 თებერვალს სრულდება ათი წელი დღიდან მუშურ-გლეხური წითელ არმიის საძირკვლის ჩაყრისა. ამ დიად დღეს იდღესასწაულებენ არა მარტო საბჭოთა კავშირის მშრომელნი, არამედ ყველა ქვეყნების მუშები და გლეხები, ვინაიდან საბჭოთა კავშირის წითელი არმია არის დიდი მიწის ზურგზე ერთად ერთი შეიარაღებული ძალა, რომელიც მოწოდებულია დაიცვას იარაღით ხელში ყველა ქვეყნების ჩაგრული მჩაგვრელთა ძალადობისაგან.

ძნელი და ამასთანავე სასიქადულო გზა განვლო წითელმა არმიამ ათი წლის განმავლობაში. მან გადაიტანა თავის ზურგზე მთელი სიმძიმე სამოქალაქო ომისა, უმაგალითო გმირობით დაამარცხა რუსეთის ბურჟუაზია, რომელსაც ზურგს უმაგრებდა ევროპის იმპერიალიზმი. სამუდამოდ მოსპო ექსპლოატატორთა კლასი და ამავე დროს გაუწია დიდი დახმარება ყოფილ რუსეთის იმპერიის სხვა ხალხებს, რომელნიც იჩაგრებოდნენ ბურჟუაზიის მიერ.

იმ დროს, როდესაც მთელმა ევროპამ გამოუცხადა ბლოკადა საბჭოთა კავშირს, როდესაც საბჭოთა კავშირი განიცდიდა დიდ გაჭირვებას, მუშურ-გლეხურ წითელ არმიას მაღლა ეჭირა თავისუფლების დროშა და თოფით ხელში შეუბრალებლად მუსრავდა მშრომელთა მტრებს.

როცა გათავდა სამოქალაქო ომი და აღარ არსებობდენ აშკარა ფრონტები, წითელი არმია შეუდგა მშვიდობიან აღმშენებლობით სამუშაოს თუმცა მზად ჰქონდა ყოველთვის იარაღი. ამ დარგშიაც წითელმა არმიამ ჰპოვა სრული გამარჯვება. იგი გადაიქცა მშრომელთა უმაღლეს სკოლად, სადაც წითელ არმიელნი იწვრთნებოდნენ და იძენდნენ ისეთ ცოდნას, რომელიც საჭირო იყო მინდვრად და ქარხნებში.

საბჭოთა კავშირის მშრომელნი სათანადოთ ჩაატარებენ წითელი არმიის ათი წლის თავს და ამ დღეს ერთხელ კიდევ აღნიშნავენ მის დაუფასებელ მოღვაწეობას. საბჭოთა კავშირის მშრომელნი უკვე შეუდგნენ სამზადისს წითელ არმიის იუბილეისათვის. მთავარი ლოზუნგი, რომელიც დაისახეს საბჭოთა კავშირის მუშებმა და გლეხებმა ამ დიად დღისათვის არის „წითელი არმიის ათი წლის თავზე ყველა მშრომელი მომზადებულ უნდა იყოს საბჭოთა კავშირის თავდაცვისათვის".

ამ ლოზუნგის განხორციელებისათვის საჭიროა, რომ ყველა ჩვენგანი ჩაებას აქტიურ მუშაობაში თავდაცვისათვის. ყველა მშრომელი უნდა გაეცნოს სამხედრო საქმეს, შეისწავლოს ბრძოლის საშუალებები და, რაც მთავარია, გახდეს აქტიური წევრი თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების, რომელიც წარმოადგენს საბჭოთა კავშირის თავდაცვის ერთ-ერთ მთავარ და საყრდენ ძალას.

ამასთან ერთად საჭიროა, რომ ყველა მშრომელმა, მუშამ და გლეხმა, ახლო გაიცნოს წითელი არმიის ისტორია, მისი ბრძოლები, მოღვაწეობა სამოქალაქო ომის დროს, მშვიდობიანი შრომა, მისი ცხოვრება სწავლება და სხვა. არსებული თავდაცვა-ავიაქიმის უჯრედების და ორგანიზაციების მუშაობა აქეთკენ უნდა იქნეს მიმართული. გამოცემულ უნდა იქნეს წითელი არმიის ისტორია ქართულ ენაზე; სამხედრო კუთხეებში სამხედრო საქმის შესწავლასთან ერთად ყოველდღიურად უნდა სწარმოებდეს საუბრები წითელ არმიაზე. ექსკურსიების მოწყობით ყაზარმებში, მშრომელნი უშუალოდ უნდა გაეცნენ წითელ ყაზარმის ცხოვრებას.

იუბილეემდი დარჩენილი დრო უნდა ფართოდ გამოვიყენოთ წითელ არმიასთან დასაახლოვებლად და მასთან მჭიდრო კავშირის გასაბმელად.

ი. გ—ლი.

თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების საზამთრო მუშაობა

თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების უჯრედების ძირითად ამოცანას ზამთრის განმავლობაში წარმოადგენს რეგულიარული მუშაობის წარმოება ყველა პრაქტიკულ ორგანიზაციებში (სასროლი და სანიტარული წრეები, ავიაქიმის რაზმები და სხვ.).

რამდენიმე თვის წინად თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებამ შეიძინა დიდძალი ახალი წევრები. 500.000-ზე მეტი მუშა და გლეხი ახლად შევიდა ამ ორგანიზაციის რიგებში.

მნიშვნელოვნად გაიზარდა აგრეთვე სხვადასხვა წრეების ქსელი. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ცოტაა ისეთი ორგანიზაციები, სადაც ყველა წევრები ჩაბმული არიან პრაქტიკულ მუშაობაში. „თავდაცვის კვირეულების" განმტკიცება პრაქტიკული მუშაობით—აი, უჯრედების მთავარი ამოცანა.

უნდა მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, რომ წრეებსა და რაზმებში მუშაობა სწარმოებდეს მტკიცე გეგმით და შეუფერხებლად.

„თავდაცვის კვირეულთან" დაკავშირებით ბევრ ორგანიზაციებში დიდი წარმატებით ჩატარდა სხვადასხვა სამხედრო ლაშქრობები და მანევრები.

ეს მუშაობა უნდა გაგრძელდეს ზამთარშიაც. იმისათვის, რომ ორგანიზაციებში მუშაობა შეუფერხებლად სწარმოებდეს, სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს ხელმძღვანელთა შერჩევას.

ხელმძღვანელთა საუკეთესო მარაგს წარმოადგენს თადარიგის მეთაურთა შემადგენლობა. ამიტომ თადარიგის მეთაურთა მოზიდვა საზოგადოების რიგებში და მუშაობა მათთან, წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას.

ყოველი ორგანიზაციის მუშაობის მდგომარეობა პირველ რიგში დამოკიდებულია მის ხელმძღვანელ შემადგენლობისაგან. თუ ხელმძღვანელი ორგანოები ვერ იჩენენ საკმაო ინიციატივას, არა აქვთ შრომის უნარი, მთელი ორგანიზაცია აუცილებლად უბადრუკი იქნება.

ამიტომ უჯრედების ბიუროების გადარჩევის კამპანიას უნდა მიექცეს უაღრესად სერიოზული ყურადღება.

ბიუროების არჩევნები დაიწყება უახლოეს დრომში. პარტიულ ორგანიზაციის დახმარებით საჭიროა შერჩეულ იქნას ბიუროს ისეთი შემადგენლობა, რომელიც ნამდვილად შესძლებს უხელმძღვანელოს უჯრედის მუშაობას.

უჯრედების ბიუროების ახალ შემადგენლობას მნიშვნელოვანი ამოცანა იქნება ბრძოლა საზოგადოებრივ დისციპლინის განმტკიცებისათვის. საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ ამ მხრივ ჩვენ მაინცდამაინც კარგი მდგომარეობა არა გვაქვს.

თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების ბევრი წევრები კმაყოფილდებიან მხოლოდ საწევრო გადასახადის შეტანით, მაშინ, როდესაც წესდების თანახმად, თვითეული წევრი უნდა მუშაობდეს საზოგადოების ერთ-ერთ პრაქტიკულ ორგანიზაციაში.

თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების თვითეული წევრი ცოტათ თუ ბევრად უნდა აუმჯობესებდეს თავის სამხედრო ცოდნას.

უჯრედების შიგნით რეგულიარული მუშაობისათვის ყურადღების მიქცევის დროს, რა თქმა უნდა, არ შეიძლება გვერდი აუხვიოთ უმნიშვნელოვანეს კამპანიებს, რომლებიც დაკავშირებულია თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების საქმიანობასთან.

ამ კამპანიებიდან უდიდესი მნიშვნელობა აქვს —წვევამდე მზადებას და წითელ არმიის 10 წლის იუბილეს. იუბილეს გარშემო უნდა ჩატარდეს სათანადო სააგიტაციო კამპანია, რათა ამით შეუწყოთ ხელი კავშირის განმტკიცებას მშრომელთა ფართო მასებსა და წითელ არმიის შორის; რაც შეეხება წვევამდე მზადებას, აქ საჭირო იქნება წითელ არმიისათვის განსაზღვრული მატერიალური დახმარების აღმოჩენაც, რომ უზრუნველყოფილ იქნას სწავლების სრული წარმატება.

უჯრედებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ სასწავლო პუნქტების მოწყობაში, წვევამდელთა კვების გაუმჯობესებაში და სხვ.

„თავდაცვის კვირეულის" შედეგად თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოება გადაიქცა უაღრესად პოპულიარულ საზოგადოებრივ ორგანიზაციად.

ამ ზამთრის განმავლობაში უნდა მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, რომ თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოება გახდეს სანიმუშო ორგანიზაციად თავის მუშაობის ხარისხითაც.

ი. ფ.

მშრომელთა გასამხედროება

სიღნაღის მაზრა

მშრომელთა გასამხედროების საქმეს სიღნაღის მაზრაში ხელმძღვანელობს № ქართ. მსრ. ლეგიონის მეორე ათასეული, რომლის მიერ დაარსებულია როგორც ქალაქ სიღნაღში, ისე სოფლად მრავალი სამხედრო კუთხე და ტირი.

ათასეულის უფროსთა და პოლიტშემადგენლობა არ ზოგავს ძალას და დონეს, რომ მაზრის მშრომელ მოსახლეობაში შეიტანონ სამხედრო ცოდნა და მოამზადოს იგი მოსალოდნელ თავდასხმისათვის. მეცადინეობა მოსახლეობასთან სწარმოებს კვირაში ორჯერ. მოსახლეობა ეცნობა წითელ არმიას, მის ბრძოლებს, ელემენტარულ სამხედრო ცოდნას, მომავალ ომის ხასიათს და წარმოებას სამხედრო ქიმიას და სხვა. მუშაობაში ჩაბმული არიან აგრეთვე ქალებიც.

რათა მოსახლეობა უფრო ახლო გაეცნოს სამხედრო საქმეს, განზრახულია ტაქტიკური მეცადინეობის მოწყობა მინდვრად, რაც, უეჭველია, უფრო გააღრმავებს მიღებულ ცოდნას.

ჟურ' აშვილი.

ქ. ხაშური

№ ლეგიონის მეორე და მესამე ათასეულების დაბრუნების შემდეგ, უფრ. და პოლიტშემადგენლობა შეუდგა მუშაობას ხაშურის სამხედრო კუთხეებში. ყოველ კუთხეში დანიშნულ იქნა ხელმძღვანელნი, რომლებსაც დაევალათ მუშაობის თავის სიმაღლეზე დაყენება.

ხაშურში არსებობს სამი სამხედრო კუთხე, ქალაქის სამკითხველოში, რკინის გზის სახელოსნოში და ადგილობრივ ცხრა წლედებში. კუთხეების მუშაობაში იღებენ მხურვალე მონაწილეობას როგორც ადგილობრივი ახალგაზრდობა, ისე ცვალებადი წითელ არმიელები. მეცადინეობა კუთხეებში მიმდინარეობს სისტემატიურად.

კარგად არის დაყენებული სამხედრო საქმის შესწავლა ცხრა წლედის სამხ. კუთხეში. მოწაფეები, როგორც ვაჟები, ისე ქალები იჩენენ დიდ ინტერეს სამხედრო საქმისადმი. კუთხეს ჰყავს 156 აქტიური წევრი, აქედან 67 ქალია.

უნდა აღინიშნოს, რომ კუთხეებს ესაჭიროებათ სამხედრო ხასიათის ლიტერატურა, ნაკლებად არის სამხედრო პლაკატებიც. საჭიროა, რომ აღნიშნული ნაკლი იქნეს გამოსწორებული.

გ. ბურკაძე.

წითელ ყაზარმაში

ჩვენი კედლის გაზეთი

(№ ლეგ. სკოლა)

ლეგიონის სკოლის კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგია აირჩეულ იქნა მიმდინარე წლის მარტში. გამომუშავებულ იქნა სამუშაო გეგმა, რომლის მიხედვით გაზეთში უნდა გაშუქებულიყო საბანაკო ცხოვრება, მუშაობა გლეხობაში და ყაზარმული ცხოვრება. მოძრავ ბანაკობის დროს გაზეთი გამოდიოდა სოფლებში, უნდა ითქვას, რომ სარედაქციო კოლეგია ამ ხანში მუშაობდა ენერგიულად და ჩვენი გაზეთი იპყრობდა თავისი შინაარსით გლეხობის ყურადღებას.

გაზეთი ყოველთვის დგა თავის სიმაღლეზე, მასალა იყო საინტერესო, რისთვისაც კონკურსის დროს ბევრჯერ დაიჭირა პირველი ადგილი.

გაზეთის ირგვლივ მრავლად არიან დარაზმული სამკორები. სარედაქციო კოლეგიის ენერგიული მუშაობის შედეგად [illegible] ისაა რომ სკოლას ჰყავს ბევრი აქტიური სამკორი, რომლებიც თავისი [illegible] უწევენ დიდ სამსახურს სკოლას.

ც—ლი.

ნაყოფიერი მუშაობა

(№ ქართ. მსრ. ლეგიონი)

ლეგიონში ჩამოყალიბებულია ჯგუფები, რომლებშიაც [illegible] მუშაობა ჩვენი პარტიის და ხელისუფლების დადგენილებების დასამუშავებლად. [illegible] ჯგუფში ირიცხება 5—8 წევრი, მეცადინეობა ტარდება ყოველ დღიურად ორი საათით ხელმძღვანელობენ ჯგუფებს აქტიური პოლიტმუშაკნი.

ჯგუფების მუშაობის შედეგი თვალსაჩინოა ყველასათვის, ამხანაგები კარგად ერკვევიან ყოველგვარ საკითხში და იღებენ მხურვალე მონაწილეობას კამათში და აზრთა გაცვლა-გამოცვლაში.

შემდეგში, უეჭველია, ჯგუფების მუშაობა უფრო გაფართოვდება და ამხანაგებიც აღიჭურვებიან სასარგებლო ცოდნით, რაც წინ წასწევს მათ განვითარების საქმეს.

კალამკაროვი.

სამხედრო ქრონიკა

წვევამდე მზადება

ნოემბრის 24-დან დაიწყო 1906 წელში დაბადებულ წვევამდელების ჯანმრთელობის შემოწმება. წვევამდე მზადება დაიწყება 5 დეკემბრიდან.

ახალწვეულნი

დამთავრდა ახალწვეულთა გამოცხადება წითელი ჯარის ნაწილებში. ახალწვეულნი მოთავსებულ არიან კარანტინში. ამ დღეებში ახალწვეულნი გადავლენ საცხოვრებლად ყაზარმაში და შეუდგებიან მეცადინეობას.

ახალი თადარიგის მეთაურნი

№ ქართ. მსრ. ლეგ. სკოლამ ამ დღეებში გამოუშვა 42 თადარიგის მეთაური, მეთაურებმა დაჰყვეს ლეგ. სკოლაში ერთი წელი გამოცდებმა გამოარკვია, რომ მათ მიერ საუკეთესოდ იყო შეთვისებული ყველა სამხედრო და პოლიტიკური საგნები.

წითელი არმიის სახლი

თბილისის წითელი არმიის სახლი აწარმოებს გაცხოველებულ მუშაობას თადარიგის მეთაურთა შორის. კვირაში ორჯერ ეწყობა მოხსენებები მეთაურთათვის სამხედრო დარგიდან, თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობა ტარდება სამხედრო და სასროლო კაბინეტში მეთაურთათვის აგრეთვე დაარსებულია სხვადასხვა ხასიათის წრეები.

უმაღლესი წვევამდე მზადება

თანახმად სამხ. სასწავლებლების მთავარ სამმართველოს ცირკულიარისა, უმაღლესი წვევამდე მზადება მიმდინარე წლიდან სავალდებულოა ყველა უმაღლეს სასწავლებლებისათვის.

ტროცკისტული პარტიის მუშაობა ლენინური პარტიის წინააღმდეგ

ყოფ. ცნობილი ოპოზიციონერი კუზოვნიკოვი ააშკარავებს ამ მუშაობას*)

ჩვენმა მუშაობამ უკანასკნელ ხანებში ჩამოყალიბებისა და ფრაქციიდან პარტიად გადაქცევის ხასიათი მიიღო. მე ყოველთვის ვსწერდი წერილებს მოსკოვში, რომლებსაც თქვენ ვერ იჭერდით. მე მაღელვებდა საკითხი მეორე პარტიის შესახებ, საკითხი უპარტიოებთან მუშაობის შესახებ. სანამ ბრძოლა სწარმოებდა კომუნისტური პარტიის შიგნით, მე შემეძლო ჩემი შეხედულებების დაცვა, მე ამას ვსცნობდი 100 პროცენტიან ლენინიზმად და ვიცავდი ჩემს შეხედულებებს პარტიის შიგნით. მაგრამ გამოდის ლიტერატურა, ერთი, მეორე, მესამე,—საჭიროა მათი გავრცელება. მე უნდა დავბეჭდო და გავავრცელო?

აი, რაშია საქმე. მაგრამ როცა აქტივზე დაიწყეს სტენოგრაფების დამუშავება, როცა მუშათა საკითხში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება 7 საათის სამუშაო დღის შესახებ, ხოლო გლეხთა საკითხში —ღარიბთა 35 პროცენტის განთავისუფლება სასოფლო - სამეურნეო გადასახადისაგან, მე ვფიქრობდი, რომ ბევრ რამეში შეიძლება შევასუსტოთ გალაშქრება პარტიის წინააღმდეგ, რომ უნდა დავეხმაროთ პარტიას გაატაროს ის, რაც მას დასახული აქვს ლოზუნგის სახით.

ჩვენ ვაგროვებდით საწევრო გადასახადს — ზოგისაგან 10 კაპ., ზოგისაგან 20 30., ზოგი კი იხდიდა მანეთსაც (შიგოვი ადგილიდან: დერიაბინი სჩიოდა, რომ მას 25 მან. აატაყავეს) დერიაბინი ჩვენი ფრაქციის ფულით მოგზაურობდა.

მე-15 კონფერენციის პარალელურად მოწვეული იყო სრულიად საკავშირო ტროცკისტული კონფერენცია. მომიწვიეს დავსწრებოდი კონფერენციას. მე განვაცხადე, რომ ეხლა თანახმა არ ვარ გამოვიდე აქტივზე, სრულიად საკავშირო კონფერენციის მოწვევას არ ვსთვლი სწორად. ცენტრმა მოგვწერა, რომ კონფერენციაზე დასასწრებლად ჩავსულიყავი ან მე და ან დერიაბინი.

მე მოსკოვში გავემგზავრე 1926 წლის დეკემბერში შობის დღეებში, და ჩემს უშუალო უფროსს (ეს არის საქმეში) მივწერე, რომ პროკურორის თანაშემწე კუზოვნიკოვი ავად გახდა. ვიყავი მოსკოვში. და დავბრუნდი უკან და არავის [illegible] შეუტანია ეჭვი, რომ მე ანტი-პარტიულ საქმეებს ვაკეთებდი.

ჩვენ დავაარსეთ არქივი. ამ არქივში არის ყველა დაბეჭდილი მასალები, რომელნიც მივიღეთ მოსკოვიდან. არქივი დაწყებულია 1923 წლიდან. იქ მე მაქვს 46-ის განცხადებაც და ყველა დოკუმენტები. ჩვენ ვადგენდით ჩვენი ფრაქციის სიებს. ჩვენ ვაწარმოებდით ყოველი ჩვენთაგანის აღრიცხვას. ვადგენდით აგრეთვე თანამგრძნობთა სიებსაც. მე მაქვს დირექტივა მოვსპო თანაგრძნობთა და მერყევთა სიები.

სიები, რომელნიც მე მქონდა (ფრაქციონერთა სიები) მე დავბეჭდე და მყუდრო ადგილას შევინახე. როცა მე მოსკოვში ვიყავი, თურმე აქ გამოიტანეს გადაწყვეტილება, რომ ჩემგან ჩამოერთმიათ არქივი და სიები, მაგრამ მათ ვერ ნახეს ვერც არქივი და ვერც სიები, თვით სახელმწ. პოლიტსამმართველომაც კი, რომელიც მთელ ბინაში ეძებდა ამ სიებს, და ვერ ნახა; მე კი ჩავედი და ყველაფერი ძალიან ჩქარა ჩამოვიტანე. ეს საბუთები ძალიან კარგ ადგილას იყო შენახული, მხოლოდ ცოტა დასველდა.

ეხლა გადავალ დასკვნით ნაწილზე. ჩვენმა ხუთეულმა გადასწყვიტა, რომ აქტივის კრებაზე, რომელზედაც უნდა დასწრებოდა ბელობოროდოვი, მთელი ჩვენი ძალები მიგვეყვანა! ამხანაგებს მივეცით წინადადება მოსულიყვენ იქ. უნდა გამოსულიყვენ მთელი რიგი ჩვენი ამხანაგები და ორატორები ბუფერის ჯგუფიდან—სუდიკის ტიპისა, უნდა გამოსულიყო დერიაბას ქალი (იგი არ გამოვიდა, თურმე ის მხოლოდ ტაშს უკრავდა და წინააღმდეგ მისცა ხმა). ყოველ შემთხვევაში, ისიც უნდა გამოსულიყო. მე მოსკოვში წაველი. მივედი ჩემს ცეკაში, გამოვცხადდი ჩვენი „მსოფლიო ბელადის" ტროცკის წინაშე (ეს იყო აქტივის კრებაზე; მე მომცეს ეს ბილეთი და მითხრეს, რომ თქვენ ადგილი, ამხ. კუზოვნიკოვ, დათმობილი გაქვთ „მსოფლიო ბელადების" გვერდით) იქ იხილავდენ დემონსტრაციის გეგმას. მე იქ ვიყავი ნოემბრის სწორედ პირველ რიცხვებში მივედი იქ და ვინახულე სხვადასხვა პირნი, ვინაიდან ნახვა მეტად კონსპირატიული იყო, მე ვითხოვე მელაპარაკნა ტროცკისთან. მე დამპირდენ, მაგრამ შემდეგ, როცა დაიწყო ეს ამბები, მე მითხრეს: კარგი, შენ მას მოელაპარაკები აქტივზე. მაშ კარგი, ეშმაკმა წაიღოს თქვენი თავი, —გავიფიქრე მე,—მოველაპარაკები როგორც იქნება. მათ ჩემთან შეთანხმების და ჩემდა უცნობლად თურმე მათ ურალზე გაგზავნეს ჯგუფი: მრაჩკოვსკი, ბელობოროდოვი, ტროცკის შვილი, „ლეკუშკა" სოსნოვსკი და ბარანოვი. ყოველ შემთხვევაში მე არ ვიცოდი, რომ ისინი წამოვიდენ აქ და მე კი—მოსკოვში.

მოსკოვში მე მონდობილობა მივიღე ოქტომბრის დღესასწაულის გეგმის განხილვაში. მე, რასაკვირველია, ვსდუმდი. ხალხი ცოტა იყო. ეს მოხდა საბჭოთა მეოთხე სახლში, იქ მონაწილეობას იღებდა დაახლოებით 3—4 კაცი, მათ შორის ი ნ. სმირნოვი, რაფაილი და კიდევ ვიღაც ქალი, რომელსაც მუსიას უწოდებდნ. დასახულ იქნა: დაგვეწერა ლოზუნგები ტილოზე, დაგვებეჭდა ფურცლები, შედგენილ იქნა დემონსტრაციაზე და კინოში გამოსვლის გეგმა; როცა დაიწყებოდა სურათ „დიდი გზის" ჩვენება, კინოში უნდა შემოსულიყო ლ. ტროცკი, მისთვის უნდა გაემართათ ოვაციები, ეძახათ „ურა", შეექმნათ ჩოჩქოლი და სხ. დემონსტრაციის ეს გეგმა ეხლა ჩაგდებული გაქვთ ხელში და პარტიის ცენტრალური კომიტეტის განკარგულებაში იმყოფება.

განზრახული იყო, რომ ალექსანდრეს სადგურთან შე[illegible]ოდება ტროცკისტების მთელი მასა, და განსაზღვრულ საათში, ქარხანა „დუქსის" გავლის დროს, ლ. დ. ტროცკი და ლ. ბ. კამენევი წარმოსთქვამენ მისასალმებელ სიტყვებს, მათ მიესალმებიან და ამით „ლურსმანი ჩაიჭედება". ვიყავით „დაკავშირების" [illegible] სმილგასთან და სასტუმრო „პარიზში". ვფიქრობდით შევკრებილიყავით წითელ მოედანზე. მე თავიდანვე ვიყავი წითელ მოედანზე. რის გაკეთებას ვფიქრობდით, და რა გამოვიდა? სწორედ ამ ბილეთით მე ვიჯექი ტრიბუნაზე, დემონსტრანტები მიდიოდენ ტრიბუნის წინ: მე დავალებული მქონდა დამეთვალა, რამდენი იქნებოდა ანტი-ოპოზიციონური ლოზუნგი, მე სულ დავთვალე ასი. იქ იყო პლაკატები: „გაუმარჯოს ლენინის პარტიას!", „ძირს გამთიშველები—ტროცკი და ზინოვიევი!". და სხვ.

ალექსანდრეს სადგურთან მოხდა შემდეგი: ტროცკიმ რამოდენიმეჯერ გაიარა დახურულ ავტომობილით, გაიარა პეტროგრადის გზატკეცილზე, იქ თავი მოიყარა უპარტიო მუშების ჯგუფმა, რომლებიც პერსონალურად ტროცკის გაჰყვებიან. ამ დროს გამოიარა ქარხანა „დუქსმა", და ტროცკისტების ჯგუფმა მოაწყო ოვაცია, ესეც იყო მცირე, წინასწარ გამოანგარიშებული, სასტიკად მომზადებული ექსპერიმენტი.

უკანასკნელი ექსპერიმენტი — ტროცკი წავიდა ბინაზე სმილგასთან. ეს ბინა ძალიან მოხერხებულ ადგილზეა, დიდ მოედანზე. სმილგას აივნიდან გადმოსროლილ იქნა ლოზუნგი „შევასრულოთ ლენინის ანდერძი". ყველა მიდიოდა და უცქეროდა. ამ დროს სახლის სახურავზე გამოჩნდენ ამხანაგები ცეკას უმრავლესობიდან, ყვიროდენ და უნდოდათ ზინოვიევისა და ტროცკის სურათების ჩამოხსნა. სანამ არ მოვიდენ ტროცკი და კამენევი, კასპაროვა იატაკის ჩოთქით არ ანებებდა სახურავზე მყოფ ამხანაგებს სურათების ჩამოხსნას, ხელს უშლიდა მათ. მოვიდენ „მძლავრი პირები" — მოსკოვის ოლქის ჯარების ყოფილი სარდალი მურალოვი და თვით სამხედრო რევოლიუციონურ საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე ტროცკი და, რა თქმა უნდა, მოწინააღმდეგესთან ბრძოლის ფორმა შეიცვალა, მათ ჩოთქით კი არ დაიწყეს ბრძოლა, არამედ მათ დაუწყეს სახურავზე მყოფ ამხანაგებს იმ ჩანგლების წართმევა, რომლებითაც ისინი სცდილობდენ სურათების ჩამოგლეჯას. მე ვნახე ეს ნადავლი. ხალხი სეირს უყურებდა, და გამოდიოდა ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს აქ თავმოყრილი იყო ხალხის დიდი მასა, მაგრამ აქ ბევრი იყვენ ტროცკისტები, როდესაც ცეკას მომხრეებმა გაიგეს, რომ სმილგას ბინასთან რაღაც მოხდა, გადაჰყვანეს იქ თავისი ძალები, დაიწყეს ვაშლების, ლაყე კვერცხების და სხვ. სროლა, და, ყოველ შემთხვევაში არც ტროცკის და არც ზინოვიევს სიტყვები არ წარმოუთქვამს. როდესაც ზევიდან იცქირები, გეჩვენება, რომ ბევრი თანამგრძნობი გყავს, მაგრამ აქ იყო ხუთასიოდე ტროცკისტი, და შეიქმნა საკმაო ძალების სურათი.

აქ საინტერესოა ბელადების შეფასება. კამენევი ამბობს, რომ მოედანზე იყო 5 ათასამდე კაცი, ტროცკი კი ამბობს, რომ იყო 15 ათასამდე. კამენევი ამბობდა, რომ მთელი ხალხი, მცირე ჯგუფის გამოკლებით, ტაშს გვიკრავდა, ტროცკი კი ამბობს, რომ ჩვენ ტაშს გვიკრავდა ჩვენი ხალხის ცხრა მეათედი. რამდენი იყო ჩვენი ხალხი— ეს მოდი ალგებრულად გამოვარკვიოთ. შემდეგ მოვიდა მაგარი ჯგუფი, ლოზუნგები ჩამოგლიჯეს, და ამით ამ ამბებს ბოლო მოეღო.

შემდეგ მოხდა „პარიზის" ნამდვილი დაპყრობა. პრეობრაჟენსკი და სხვები გამოჩნდენ აივანზე და გადმოისროლეს პლაკატი „უკან ლენინისაკენ", გამოჰკიდეს „პროლეტარიატის მსოფლიო ბელადების" სურათები და დაიწყეს ლოზუნგების გადმოსროლა ხალხში. მიუხედავად ჩემი კარგი დამოკიდებულებისა პრეობრაჟენსკისთან, მე მეცინებოდა, როდესაც ვფიქრობდი, თუ რა ეფექტს მოახდენდა ეს მასებზე. რა თქმა უნდა, მასები ამ ანკესზე არ წამოეგენ.

ხალხი მიდის და იცქირება ზევით. შემდეგ მოვიდა მოწყობილი ტროცკისტული ჯგუფი, დაიწყეს „ურა"-ს ძახილი, გარშემო თავის მოყრა იწყო უსაქმო ხალხმა და შეიქმნა შთაბეჭდილება, თითქოს ბევრი ხალხი ყვიროდა: „გაუმარჯოს ტროცკის და ზინოვიევს!", მაგრამ, მალე მოვიდა მეორე ჯგუფი, რომელმაც შეამტვრია სასტუმრო „პარიზი"-ს კარები დაუზიანა გვერდები პრეობრაჟენსკის, და ამით საქმე გათავდა.

მოსკოვში მომხდარ გამოსვლებთან ერთად გამოსვლები იყო ლენინგრადში, და ხარკოვში, უნდა მომხდარიყო აქაც. აქ არ მოხდა, ხარკოვშიაც არ მოხდა, მაგრამ იყო გამოსვლების მოწყობის ცდები ლენინგრადში, იქ გაგზავნეს ზინოვიევი, ევდოკიმოვი, რადეკი და სხვები. თქვენ იცით, რომ ისინი განამარტოვეს ტოლმაჩევის აკადემიაში და ამით ყველაფერი გათავდა.

7 ნოემბრის შემდეგ, საღამოზე სმილგას ბინაზე თავი მოიყარა, ჩემის აზრით, ოპოზიციონერების აქტივის 50-ამდე კაცმა. თავმჯდომარეობდა ლევ ბორისის ძე კამენევი, მოხსენება, ან უფრო სწორად რომ ვსთქვათ, ყველა კამათის რეზიუმე, გააკეთა ტროცკიმ (არსებითად ეს იყო გაერთიანებულ ცეკას გაფართოებული სხდომა). რაიონული ორგანიზატორები აკეთებდენ ინფორმაციას იმაზე, თუ რა მოხდა თვითეულ რაიონში — დაახლოებით ის, რაზედაც მე ვილაპარაკე. მე ჩავეწერე სალაპარაკოდ, მაგრამ ჩემ განწყობილებას იცნობდენ, და ამიტომ არ მალაპარაკეს. მაგრამ, როდესაც განწყობილება გადაიხარა არა იმის სასარგებლოდ, რაც აუცილებლად მიაჩნდა ტროცკის, მაშინ გამოვიდა ი. ნ. სმირნოვი, რომელმაც შემოიტანა წინადადება კამათის შეწყვეტის შესახებ, და ეს მიღებულ იქნა. კამათი შესწყდა, და მე ვერ შევძელი გამეშუქებია მოსკოვის აქტივზე ურალის სინამდვილე და ჩემი თვალსაზრისი.

მე იქ ძლიერ მოკლედ ველაპარაკე ტროცკის და კამენევს სმილგას კაბინეტში საჭირბოროტო საკითხებზე, [illegible] მათ განმიცხადეს, რომ სანამ არ არის ცენტრის გადაწყვეტილება (ზინოვიევი კიდევ არ იყო დაბრუნებული ლენინგრადიდან), მათ არაფრის თქმა არ შეუძლიათ, და წავიდენ.

რაზე იყო ლაპარაკი? როგორ უნდა შევაფასოთ პოლიტიკური თვალსაზრისით ის, რაც მოხდა? ხომ მართლაც მოხდა ისტორიული ამბები. ის დავა, რომელიც სწარმოებდა სხვადასხვა მეთოდებით (ფრაქცია აწყობდა ანტი-პარტიულ გამოსვლებს, არღვევდა ყოველგვარ წესდებებს და სხვა), ეს დავა გადატანილ იქნა უპარტიო მასაში ქუჩის დემონსტრაციის წესით. ეს სრულიად ახალი მოვლენაა. თვით კადრებიც კი არ იყვენ მომზადებული ამ ამბებისათვის.

ტროცკი იძლეოდა ასეთ დებულებას— ადარებდა პარტიას და კლასს, მოჰყავდა დიდ და პატარა ბორბლის მაგალითი. ის ამბობდა, რომ პატარა ბორბალი არის პარტია, დიდი ბორბალი კი კლასი. **საერთოდ რომ ვსთქვათ, პატარა ბორბალი— პარტია — ხელმძღვანელობს კლასს, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც დიდ ბორბალს შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს პარტიაზე, ე. ი. კლასს შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს პარტიაზე. ახლა ჩვენში ისეთი მდგომარეობაა, რომ ჩვენ კლასს უნდა მივმართოთ პარტიის წინააღმდეგ.** მას მაშინვე მისცეს შეკითხვა: როგორ ფიქრობთ, თქვენ, ლევ დავითის ძევ, ვაწარმოოთ თუ არ ვაწარმოოთ ანტი-პარტიული მუშაობა კომუნისტური პარტიის შიგნით? ის ამბობს, რომ ეს საკითხი საბოლოოდ ასი პროცენტით ჯერ კიდევ არ გადაჭრილა. ყოველ შემთხვევაში, მე ვფიქრობ, რომ ეს აქტივი მოწვეულ იქნა იმ მიზნით, რომ გაეფანტა ის გულგატეხილი განწყობილება, რომელიც შეიქმნა ამხანაგებში ამ დემონსტრაციის შედეგად. მე ვფიქრობ, რომ სიმტკიცე ამ ამხანაგებს დიდი არა აქვს: თუმცა ეს მოსკოვის აქტივია, მაგრამ ის არ არის სვერდლოვსკის აქტივზე უფრო მტკიცე.

ტროცკი ამბობდა, რომ დემონსტრაციის დროს **კუდები ჰქონდა ოპოზიციასაც და კუდები ჰქონდა ცეკას უმრავლესობასაც**, მუშათა კლასი პასიური იყო. ცენტრალურ კომიტეტის უმრავლესობის კუდი აქტიური იყო, ის აქტიურად იბრძოდა ჩვენს წინააღმდეგ, ჩვენი დროშების წინააღმდეგ, გვართმევდა დროშებს და სხვ., ჩვენი კუდი კი იყო პასიური — ეს არის პრინციპიალური განსხვავება. რაოდენობითი განსხვავება იმაშია, რომ ცენტრალურ კომიტეტის უმრავლესობის კუდი უფრო დიდი იყო, ვიდრე ოპოზიციის კუდი. ტროცკის ძირითადი დასკვნა მდგომარეობს იმაში, რომ საჭიროა შემდეგშიაც არ შევანელოთ ტემპი, საქმე შემდეგშიაც ისე უნდა ვაკეთოთ, როგორც დავისახეთ, უნდა მტკიცედ მივიღოთ მონაწილეობა კენჭის ყრაში, წამოვაყენოთ ნათელი რეზოლიუციები და, რაც მთავარი და ძირითადია, — მივმართოთ უპარტიოებს.

ტროცკის ყველა ეს სიტყვები, ჩემის აზრით, ბევრს იქ დამსწრეთაგანს არ მოსწონებია. კამენევს, რომელიც თავმჯდომარეობდა, მონაწილეობა არ მიუღია კამათში, კამენევი კი, როგორც თქვენ იცით, ზინოვიევის მომხრეა. ამ აქტივის შემდეგ მე არა თუ ვიგრძენი, არამედ დანამდვილებითაც გავიგე, რომ ტროცკიმ მკაფიო პასუხი არ გასცა იმ შეკითხვებზე, რომლებიც წამოაყენა მოსკოვის აქტივმა, ვინაიდან არ იყო ცენტრის გადაწყვეტილება.

ჩემთვის გასაგები გახდა, რომ ჩვენი ტროცკისტული პარტიის შიგნით არსებობს სრულიად განსაკუთრებული, ზინოვიევის პარტია.

იქ ყველას ძლიერ აღელვებდა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაგრძელდეს შემდეგში „დაკავშირება". პირადად მე საუბარში ტროცკისტათანაც და კამენევთანაც ვამბობდი: „ამხანაგებო, ამჟამად გამოცხადებულია დისკუსია, რა საჭიროა ამ დაკავშირების მოწყობა. ახლა უნდა მივიღოდეთ აქტივებზე, უჯრედებში. რა არის დაკავშირება? მოვა ჩვენთან დასაკავშირებლად მუშა, უნდა მივიღოთ, მოვა დასაკავშირებლად პარტიიდან რაიმე მიზეზით გამორიცხული, უნდა მივიღოთ ისიც. მე ვამბობდი, რომ პრინციპიალურად წინააღმდეგი ვარ დაკავშირების. ჩვენთან გამოცხადებულია დისკუსია და დისკუსიის ფარგლებში გავაკეთოთ ის საწინააღმდეგო განცხადებები, რომლებიც გვაქვს. მე ვფიქრობ კუსინენის საპასუხო განცხადებები კომინტერნში შესვლის ეგრედ წოდებულ ზინოვიევის 21 პირობის წინააღმდეგ ვერ არის საკმაოდ ძლიერი და დამაჯერებელი თავის შინაარსით, მაგრამ ტაქტიკის თვალსაზრისით ეს განცხადებები 100 პროცენტით უნდა იქნეს მოწონებული. **ზინოვიევი კი ჩაფლავდა, და მისი ჩაფლავებული უპასუხისმგებლო წერილი საჭიროდ ჩასთვალეს მოეთავსებიათ** ახლა, როდესაც გამოცხადებულია დისკუსია; როდესაც არის მეტი თუ ნაკლები საშუალება გაზეთში წერის, უნდა ვისარგებლოთ ამით. როდესაც დაიწყო დაკავშირების საკითხის განხილვა, დაისვა კითხვა: **უნდა წავიდეთ კლასთან**, მაგრამ სად წავიდეთ — უშუალოდ ფაბრიკაში, ქარხანაში, თუ ბაზარში, სადაც ოჯახის დიასახლისები და **მუშების ცოლები** ყიდულობენ პროდუქტებს? აი, ასე ისმებოდა კითხვა: მაგრამ, რა თქმა უნდა, ჩვენ იქ ვერაფერს ვერ მივაღწევდით.

მაგრამ ყოველივე იმისგან, რაც სთქვა ტროცკიმ, და რამაც მე საბოლოოდ შემარყია, ეს იყო **მოურიდებელი აპელიაცია უპარტიო მასებისადმი, ტროცკის და სხვნამ კი საბოლოოდ ამამხედრა ტროცკისტების ძირითად ხაზის წინააღმდეგ ტროცკი არასოდეს და არავის არ ეტყვის, რომ ის მეორე პარტიის მომხრეა.** თუ ტროცკის დაუსვეს საკითხი მეორე პარტიის შესახებ, ის ამბობს, რომ ის კატეგორიულად წინააღმდეგია მეორე პარტიის და ის არ უკავშირდება იმას, ვინც ამას მხარს უჭერს. უწინდელი ისტორიით დამტკიცებულია, რომ ტროცკის ბლოკი ჰქონდა შლიაპნიკოვთან, და ახლა სრულებით წარმოუდგენელია, რომ ტროცკი არ იყენებდეს ყველა ჯგუფებს, რომლებიც ილაშქრებენ პარტიის წინააღმდეგ ის მათ შეიძლება პირადად თვითონ არ იყენებდეს, არამედ სხვა პირთა საშუალებით. **ტროცკი არის პირველი რანგის ბელადი, ზინოვიევი და კამენევი კი— მეორე რანგის. ის მე ისე წარმომიდგინეს, და ისე ამბობდენ, რომ ის შენ ყველა საკითხებზე პასუხს არ მოგცემსო.** აპელიაცია უპარტიოების მიმართო, უპარტიოებისათვის ისეთი ახსნა-განმარტების მიცემა, რომ პოლიტბიურო არ აწარმოებს სწორ პოლიტიკას, ცენტრალურ კომიტეტის პოლიტბიუროსათვის სახელის გატეხა, ლაპარაკი ჩინეთზე, ლაპარაკი ინგლის - რუსეთის კომიტეტზე, ყველაფერი ეს არ არის პარტიის შიგნით ლაპარაკი. მე ვამბობდი, რომ ამას არ ვეთანხმები.

ახლა როგორ სდგას საკითხი? ტროცკი ამბობს: „უმგზავსოებაა ის, რაც ჩვენში ხდება". რაში ხედავს ის უმგზავსოებას? ის ამბობს, რომ უმგზავსოება იმაშია, რომ სტალინისათვის საბრძოლველად მისი მომხრენი დღეს მზად იყვენ, ჩვენი ხალხი, ჩვენი აქტივი კი მზად არ არისო".

აი, რა იყო მოსკოვის აქტივზე, მოკლედ რომ ვსთქვათ.

ახლა მე ჩამოვედი აქ და მოვიწვიე ჩემი აქტივი. სანამ მე წამოვიდოდი, მათ დაიწყეს ჩემთვის სახელის გატეხა, ამბობდენ, რომ მე გადავიხარე, გადასწყვიტეს ყველა ბინების გადატანა, შეეცადნენ, რომ მე რამოდენიმე დღე არ მენახა არც ბელობოროდოვი და არც მრაჩკოვსკი. მე დაუყოვნებლივ მოვიწვიე აქტივი და გავაკეთე ცნობა მოსკოვის შესახებ, მაგრამ პოლიტიკურ შეფასებიდან თავი შევიკავე. აქტივზე იყო 25 კაცი. იყვენ თითქმის ყველანი სვერდლოვსკიდან (ურალი); ეს აქტივი კი არ იყო, არამედ ყველა ჩვენი წევრები სვერდლოვსკიდან, იშვიათ გამონაკლებით, ვინც მივლინებაში იყო. აქ იყვენ მრაჩკოვსკი, ბელობოროდოვი და გორიაჩევი, მრაჩკოვსკიმ შემოიტანა წინადადება, რომ თავმჯდომარედ აგერჩია ხოლმოვსკი. ყველა კრებებზე ან მე ვთავმჯდომარეობდი, ან მრაჩკოვსკი, ახლა კი ვითომ დემოკრატია გაითამაშეს. ჩემს შემდეგ გამოვიდენ ბელობოროდოვი და მრაჩკოვსკი, რას ამბობდენ ისინი? ისინი ამბობდენ, რომ მე შევშინდი, რომ მე არსებითად უკვე სტალინის მომხრე ვარ, რომ მე დიდი ხანი ვარ სტალინის მომხრე. მრაჩკოვსკიმ სთქვა, რომ ჩემი მერყეობა არ არის დღევანდელი დღის მერყეობა, რომ მას დიდი ხანია სურდა ამ მერყეობის ამოწვა გახურებული შანთით, მაგრამ ეს მან ვერ შესძლო, ვინაიდან კუზოვნიკოვი დიდი ფიგურაა და არ შეეძლო იმის მოშორებაო.

ისინი ექვსჯერ გამოვიდენ ჩემს წინააღმდეგ, ვინაიდან ყველამ, ვინც მონაწილეობა მიიღო კამათში, მხარი დაუჭირა ჩემს ორიენტაციას. რაში მდგომარეობდა ჩემი ორიენტაცია?

მე ვამბობდი, რომ არ შეიძლება ისეთი განცხადების გაკეთება, რომელიც გააკეთა ბელობოროდოვმა. **ბელობოროდოვი ამბობდა, რომ თავი უნდა გავანებოთ პოლიტიკურ ბრძოლას, ხვალვე უნდა დავსდგეთ ვერხნე - ისეტის ქარხანასთან, როდესაც გამოიცვლებიან მუშები და ვაყვიროთ, რომ პარტია და მისი პოლიტბიურო აწარმოებენ დამღუპველ პოლიტიკას. ცენტრის— ცენტრალურ კომიტეტის — წინააღმდეგ უნდა ვაწარმოოთ დემაგოგია, „დემაგოგიით ყველაფერი უნდა დავფაროთ". თქვენ წარმოიდგინეთ, თუ ტროცკის სიტყვებს ასე იგებს სახალხო კომისარი, როგორ უნდა გაიგოს ისინი უპარტიო მუშამ?** როდესაც საქმე სწარმოებდა პარტიის შიგნით, მაშინ სხვა იყო, ახლა კი, როდესაც საქმე პარტიის გარეთაა გადმოტანილი, როდესაც დასმულია კითხვა 7 საათის სამუშაო დღის შესახებ, როდესაც ღარიბთა 35 პროცენტი განთავისუფლებულია გადასახადებიდან, —სულ სხვა მდგომარეობაა. ახლა მუშათა კლასის ამხედრება პარტიის წინააღმდეგ ნიშნავს იმის ლაპარაკს, რომ პარტია გადაგვარდა. უამისოდ შეუძლებელია ასეთ დებულების წამოყენება, ეს შეუსაბამოა პოლიტიკურად.

მე ვამბობდი, რომ არ შეიძლება მიმართვა უპარტიოებისადმი, ვინაიდან ეს არის ავანტიურიზმის გზა. რას გამოიწვევს ეს? ანარქიულ მოქმედებას. რით გინდათ თქვენ ისარგებლოთ? თქვენ ფიქრობთ, რომ პარტია მიტომ გადაგვარდა, რომ თქვენ არ გაძლევენ ლაპარაკის საშუალებას, მაგრამ ილაპარაკეთ ისე, რომ შეიძლებოდეს თქვენი მოსმენა.

ყველა ორატორები ჩემს თვალსაზრისს უჭერდა მხარს. ამ აქტივზე მრაჩკოვსკიმ გადასწყვიტა გაეტეხა ჩემთვის სახელი და გამოვიდა ჩემს წინააღმდეგ. როცა მე საკონტროლო კომისია ან სხვა ამხანაგები რაიმეში ბრალს მდებდენ, ის ფიქრობდა, რომ ჩემზე უარესი ადამიანი ქვეყანაზე

---

*) დასასრული იხ. „კომუნისტი" № 271.

საბჭოთა საქართველო

წერილები

მისაბაძი მაგალითი

საბჭოთა ხელისუფლების ათი წლის არსებობამ ფრიად შესანიშნავი ნაყოფი გამოიღო გლეხობას როგორც ეკონომიურ მდგომარეობის საქმეში, ისე კულტურული დონის ამაღლებაშიაც. საბჭოთა სოფელი თანდათანობით ზურგს აქცევს ძველ, გლეხობისათვის მავნე ზნე-ჩვეულებებს და მის მაგივრად ითვისებს ახალს, მისთვის და მომავალი თაობისათვის სასარგებლო და გამოსადეგ საქმიანობის საჭიროებას.

ამ მხრივ პირველ ყოვლისა აღსანიშნავია გლეხობის მიერ რელიგიური დღესასწაულების უარყოფა. ვინ არ იცის, თუ რაოდენ ეკონომიურ ზარალს აყენებდა გლეხობას ეს დღესასწაულები და ხშირად ისინი ადამიანის მსხვერპლითაც თავდებოდა.

დღეს კომორგანიზაციებისა და სოფლის საბჭოების აგიტაცია - პროპაგანდის ზეგავლენით გლეხობა გმობს ამ დღესასწაულებს და გაზეთების საშუალებით ამცნობს დანარჩენ სოფლებს, რომ მათაც მიბაძონ ამ მაგალითს და თავი დააღწიონ უმიზნო და საზარალო ხარჯებს. ნაცვლად ამისა, სოფლად საძირკველს უყრიან კულტურულ კერას, აგებენ სასკოლო შენობებს, სახალხო სახლებს, ხსნიან ქოხ-სამკითხველოებს და სხვ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ლანირ-ჯაგანის გლეხობის საერთო კრების დადგენილება, რომლის ოქმში ვკითხულობთ შემდეგს: „არ იდღესასწაულონ რელიგიური დღესასწაული „თითრობა“ და ამ დღისაგან გადარჩენილი თანხები მოახმარონ იმავე თემში გლეხთა ახალგაზრდობის სკოლის შენობის აგების საქმეს, რომლისაც საფუძველი ჩაეყარა ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავზე“.

ეს მიზანშეწონილი დადგენილება უსათუოდ მისაბაძი მაგალითია დანარჩენი თემებისათვის. გლეხობა საკუთარი ინიციატივით და რელიგიური დღესასწაულის ხარჯთაგან გადარჩენილი თანხებით აგებს სასკოლო შენობას, რაც იმის მაჩვენებელია, რომ საბჭოთა სოფელი უკვე დაეწაფა სწავლა - განათლების საქმეს და ცდილობს მთავრობის დახმარებასთან ერთად საკუთარი ენერგიაც მოახმაროს ამ ფრიად სიმპატიურ და სასარგებლო საქმიანობას.

ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ სოფლის პარტიულმა ხელმძღვანელმა ორგანოებმა და ყველგან შეეცადონ გლეხობას დააღწევინონ თავი ცრუმორწმუნეობის გავლენისაგან.

ამ მიმართულებით მუშაობის გაძლიერება განსაკუთრებით საჭიროა აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც გლეხობის კულტურული დონე ჯერ კიდევ დაბალია და ცრუმორწმუნეობასაც მეტი გასავალი აქვს.

საჭიროა მეტი თვითმოქმედება. მეტი ინიციატივა გლეხობის კულტურული დონის ასამაღლებლად, რაც საუკეთესო თავდებია მათი ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

გლეხკორი.

აღმშენებლობა სვირის თემში

სვირი ქუთაისის მაზრაში ერთ-ერთ ყველაზე დიდ და მასთან ეკონომიურად მძლავრ თემად ითვლება. მცხოვრებთა რიცხვი 1.612 კომლს შეადგენს.

დღეს, როდესაც გლეხობა აქტიურად არის ჩაბმული საერთო აღმშენებლობაში, სვირის თემიც ამ მხრივ არ ჩამორჩება დანარჩენ თემებს.

აქ მოიპოვება ამხ. ს. ჯუღელის სახელობის სახალხო სახლი. მართალია, იგი ვერ ჩაითვლება სამაგალითოდ, როგორც შენობის, ისე იქ წარმოებულ მუშაობის მხრივ, მაგრამ გლეხობის დაინტერესებით და აღმასკომის ზრუნვით სულ მოკლე ხანში მუშაობა გამოცოცხლდება და ის გვერდში ამოუდგება სხვა, კარგ დონეზე მდგომ მსგავს კულტურულ დაწესებულებებს.

კულტურულ დარგში გარდა ამისა, აღსანიშნავია, წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლები. აქამდე თემში არსებობდა ორი სალიკვიდაციო სკოლა, ეხლა კიდევ განზრახულია სამი სკოლის გახსნა.

არსებობს ოთხწლედი, შრომის სკოლები, რომელიც სავსეა გლეხის შვილებით. საერთოდ უნდა ითქვას, რომ გლეხობა დიდად ეტანება სწავლა-განათლებას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სვირის თემის მოსახლეობის ინიციატივა აღმშენებლობის დარგში.

გლეხობა თვითდაბეგვრის სახით მდ. ყვირილაზე, არგვეთის ბაქანიდან აშენებს დაკიდულ ხიდს, რომელიც თემს დააკავშირებს ზესტაფონთან და ყვირილის მარჯვენა მხარეზე მდებარე სოფლებთან. ხიდის საფუძველის ჩაყრა მოხდა ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავზე და უნდა დამთავრდეს მომავალ წლისათვის.

აქვე თვითდაბეგვრის სახით გლეხობა სვირის სადგურზე აშენებს ელსადგურს, ხე-ტყის სახერხი ქარხნით და წისქვილით.

თემს არ მოეპოვებოდა საკუთარი სკოლის შენობა. სკოლა აქამდე მოთავსებული იყო ნაქირავებ შენობაში და იგი ვერ აკმაყოფილებდა მოსახლეობის მოთხოვნილებას თავის სივიწროვით. ეხლა, გლეხობამ თვითდაბეგვრითვე შეიძინა სკოლის შენობა, რაც დაუჯდა 10.000 მანეთი.

რაც შეეხება სასოფლო გზებს, ისინი წინანდელთან შედარებით დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში არიან. მათი უმეტესობა შეკეთებულია, მხოლოდ მცირე ნაწილი საჭიროებს შეკეთებას, ეხლა სწარმოებს მთავარი გზის (სოფლიდან — სადგურამდე) კაპიტალური შეკეთება. ნაწილი მუშაობისა უკვე შესრულებულია. მასთანავე განზრახული აქვთ სოფელში სამი ბოგირის აგება; ერთი მათგანი აგებული იქნება სოფ. ახალოვის არხზე.

ა. ქ.

წერილებიდან

ს. მეჯვრისხევი, (გორის მაზრა)

სამაგალითო მუშაკები

სოფელი მეჯვრისხევი გორის მაზრაში დაწინაურებულ სოფლად ითვლება. აქ არის საექიმო პუნქტი, კოოპერატივი, აფთიაქი, საკრედიტო ამხანაგობა და სხვა. ამ სოფლის ჰავაც მშვენიერია, რის გამო ზაფხულობით საკმაოდ მოდიან მოაგარაკეები.

საექიმო პუნქტს განაგებს ექიმი შევარდნაძე, რომელმაც გლეხობის დიდი სიყვარული დაიმსახურა. ის ყოველ წუთს მზად არის ავადმყოფს დახმარება აღმოუჩინოს, ასევე ენერგიულად მუშაობენ ბებია-ქალი ბალაშვილი და გიორგაძეც. გლეხობა დიდათ კმაყოფილია მათი თავდადებული საქმიანობით, მაგრამ როგორც ხმები დადის ექ. შევარდნაძე ჩვენი თემიდან წასვლას აპირებს, რაც სამწუხარო მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

იმედია ამ ხმებს არ გამართლებს ჩვენი ექიმი და არ დასტოვებს მეჯვრისხევის გლეხობას უყურადღებოთ.

მეჯვრისხეველი.

ს. ჭუვიხი, ლეჩხუმის მაზრა

გეგმიანი მუშაობა

ხსენებული სოფელი წინად ერთობ ჩამორჩენილი იყო, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების გეგმიანი მუშაობით ერთობ წინმსვლელობა დაეტყო. დაარსდა კოოპერატივი, გაიხსნა სასწავლებელი, შეკეთდა გზები და სხვა, რითაც გლეხობას საშუალება ეძლევა დაწინაურდეს როგორც კულტურულად, ისე ეკონომიურად.

ამ მუშაობას ხელმძღვანელობენ ამხ. სვანიძე და გორდეზიანი, რომელთა საქმიანობით ღარიბი გლეხობა ძლიერ მადლიერია.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მომავალში აღმშენებლობითი მუშაობა კიდევ უფრო გაფართოვდება, რომლის თავდებია ხელისუფლების ორგანოების სწორი ხელმძღვანელობა.

მახვილი.

— : —

სოფლის ქრონიკა

— **საექიმო პუნქტი.** სოფ. მუხუთში (შორ. მაზ.) გაიხსნა საექიმო პუნქტი.

— **სახალხო სახლი.** ახალდაბაში (გორ. მაზ.) დამთავრდა სახალხო სახლის მოწყობა.

— **ტრაქტორი.** ახალ - გავაზში (თელ. მაზ.) ახლად დაარსებულმა გლეხთა ამხ-ბამ შეიძინა ტრაქტორი.

— **მისაბაძი მაგალითი.** ონტოფოს მცხოვრებლებმა (სენაკის მაზ.) საექიმო პუნქტისათვის შენობის ასაგებათ თავიანთ შორის შეაგროვეს 2.500 მანეთი.

— **ქოხ - სამკითხველო.** სოფ. დმანისში (თბ. მაზ.) გაიხსნა ქოხ-სამკითხველო.

— **გლეხთა ახალგაზრდობის სკოლისათვის** სოფ. კუხის გლეხებმა ააგეს ქვის ახალი შენობა.

— **ახალი საავადმყოფო.** ტყიბულში დაიწყო ახალი საავადმყოფოს აგება.

— **ქუთაისის სას.-სამ. ბანკმა** გადაწყვიტა სოფ. დიდ-კუხში გახსნას თავის განყოფილება.

— **გზა.** კოკის თემის (ზუგდ. მაზ.) გლეხები შეუდგენ წყალდიდობისაგან გაფუჭებულ გზის აღდგენას.

თიანეთი

სახალხო ქონება ნადგურდება

უკანასკ. დღეებში თიანეთის რაიონ. ხან ერთს და ხან მეორე ადგილას იწვის ტყე. ტყის ადმინისტრაცია იღებს ზომებს ხანძრის ჩასაქრობათ. მაგრამ ეს მაინც საქმეს ვერ შველის, თუ არ იქნა მკაცრი ზომები მიღებული იმ პირთა წინააღმდეგ, ვისი მიზეზითაც ხდება ეს.

როგორც დანამდვილებით ვიცით, ხანძრის გაჩენაში დამნაშავე პირთაგან ორი თუ სამი უკვე აღმოჩენილია, მაგრამ ჯერ-ჯერობით აღნიშნული პირები თავისუფლად დასეირნობენ.

სახალხო ქონების განმანადგურებელი [illegible] უნდა ისჯებოდეს. ლმობიერი მოპყრობით საქმეს ვერ გამოვასწორებთ.

საჭიროა სათანადო ორგანოებმა ამ მოვლენას დროზე მიაქციონ ღირსეული ყურადღება.

ალ. დოლაშვილი.

ზე არაა. ხოლო როცა მე მის წინააღმდეგ ვილაშქრებ, ის ლაპარაკობს, რომ მე ვარ მოღალატე და ჩვენი ტროცკისტული პარტიის რიგების დამშლელი. მან ვერ გაბედა აქტივის კრებაზე, რომ მისი წინადადებისათვის კენჭი ეყარათ, ის გრძნობდა, რომ მათი რეზოლუცია არ გავიდოდა: იმ ამხანაგებმა, რომლებიც ქ. უსკუდან იყვნენ, მის წინააღმდეგ გაილაშქრეს. მე მაშინ შევიტანე წინადადება — კენჭის ყრით გამოერკვიათ, თუ დამსწრეთაგან რამდენი მუშა იყო. აღმოჩნდა, რომ არც ერთი. მე ვამბობ: როგორ ფიქრობთ, ძვირფასო ამხანაგებო, მომავალში, მოწყვეტილი ხართ რა მუშათა კლასს, წახვიდეთ იმ კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ, რომელშიაც მუშათა კლასის საუკეთესო ნაწილია! ისინი სულ ერთი და იმავეს იმეორებდნენ. მე არ დავასახელებ ორატორებს, „ბელადებს“ აბსოლუტურად არავინ არ უჭერდა მხარს, ჩვენ დავრჩით დილის 4 საათამდე და შემდეგ დავიშალეთ.

მეორე დღეს მე გამომიწვიეს ჩემს კონსპირატიულ ბინაზე. და შეუდგენ ჩემთან ბაას. ისინი გრძნობდნენ, რომ ის, რაც მე ვსთქვი,—ვსთქვი საბოლოოდ. **მრაჩკოვსკიმ წინადადება მომცა ცენტრის სახელით დამეტოვებია სვერდლოვსკი, მე უთხარი, რომ მე აქ ვარ ფრაქციის მდივანი და შემიძლია მივცე მათ წინადადება გაემგზავრონ აქედან. მე უთხარი, რომ მას ასე არ დაეწყო ჩემთან ლაპარაკი. მან მიპასუხა, რომ „თუ შენ აქ დარჩები, ჩვენ არავითარი ზომების წინაშე უკან არ დავიხევთ და ფიზიკური მეთოდით გაგისწორდებით“.** ეს იმის მაჩვენებელია, რომ ისინი მართლაც ყოველგვარ ზომას მიიღებდნენ, მით უმეტეს, რომ მათ იციან ჩემი ხასიათი და ჩემი პოლიტიკური ხაზი. მათ ძალიან კარგად ესმოდათ, რომ მე ბრძოლა დავიწყე მათ წრეში და რომ ამ ბრძოლას გადავიტანდი ფრაქციის ფარგლებს იქით და დავამარცხებდი ფრაქციას. საკითხი ტექნიკის შესახებ. სვერდლოვსკში ჩვენ გვქონდა სტეკლოგრაფი, ამ სტეკლოგრაფზე ჩვენ დავბეჭდით და გამოუშვით მოწოდება ურალის ძველი ბოლშევიკების ჯგუფის სახელით მრაჩკოვსკის პარტიიდან გამორიცხვისა და ტროცკისა და ზინოვიევის კომინტერნის აღმასკომიდან გამორიცხვის შესახებ. ამ სტეკლოგრაფზე ჩვენ მეტი არაფერი დაგვიბეჭდია, მიუხედავად იმისა, რომ ერთი თვე გვქონდა ეს სტეკლოგრაფი განუსაზღვრელ ადგილზე. ჩვენ არ ვიცოდით სტეკლოგრაფზე მუშაობა და ვერც ვისწავლეთ მასზე ბეჭდვა. შემდეგ კი, შექმნილი პირობების გამო, იძულებული ვიყავით ეს სტეკლოგრაფი ჩაგვებარებინა საბჭოთა ხელისუფლებისათვის — საოლქო აღმასკომისათვის, რომლისაგანაც გვქონდა მიღებული ის.

ამჟამად გვაქვს ერთი მანქანა ასო „მ“-თი, ვინაიდან ასო „რ“ არ არის, ამიტომ ყველა ჩვენი ნაწერები ამ უკანასკნელ დროს გამოდის „მ“-თი.

რა ხდება ეხლა? ეხლა ხდება ნაწილობრივი „სმიჩკა“ ჩვენმა ბელადებმა იკადრეს მისულიყვნენ მასებთან. ისინი, ალბათ, ფიქრობენ, რომ მათი მოქმედება იმგვარად მიიზიდავს მასებს, რომ ეს მასები ყველგან და ყოველგვარ საქმეში გაყვებიან მათ. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ასეთი დიდი ადამიანებიც კი ვერ იზიდავენ ვერც მუშებსა და ვერც კომუნისტებს.

მე დავესწარი მოსკოვში ერთ „სმიჩკას“. აქ იყო ტროცკი, ის დიდ ხანს გვარწმუნებდა ჩვენ, გვაჩვენებდა სხვადასხვა მასალას და კითხულობდა თავის ნაწერებს იმის შესახებ, რომ ის, ემხრობოდა რა ლენინს, მასზე უფრო ადრე გაითვალისწინა, მთელი რიგი პრობლემები. შემდეგ არც ერთი სიტყვა, ჩაჯდა ავტომობილში და წავიდა. ჩემზე ამ „სმიჩკამ“ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა, წარმოიდგინეთ, ტროცკი და არა სხვა ვინმე მასოვიკ მუშებს შორის, ნაწილობრივ აქ არიან მოწაფეებიც, ის გავლენას ახდენს თავისი უპირატესობით და მე ვფიქრობ, რომ არც ერთი ისე არ წავა, რომ ტროცკისტი არ გახდეს; შემდეგ მე დავრჩი და ვითომდა როგორც „უპარტიომ“ ნიადაგი მოვსინჯე მასებში. აღმოჩნდა სულ საწინააღმდეგო. **თუმცა ტროცკი ორი საათი ლაპარაკობდა, მაგრამ უკეთეს შემთხვევაში გამოვიდა დომხალი, უარეს შემთხვევაში კი — ეს რაა? ტროცკის აქვს ერთი მიმართულება, გამოდის კი მეორე, მასას კიდევ—სხვა.** მასები გაიზარდა 10 წლის განმავლობაში, ამას ივიწყებენ ჩვენი ბელადები.

იმ პრინციპიალური უთანხმოების გამო, რომელიც მე ამჟამად მაქვს, მე აუცილებლად ჩავსთვალე, მეცნობებია თქვენთვის ყოველი ის, რაც უკვე გაცნობეთ და ჩამებარებია ლიტერატურა და ყველა ის მასალები, რომლებიც პირადათ მე მქონდა.

მე პირადათ ღრმად დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ტროცკისტული პარტია. რომელსაც არავითარი ფესვები არ ჰქონდა მუშათა კლასში, ეს ტროცკისტული პარტია დაიშლება ორი პირობით: თუ პარტია, ერთი მხრით, მიიღებს სასტიკ ზომებს და მეორე მხრით, — თუ გააძლიერებს პოლიტიკურ მუშაობას და ამხანაგურ საუბრებს. უკანასკნელი — მთავარია, ვინაიდან მე ვფიქრობ, რომ ის ბელადები, რომლებიც ამჟამად საკუთარი თავისთვის არსებობენ, არ შეიძლება გახდნენ მუშათა კლასის ბელადებად.

იმის და მიუხედავათ, თუ როგორ გამოეხმაურება ტროცკისტული პარტია, ის მერყეობა, რომელიც მე განვიცადე, გადაჭრით მაშორებს ტროცკისტულ პარტიას და მაახლოვებს იმ პარტიას, რომელშიაც მე ათი წელიწადი ვირიცხებოდი. მიუხედავად იმ რეპრესიებისა და მუქარისა, რომელიც მე მომელის ტროცკისტული პარტიის მხრით, მე საბოლოოდ ვსწყვეტ კავშირს ტროცკისტებთან. აი ყოველივე ის, რაც მინდოდა მეცნობებია თქვენთვის.

მუშათა ცხოვრება

ანგარიშს არ უწევს

ა.-კ. რკ. გზის სამმართველოს ექსპლოატაციის დარგის უფროსი მოქ. ნებესოვის უწესო მოქმედების შესახებ არა ერთხელ დაიწერა გაზეთებში, მაგრამ მის გამოსწორებას საშველი მაინც არ დაადგა. რაც დრო გადის უფრო უყურადღებოდ ეკიდება პროფორგანოების საქმიანობას. იგი შეჩვეულია თვითნებობასა და ბიუროკრატობას და ამ ძველ ჩვეულებას ვერა სთმობს.

სად. თბილისის მოძრაობის დარგის ადგილკომის პლენუმზე მოძრ. დარგის მეორე განყ. უფროსის მეორე თანაშემწეთ წამოაყენა ამხ. ა. ჰიპაშვილი, ხოლო მის თანამდებობაზე ამხ. სამსონია. ნებესოვმა ამას ანგარიში არ გაუწია და გასცა ხელწერილი № 273, რათა თანაშემწე დასავლეთ უბნიდან გადმოეყვანათ ამისათვის გადმოყვანილ თანამშრომელს უნდა მიეცეს გადმოსასვლელი ჯილდო, საცხოვრებელი ბინა, რიონიდა ბარგის გადმოსაზიდათ და სხვა, რაც დიდ ზარალს აყენებს რკ. გზას.

ნებესოვი კავშირის მიერ დაწინაურებულ ამხანაგებს ყურადღებას არ აქცევს და თვითნებურად აკეთებს ყოველგვარ საქმეს. უკვე ერთი თვეა, რაც პლენუმმა წამოაყენა მუშები სხვადასხვა საქმეზე, მაგრამ მოქ. ნებესოვის წყალობით ჯერ არც ერთი არ შესდგომია ახალ თანამდებობის შესრულებას. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ უნდა მიაქციოს ყურადღება ამ მოვლენას.

ი. რილი.

პროტექციის გავლენა

საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატში ამას წინად ჩატარდა 20 პროცენტიანი შემცირება. თანახმად შრ. კომისარიატის დადგენილებისა, ვინც მოჰყვა ამ შემცირებაში, მას ეძლევათ ერთი თვის ხელფასი და თუ გაიხსნებოდა რაიმე შტატი ამავე დაწესებულებაში, იმ შემთხვევაში უნდა დაბრუნებულიყო ის თანამშრომელი, რომელიც მოჰყვა შემცირებაში.

მაგრამ განათლების კომისარიატში ეს ასე არ მოხდა. კომისარიატთან არსებულ სამეცნიერო და ხელოვნების განყოფილებაში გაიხსნა მემანქანის ადგილი. განყოფილების გამგემ ამხ. თოხაძემ მემანქანის ადგილზე წამოაყენა თავისი კანდიდატი,რომელიც გარდა იმისა, რომ არ მოჰყოლია 20 პროცენტიან შემცირებაში, არც განათლების კავშირის წევრია.

როდესაც ამხ. თოხაძეს ჰკითხეს, რომ რატომ არ ღებულობ შემცირებულ თანამშრომელს, რომელიც ორი წლის განმავლობაში პატიოსნად ასრულებდა მოვალეობას, მან უპასუხა, რომ მის მიერ წამოყენებული კანდიდატი თუ არ იქნება მიღებული მანქანეთ, მაშინ სრულებით არ მინდა მემანქანის შტატიო. ამხ. თოხაძემ გაიყვანა თავისი სიტყვა და 23 ნოემბერს გაატარა ბრძანებაში ახლად მიღებული თანამშრომელი. შემცირებაში მოყოლილი ჩვენი კავშირის წევრი კი დარჩა უმუშევრად. ასეთი გავლენა იქონია ერთი კაცის პროტექციამ ადგილობრივ პროფორგანოებზე, რომელსაც ხმაც არ დაუძრია ამხ. თოხაძის ასეთ მოქმედების გამო.

ი. დანელია.

საკონფლიქტო კომისიის მუშაობა

(თბილისის საყუდი)

თბილ. საყუდის ადგილკომთან არსებულ შრომის საკონფლიქტო კომისია, რომელიც ემსახურება საყუდის 2.215 მუშა-მოსამსახურეს, გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებს მუშებში საკონფლიქტო საკითხების მოსაგვარებლად და საერთოდ შრომის კოდექსის ცხოვრებაში უცვლელად გასატარებლად.

მიმდინარე წლის პირველ იანვრიდან 15 ნოემბრამდე, აღნიშნულ ს. კ-ს გაურჩევია სულ 90 საკითხი. აქედან 36 საკითხი მუშების სასარგებლოდ გადაწყდა 8 საკითხი კი ადმინისტრაციის სასარგებლოდ. გარდა ამისა გადაწყდა 9 წვრილმანი საკითხები. დანარჩენი საკითხები, რომლებშიც ვერ შეთანხმდენ საკ. კომისია და ადმინისტრაცია, გადაეცა მომრიგებელ კამერას, სადაც 13 საკითხი გადაწყდა მუშების სასარგებლოდ, ხოლო ექვსი საკითხი ადმინისტრაციის სასარგებლოდ. ოცა საკითხი კი ჯერ-ჯერობით გასარჩევია.

უნდა აღინიშნოს, რომ მომრიგებელი კამერა ძალიან აგვიანებს საკონფლიქტო საქმეების გარჩევას, რაც ხელს უშლის ადგილობრივ შრომის საკ. კომისიის წესიერ და ნაყოფიერ მუშაობას. სათანადო ორგანოებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ამ მოვლენას.

გარდა ამისა საკონფლიქტო კომისიაში ძალიან ხშირად ირჩევა საკითხები: ადმინისტრაციის მიერ შინა წესრიგის დარღვევის შესახებ, მუშა-მოსამსახურეთა უკანონოდ მოხსნის შესახებ, ზედმეტ საათებში და უქმე დღეებში მუშაობის და მივლინებების შესახებ და სხვა. ეს საკითხები განსაკუთრებული ყურადღების ღირსია.

ჩვენ ვიცით, რომ ზედმეტ საათებში და უქმე დღეებში მუშაობა უნდა ხდებოდეს შრომის ინსპექტორთან ან პროფკავშირთან შეთანხმებით. ადმინისტრაციას არა აქვს უფლება პროფორგანოსთან შეუთანხმებლად აწარმოოს ზედმეტი მუშაობა. მაგრამ საყუდში ეს ასე არ ხდება. აქ ადმინისტრაცია ზედმეტად ამუშავებს და ჯილდოს მიცემის საკითხი კი გადადის საკონფლიქტო კომისიაში, რაც არანორმალურად უნდა ჩაითვალოს.

მტვირთველ მუშებში

ამას წინად შესდგა თბილისის საქ. სადგურის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელსაც დაესწრო 280 კაცამდე. დღის წესრიგში იყო: მტ. მუშების ადგილკომის მუშაობის ანგარიში. სარევიზიო კომისიის მოხსენება და ადგილკომის არჩევნები.

ადგილკომის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. შ. ანდღულაძემ, რომელმაც ვრცლად გააცნო კრებას ადგილკომის მუშაობა და აღნიშნა მუშაობის, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, ადგილკომს საანგარიშო დროის განმავლობაში საკმაოდ ბევრი რამ გაუკეთებია.

ამხ. ანდღულაძის მოხსენების შემდეგ ილაპარაკა რამდენიმე მუშამ, რომლებიც აღნიშნავდენ ადგილკომის მუშაობის ზოგიერთ ნაკლს და მოუწოდებდენ ახალ ადგილკომს ნაკლის გამოსწორებისაკენ.

დასასრულ კრებამ ადგილკომის მუშაობა ჩასთვალა დამაკმაყოფილებლად და შეუდგა ახალი ადგილკომის წევრების არჩევნებს. ადგილკომში არჩეულ იქნა 11 წევრი, სარევიზიო კომისიაში არჩეულ იქნა 5 კაცი.

შემდეგ სრულიად საკავშირო და აგრეთვე სრულიად საქართველოს პროფკავშირის მეექვსე ყრილობების შედეგების შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ვ. ანთიძე. მომხსენებელი აღნიშნავს კავშირის რიცხობრივ ზრდას, ორგანიზაციულ მუშაობის გაუმჯობესებას და აცნობს კრებას ყრილობის გადაწყვეტილებებს.

ამხ. ანთიძემ თავის მოხსენებაში მიუთითა ადგილკომს იმაზე, თუ როგორ და რადრონ უნდა იწვევდეს ადგილკომი მუშა-მოსამსახურეების საერთო კრებებს. მოხსენების ირგვლივ კრებამ გამოიტანა შესაფერი რეზოლუცია.

მუშა ხიდისთაველი.

რათ აგვიანებთ?

(წერილი აჭარისტანიდან)

„ზაკპოგრუზ“-ის რკ. გზის 1-ლი უბანი ერთიანებს 125 კაცს, რომელთაგან აჭარისტანის ტერიტორიაზე, ქობულეთ-ბათომში მუშაობს 30 კაცი. ამას წინად ცენტრალურ ორგანოების დირექტივების თანახმად, მოხდა აღნიშნულ უბნის „ზაკპოგრუზის“ სადარაჯოების გასამხედროება, რის გამო შემცირებულ იქნა 21 მუშა, ამათგან, როგორც შრომის უნარმოკლებულნი და ღრმა მოხუცებულნი 7 კაცი გადაიგზავნა აჭარისტანის დამზღვევ სალაროში, შრომის უნარიანობის შესამოწმებლად. შრომის უნარმოკლებულად ცნობილნი, თანახმად შრ. კან. კოდ. 137 მუხლისა, გადარიცხულ უნდა ყოფილიყვნენ შრომის ინვალიდებათ.

7 მუშიდან საექიმო საკონტროლო კომისიის მიერ მიღებულ იქნენ 4 კაცი, რომელთა საბუთები გადაეგზავნა საექსპერტო კომისიას. მას შემდეგ საკმაო დრომ განვლო და მუშები ვერ ეღირსენ ინვალიდებათ ჩარიცხვას. საბუთების მიღების შესახებ დამზღვევ სალაროში მომუშავე ამხანაგები ვერ აძლევენ მუშებს გარკვეულ პასუხს. ისინი ეუბნებიან, რომ „ზაკპოგრუზს“ ბათომ-ქობულეთის რკ. გზ. სადგურებზე მომუშავე მუშების ანარიცხები შეუტანია რკინის გზის დამზღვევ სალაროში და არა ქალაქის, ამიტომ მათ არ შეუძლიათ მუშების ინვალიდებათ ჩარიცხვა და სათანადო დახმარების გაღება. თანახმად შრ. კან. კოდექსისა 175 მუხ. და მისი განმარტებებისა, მუშები უნდა დაზღვეულ იყვნენ აჭ. დამზღვევ სალაროს მიერ, ხოლო ხაპროცენტო ანარიცხები სალაროს უნდა გაენაღდებინა იმ წესით, როგორც გათვალისწინებულია კანონმდებლობით.

აღნიშნული მუშები დაზღვეულები იყვნენ და არიან დღესაც. ისინი აჭარისტანის დამზღვევ სალაროდან ყოველგვარ დახმარებასაც ღებულობენ. მათ არავითარი დამოკიდებულება რკ. გზ. სალაროსთან არა აქვთ.

მაშ რას უნდა მიეწეროს აჭარისტანის დამზღვევ სალაროს მომუშავეთა ასეთი საქციელი? საჭიროა გაეცნონ ისინი შრომის კოდექსის ყველა მუხლებს და გაატარონ იგი ცხოვრებაში.

ალ. ფრუიძე.

მოგვაშორეთ სტამბიდან

ქ. ფოთის კომუნალურ მეურნეობის სტამბაში მუშაობს ნატაშა ნოდია, რომელიც თავის უმსგავსო საქციელით ჩირქს სცხებს მუშა ქალის სახელს.

ეს დედაკაცი უფრო ხშირად საზღვარგარეთიდან ჩამოსულ გემის მატროსებთან ნახავთ, ვიდრე სტამბაში. მთელი თვის განმავლობაში 12—13 დღეზე მეტს არ მუშაობს და მაშინაც ღამე ნათევს ეძინება სამუშაოზე. ამიტომ მისი მუშაობა არ არის ნაყოფიერი.

ამის შესახებ ჩვენმა სტამბის გამგეობამ არა ერთხელ მიმართა კომუნისტურ განყოფილებას და სთხოვა გაეწმინდა ასეთი სამარცხვინო ელემენტებისაგან წარმოება, მაგრამ კომუნალურ განყოფილების გამგეს ყურადღებაც არ მიუქცევია ამ მოვლენისათვის.ამბობენ ვითომც კომმეურნეობის გამგე ამხ. შიოშვილი ნათლია იყოს ნოდიას ქალისა და ამიტომ მფარველობდეს მას.

ასეთ სამარცხვინო გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება ვისგანაც ჯერ არს, თორემ ნათლიმამობით ჩვენ ვერ წავწევთ წინ აღმშენებლობას.

ახ—ცი.

„ზაკსოიუზი“-ს საბჭოს სესია

გუშინ, საღამოს დამთავრდა ამ.-კავკასიის სამომხმარებლო კოოპერატივთა კავშირის („ზაკსოიუზი“-ს) საბჭოს მეშვიდე სესია.

სესიამ მუშაობა დაიწყო შაბათს 26 ნოემბერს და გაგრძელდა ოთხ დღეს.

პირველ სხდომაზე, რომელიც გაიხსნა ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისრის ამხ. ლუკაშინის თავმჯდომარეობით, საბჭომ მოისმინა „ზაკსოიუზი“-ს გამგეობის თავმჯდომარის ამხ. ა. ბუკრეევის მოხსენება, „ზაკსოიუზი“-ს 1926—27 წლის მუშაობის წინასწარი შედეგების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა „ზაკსოიუზი“-ს სავაჭრო - ოპერატიული მუშაობის ინტენსიური ზრდა და მჭიდრო სამეურნეო კავშირის დამყარება მოკავშირე ორგანიზაციებთან.

აღნიშნული იყო აგრეთვე „ზაკსოიუზი“-ს სავაჭრო ბრუნვის გადიდება საანგარიშო პერიოდში 56.613.000 მანეთამდე და საექსპორტო ოპერაციების შემცირება 13,9 პროცენტით 1925—26 წელთან შედარებით.

წარმოდგენილი ანგარიშიდან გამოირკვა, რომ 1927 წ. 1 ოქტომბრისათვის ა.-კ. სამომხმარებლო კოოპერაციაში წევრთა რიცხვი უდრიდა—656.301-ს (ზრდა 22 პროც.); საპაიო თანხა—1.792.593 მანეთს (ზრდა 44 პროც.); სავაჭრო ხარჯები შემცირებულა 10-დან 8.8 პროცენტამდე, საქონლის თვითღირებულებაზე მისული ხარჯები კი — 17,4-დან 14,3 პროცენტამდე. ფასების დაკლება მთელი ფედერაციის მასშტაბით უდრის 8,3 პროცენტს. „ზაკსოიუზი“-ს წმინდა მოგება საერთო ბრუნვასთან შეფარდებით შეადგენს 0,15 პროც., საერთო ხარჯები კი 0,71 პროცენტს.

პირველსავე სხდომაზე საბჭომ მოისმინა აგრეთვე „ზაკსოიუზი“-ს სარევიზიო კომისიის დასკვნა გამგეობის მიერ ჩატარებულ მუშაობის შესახებ.

სარევიზიო კომისიამაც აღნიშნა ა.-კ. სამომხმარებლო კოოპერაციის სამეურნეო და ორგანიზაციული ზრდა - განვითარება. მაგრამ ამასთანავე ხაზი გაუსვა ზოგიერთ დეფექტებს გამგეობის მუშაობაში, რომელთა გამოსასწორებლად მან წამოაყენა პრაქტიკული ღონისძიებები.

ამ ორი მომხსენებლის გარშემო გამართულ კამათის (რაც გრძელდებოდა შემდეგ 2 სხდომაზე) შემდეგ, საბჭომ „ზაკსოიუზი“-ს გამგეობის და სარევიზიო კომისიის მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო.

28 ნოემბრის დილის სხდომაზე საბჭომ მოისმინა „ზაკსოიუზი“-ს საორგანიზაციო განყოფილების გამგის ამხ. პიჩიკიანის მოხსენება, ამ.-კავკ. სამომხმარებლო კოოპერაციის და „ზაკსოიუზი“-ს 1927—28 წლის საორგანიზაციო მუშაობის გეგმის შესახებ.

კოოპერაციის აპარატის რაციონალიზაცია და კოოპერატიულ საზოგადოებრიობის შექმნა. სამომხმარებლო კოოპერაციის მთელი სისტემა უნდა გადავიდეს გეგმიან მუშაობაზე.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათის და მომხსენებლის საბოლოო სიტყვის შემდეგ, 28 ნოემბერის, დილის სხდომაზე საბჭომ მოისმინა ა.-კ. ვაჭრობის კომისარიატის წარმომადგენლის ნოვიკოვის მოხსენება ამ.-კავკასიაში საქონლის შემოზიდვის გეგმის შესახებ.

როგორც მომხსენებელმა განაცხადა, 1927—28 წელს ამ.-კავკასიაში საქონლის შემოზიდვის გეგმა ვაჭრობის კომისარიატის მიერ განისაზღვრება — 226.000.000 მანეთის ფარგლებში.

აქედან შემოზიდული იქნება: ბამბეული მანუფაქტურა — 1.685 ვაგონის რაოდენობით, 12 მილიონ მანეთის სელის ქსოვილები, 4.800.000 მეტრი შალეული, 2.700.000 ფ. შაქარი, 12.480.000 მანეთის ტყავეული და ფეხსაცმელები, 900.000 კილოგრამი ჩაი, 900 ვაგონი სილიკატები, 2,070 ვაგონი ფართო მოთხოვნილების ლითონის ნაწარმოები საქონელი, 725 ვაგ. ქაღალდი, 200 ვაგ. ასანთი, 900.000 წყვილი კალოში, 350.000 ფ. ცხიმოვანი პროდუქტები, 12 მილიონი ფ. პური და 2 მილიონი ფ. სიმინდი.

29 ნოემბერის დილის სხდომაზე სესიამ მოისმინა „ზაკსოიუზი“-ს გამგეობის წევრის ამხ. ვ. კანდელაკის მოხსენება „ზაკსოიუზი“-ს 1927—28 წლის ოპერატიულ - ფინანსიური გეგმის შესახებ და ამხ. ტერენტიევის მოხსენება „ზაკსოიუზი“-ს მოსკოვის წარმომადგენლობის მუშაობის შესახებ.

ამხ. ვ. კანდელაკის განცხადებით, „ზაკსოიუზი“-ს საერთო სავაჭრო ბრუნვა 1927—28 წელს უნდა გამოიხატოს — 76.000.000 მანეთში, ხოლო ბრუნვები სასოფ.-სამ. პროდუქტების დამზადების მხრივ — 661.000 მანეთში. წმინდა მოგება გათვალისწინებულია — 177.751 მანეთის რაოდენობით.

კომისიების დასკვნები განიხილა საბჭომ და გადასცა გამგეობას სახელმძღვანელოდ.

ამხ. საშა მენაბდის ხსოვნას

აღარ არის ჩვენს შორის უძვირფასესი ამხანაგი ალექსანდრე მენაბდე. ულმობელმა სენმა, —ჭლექმა ჩვენს მჭიდრო რიგებს გამოსტაცა მტკიცე მებრძოლი, რევოლუციის ცეცხლით ანთებული ახალგაზრდა ამხანაგი მენაბდე.

ამხ. მენაბდე იყო ღარიბი გლეხის შვილი. მან დიდის გაჭირვებით სიმშილ-წყურვილით დაამთავრა სუფსის პირველ დაწყებითი სასწავლებელი.

1919 წელში სუფსაში არსდება ახ. კომკავშირის „სპარტაკის“ ორგანიზაცია, რომლის ერთერთ წევრათ ამავე წლიდან ამხ. მენაბდე ითვლებოდა და გულწრფელად ასრულებდა ყოველგვარ დავალებებს. 1921 წლ. იგი ინიშნება ნატანების კომკავშირის რაიკომის პ.-მგ. მდივნათ. 1923-1925 წლამდე ითვლება ქალ. ზესტაფონის კომკავშირის რაიკომის პ.-მგ. მდივნათ.

ამხ. საშა, მიუხედავათ იმისა, რომ ის ავათ იყო, დაკისრებულ მოვალეობას ის პირნათლად ასრულებდა.

დღეს აღარ გვყავს ჩვენ ამხ. საშა. ძალიან მძიმეა ეს დანაკლისი. შორაპნის მაზრის პარტ. და კომკავშირის ორგანიზაციამ დაჰკარგა მისი სახით ერთ-ერთი საუკეთესო აქტიური მუშაკი.

ძნელია ამ აზრის შეგუება, რომ ამხ. საშა ჩვენთან აღარ არის და მისი ადგილი დაიკავა მხოლოდ [illegible], შთანთქმულმა [illegible] აჩრდილმა.

ძვირფას ამხ. საშას ხსოვნას შორაპნის პარტიული და კომკავშირის ორგანიზაცია არ დაივიწყებს.

შ. ბრეგვაძე.

უცხოეთის მწერალთა და მეცნიერთა დელეგაცია აჭარისტანში

(ჩვენი ბათომელი კორესპონდენტისაგან)

უცხოეთის მწერალთა და მეცნიერთა დელეგაციის შესახვედრად წინასწარ შესდგა კომისია მთავრობის წევრებისა და სახელმწიფო - საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით. კომისია სტუმრებს შეეგება სად. ქობულეთში.

კვირას, 27 ნოემბერს, დილის 11 საათზე, უცხოეთის მწერალთა და მეცნიერთა დელეგაცია მთელი შემადგენლობით ჩამოვიდა ბათომში.

დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ: **აკიტა**—იაპონელი მწერალი, **ოსაკანზაკაკი**—ბერძენი მწერალი, **პანაიტ ისტრატი**—რუმინელი მწერალი, **ელ. შტეკერი**—გერმანელი მწერალი, **კოსკო-მონტალდო**—ურუგვაელი მწერალი, **მიუნცერი**—გერმანელი მწერალი, **გოლიჩერი**—გერმანელი მწერალი, **ევერლანდი**—ნორვეგიელი მწერალი, **რაბალოდ**—გერმანელი მწერალი, **კლეინ**—ავსტრიელი ესპერანტისტი, **სერ-რობერტ**—ბელგიელი ექიმი, **ვალენტინო**—ბელგიელი ადვოკატი, **კუჩინსკი**—გერმანელი პროფ. - ეკონომისტი, **ორსცაბალდ კინტანო**—არგენტინელი პროფესორი.

თბილისიდან დელეგაციას თან ჩამოჰყვა საქ. განათლების სახ. კომისარიატთან არსებულ ხელოვნების განყოფილების გამგე **ლ. ჯაფარიძე**.

საუზმის შემდეგ, დელეგაცია მთელი შემადგენლობით გაემართა ადგილობრივ საწარმოო-სამრეწველო და საგანმანათლებლო დაწესებულებათა დასათვალიერებლად. დელეგაციას შეკითხვებზე ახსნა - განმარტებას აძლევდენ დაწესებულებათა გამგეები და მთავრობის წევრები.

ნაშუადღევს 2 საათზე, დელეგაციამ ინახულა გამსახლი. — მათ ხანგრძლივი საუბარი ჰქონდათ პატიმრებთან, დელეგაციის წევრები—იურისტები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდენ პატიმრებისადმი მოპყრობას და საბჭოთა სასამართლოს პროცესიალურ მხარეს. მათ ინახულეს აგრეთვე დამცველთა კოლეგიის წევრები, რომელთან ვრცელი საუბარი ჰქონდათ საბჭოთა კანონიერების შესახებ.

გამსახლის დათვალიერების შემდეგ უცხოეთის მწერალთა და მეცნიერთა დელეგაცია მიწვეულ იქნა ბანკეტზე, რომელიც მათ საპატივსაცემოთ მოაწყვეს ბათომის სახელმწიფო და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა. ბანკეტზე სიტყვებით გამოვიდენ დელეგაციის წევრები: მწერალი **პანაიტ ისტრატი**, იაპონელი პოეტი **აკიტა**, გერმანელი მწერალი **გოლიჩერი** და ბელგიელი ექიმი **სერი**. ისინი აღფრთოვანებით ლაპარაკობდენ საბჭოთა კავშირში მოგზაურობიდან მიღებულ შთაბეჭდილებებზე, განსაკუთრებით აღნიშნავდენ საქართველოს სტუმართმოყვარეობას და იმ დიდ აღმშენებლობითი მუშაობას, რომელიც მათ თავიანთი თვალებით იხილეს საქართველოში. დელეგაციის საპასუხოდ სიტყვები წარმოსთქვეს: **ლ. ჯაფარიძემ, ზ. ლაღიძემ** და **ექ. ფენსტერმა**.

ბანკეტის შემდეგ დელეგაცია დაესწრო ბათომის აკადემიური დრამის წარმოდგენას („ამერიკელი ძია“)

ორშაბათს, 28 ნოემბერს, დილით დელეგაცია გაემგზავრა აჭარისწყალის ჰიდრო ელსადგურის დასათვალიერებლად. გზაზე დელეგაციას მოუსწრო წვიმამ. ვინაიდან ელექტრო სადგურის დათვალიერება ცუდი ამინდის გამო შეუძლებელი იყო, დელეგაცია დაბრუნდა უკან და დაათვალიერა ბათომის ბოტანიკური ბაღი.

ღამის 12 საათზე, დელეგაცია გემით გაემგზავრა ნოვოროსიისკში. ნავთსადგურში დელეგაცია მიაცილეს მთავრობისა და სახელმწიფო - საზოგადოებრივი ორგანიზაციების წევრებმა.

ვ. უ—ძე.

პ. ისტრატი საქართველოს შესახებ

(ჩვენი ბათომელი კორესპონდენტისაგან)

თქვენი გაზეთის კორესპონდენტს საუბარი ჰქონდა რუმინელ მწერალ პანაიტ ისტრატისთან საქართველოში მოგზაურობიდან მიღებულ შთაბეჭდილების შესახებ.

— ვიდრე საქართველოში ჩამოვიდოდი,—განაცხადა პანაიტ ისტრატიმ,—თქვენი ქვეყნის შესახებ მე ვიცოდი მხოლოდ ის, რაც ეწერა ლექსიკონებში—რომ საქართველო განთქმულია მშვენიერი ბუნებით და სტუმართმოყვარეობით და სხ. უკანასკნელ ხანებში ევროპის ბურჟუაზიული გაზეთები სწერენ, რომ საქართველო ასპარეზია საშინელი სამოქალაქო ომის და ყველაფერი, რაც ქართველ ერს გააჩნდა, განადგურებულია ბოლშევიკების მიერ. სიმართლის გამორკვევის მიზნით ჩამოვედი საქართველოში. ნაცვლად განადგურებისა მე ვიხილე აყვავებული ქვეყანა, სადაც ცხოვრება სდუღს აჩქარებული ტემპით, გიგანტური ნაბიჯებით ვითარდება მეურნეობა, აღორძინების გზაზე დგება ეროვნული კულტურა და მთელი ქართველი ხალხი ხელისუფლებასთან ერთად ჩაბმულია სოციალისტურ აღმშენებლობაში. საქართველოში მე დავათვალიერე ყველა სამეურნეო და საგანმანათლებლო დაწესებულებანი, რომლებმაც წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვეს ჩემზე.

თქვენი კორესპონდენტის შეკითხვაზე—თუ რა შეხედულების არის ის ქართულ ხელოვნებაზე,—ისტრატიმ უპასუხა:

— წინად მე წარმოდგენაც არ მქონდა ქართული ხელოვნების იმ დიდ განძეულზე, რომელიც ქართველ ხალხს შეუქმნია. ქართული არქიტექტურა, ფრესკები და მოზაიკები თავისუფლად შეიძლება დავაყენოთ ძველი საბერძნეთისა და თანამედროვე დასავლეთის ხელოვნების გვერდით. მთავარი, რაც ქართული ძველი ხელოვნების ნიმუშებიდან მოსჩანს—ეს არის სოციალურ მომენტების ჭარბათ მოცემა ეროვნულ ქართულ კოლორიტის შექმნით. რაც შეეხება დღევანდელ ქართულ მხატვრობას, მე ძალიან გამაოცა მისმა ღრმა შინაარსიანობამ და თანამედროობის გაგებამ. ქართულ მხატვრობისა და მწერლობის ძვირფას განძებთან ერთად პარიზში მე მიმაქვს ნიკო ფიროსმანიშვილის მონოგრაფია. იმედი მაქვს, რომ ეს შესანიშნავი წიგნი დიდ აღტაცებას გამოიწვევს ჩემს ევროპიელ მეგობრებში. ქართული მწერლობის შესახებ შემიძლია განვაცხადო, რომ მართლაც შეუძლია იამაყოს იმ ხალხმა, რომელმაც რუსთაველი შვა. ბათომში შემთხვევით მიშოვე [illegible]ულ უორდროპის მიერ ინგლისურ ენაზე თარგმნილი „ვეფხის ტყაოსანი“. მთელი ღამის განმავლობაში ვკითხულობდი ამ წიგნს და დავრწმუნდი, რომ დიდი რამ ჰკლებია იმ ერის ლიტერატურას, რომელსაც ეს შესანიშნავი ნაწარმოები არ უთარგმნია თავის ენაზე.

პანაიტ ისტრატიმ განსაკუთრებული ინტერესით მოიგონა ის ინტიმური ბანკეტი, რომელიც უცხოეთის მწერალთა დელეგაციის საპატივცემულოდ გამართა საქართველოს მწერალთა კავშირმა თბილისში.

— მე მოხარული ვარ, რომ საკუთარი თვალებით ვიხილე თანამედროვე საქართველო, გავეცანი მის სახალხო მეურნეობას, კულტურას, ხელოვნებას, და გული მტკივა, რომ ასე ადრე ვტოვებ იმ აყვავებულ ქვეყანას, რომელიც ბურჟუაზიული პრესის სიტყვით ბოლშევიკების მიერ „განადგურებულია“. ევროპაში ჩასვლისას ჩემს მეგობრებს გავაცნობ სიმართლეს საქართველოს შესახებ. მე არ დავკმაყოფილდები მარტო ამით. მომავალ წლის გაზაფხულზე საქართველოს ისევ ვესტუმრები ჩემს მეგობარ მწერლებთან ერთად, რომ ისინიც დარწმუნდენ იმ დიდ კულტურულ საქმიანობაში, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება ეწევა საქართველოში, დაამთავრა ისტრატიმ.

ვ. უ—ძე.

წითელი არმიის 10 წლის თავისათვის

ამიერ-კავკასიაში წითელი არმიის 10 წლის თავის ჩამტარებელი კომისიის წევრმა კავკასიის წითელდროშოვანი არმიის პოლიტსამმართველოს აგიტპროპგანყოფილების უფროსმა ამხ. სნეგირევმა ამ.-კავკ. დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

„წითელი არმიის ათი წლის თავის ჩასატარებლად კავკასიის წითელდროშოვან არმიაში დაარსებულია საარმიო კომისია პოლიტსამმართველოს უფროსის ამხ. ვასილიევის თავმჯდომარეობით. დივიზიებში კომისიები ეწყობა სამხედრო კომისარების თავმჯდომარეობით სამოქალაქო, პარტიულ, პროფესიონალურ და კომკავშირის ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

არმიის ნაწილებში კომისიები ეწყობა სამხედრო კომისიების თავმჯდომარეობით პარტორგანიზაციის და სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

წითელი არმიის ათი წლის თავისათვის ცენტრი გამოსცემს აუარებელ პოპულიარულ ლიტერატურას მუშათა და გლეხთა ფართო მასებისათვის, ახალგაზრდობისა და ბავშვებისათვის. ამ ლიტერატურიდან ზოგიერთი წიგნები გადაითარგმნება ადგილობრივ ენებზე. განზრახულია ოთხ ენაზე გამოიცეს მთელი რიგი წიგნაკები ამიერ-კავკასიის წითელდროშოვანი არმიის ისტორიიდან. მიზანშეწონილად არის აგრეთვე ცნობილი ამიერ-კავკასიის ეროვნულ ერთეულების ისტორიის გამოცემაც.

ათი წლის თავის შესრულებამდე დარჩენილი დრო გამოყენებულ უნდა იქნას ფართო მოსამზადებელი მუშაობისათვის. წითელი არმიის ათი წლის თავი არის არა მარტო არმიის დღესასწაული, არამედ ფართო მუშურ-გლეხური მასების დღესასწაულიც. დღესასწაული ჩატარდება საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარიანობის და მშრომელთა გასამხედროების გაძლიერების ლოზუნგებით.

ამნისტია ტრანსპორტზე

ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავზე გზათა სახ. კომისრის ამხ. ი. რუძუტაკის მიერ ტრანსპორტზე ადმინისტრატიულ-დისციპლინალური სასჯელის გაუქმების შესახებ გამოცემულ ბრძანების სისრულეში მოსაყვანად გზათა კომისარიატის რწმუნებულმა ამიერ-კავკასიაში გამოსცა სპეციალური ბრძანება, რომლის თანახმად ადმინისტრატიულ- დისციპლინარულ სასჯელისაგან თავისუფლდებიან ყველა ტრანსპორტზე მომუშავე ის პირები, რომლებიც დასჯილი იყვნენ ამ სასჯელით 1927 წლის 7 ნოემბრამდე. ადმინისტრატიულ - დისციპლინარულ სასჯელად მიჩნეულია ტრანსპორტის მუშაკებისათვის მიცემული შენიშვნები, გამოცხადებული საყვედურები, გადაყენებანი დათხოვნისა და თანამდებობიდან ჩამოქვეითების შესახებ, რომლებიც მათ გამოეცხადათ შინაური წესრიგის და მოვალეობათა წესის დარღვევისა და მატარებლების დაგვიანების და მით გამოწვეულ შემთხვევების გამო.

გაუქმებულია უფასო მგზავრობის ბილეთებით სარგებლობის უფლების ჩამორთმევა, რომლებითაც დასჯილი იყვნენ ტრანსპორტის მუშაკები ამ ბილეთებით უკანონოდ სარგებლობისათვის.

ყველა ის საქმეები, რომლებიც იმყოფებიან ძიებაში ადმინისტრატიულ, მომრიგებელ -საკონფლიქტო, პარტიულ და შრომის კომისარიატის ორგანოებში, ბრძანების თანახმად, ისპობიან, თუ ეს საქმეები არ არის დამთავრებული 1927 წ. 7 ნოემბრამდე.

საქმეები სამსახურიდან დათხოვნის შესახებ (შრომის კანონთა კოდექსის მე-47 მუხლის, „ვ“ პუნქტის თანახმად). რომლებიც იმყოფება მომრიგებელ-საკონფლიქტო ორგანოებში, ისპობა, თუ მათ შესახებ არ ყოფილა გამოტანილი განაჩენი ა. წ. 7 ნოემბრამდე.

იხსნება ა. წ. 7 ნოემბრამდე ტრანსპორტის მუშაკებზე ასი მანეთის ფარგლებში დადებულ ჯარიმა, რომლითაც ისინი დასჯილი იყვნენ უბილეთო მგზავრობისა და ტრანსპორტზე არსებულ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის.

ამნისტია ვრცელდება მხოლოდ ტრანსპორტის იმ მუშაკებზე, რომლებიც სამსახურში ირიცხებოდნენ 1927 წ. 7 ნოემბრამდე.

საექსპორტო თათბირი

ა.-კ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან შესდგა პირველი საექსპორტო თათბირი, რომელმაც საექსპორტო საქონლის დამზადების ნორმალური მსვლელობის უზრუნველყოფის მიზნით დაადგინა:

სამეურნეო ორგანოებს შეუძლიათ დაიწყონ ამიერ - კავკასიის საექსპორტო გეგმაში შეტანილ საქონლის დამზადება, მხოლოდ ა.-კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის და მისი რესპუბლიკანური რწმუნებულების წინასწარი ნებართვით.

უფლება მიეცეს ვაჭრობის სახალხო კომისარიატს დამოუკიდებელი დამზადების უფლება მიანიჭოს ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობას იმ შემთხვევაში, თუ კოოპერატიული სისტემა სუსტი აღმოჩნდება და არ იქნება იმის იმედი, რომ იგი თავის დროზე შეასრულებს დამზადების დარგში თავის თავზე აღებულ ვალდებულებებს.

თათბირმა დაადგინა აგრეთვე, რომ სახელმწიფო ორგანიზაციებმა და კოოპერაციამ მათ მიერ დამზადებული საქონელი, რაც კი გამოსადეგი იქნება გასატანათ, საექსპორტოთ გადასცენ სათანადო ორგანიზაციებს.

ამას გარდა, სახელმწიფო ორგანიზაციების და კოოპერაციის ყველა ხელშეკრულებები, რომლებიც ეხება მრეწველობისა და სხვა ორგანოებისათვის იმ საქონლის მიწოდებას, რომელიც შეტანილია ამიერ-კავკასიის საექსპორტო გეგმაში, აუცილებლად დამტკიცებული უნდა იქნეს ა.-კ. ვაჭრობის კომისარიატის და რესპუბლიკანურ მისი რწმუნებულების მიერ

ბეითალთა საკავშირო თათბირი

გუშინ, თბილისში დამთავრდა ბეითალთა საკავშირო თათბირი. თათბირი მოწვეული იყო საბჭოთა კავშირის შრომის და თავდაცვის საბჭოს სავეტერინარო საბჭოს მიერ. თათბირს დაესწრო რუსეთის, უკრაინის, უზბეკისტანის, თურქმენისტანის და ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკების სავეტერინარო სამმართველოთა ხელმძღვანელები და ამიერ-კავკასიის სავეტერინარო კომიტეტის წარმომადგენელი. თათბირმა განიხილა და გამოიმუშავა საქონლის ჭირის საწინააღმდეგო ზომები. თათბირმა გადასწყვიტა მთელ ამიერ-კავკასიაში ჩაატაროს მსხვილფეხა საქონლის აცრა. ამ მიზნით რუსეთიდან მოწვეული იქნება 200 ბეითალი. სამძიო ხარჯების გაწევა იკისრა საკავშირო სახალხო კომისართა საბჭომ. ამას გარდა თათბირმა აუცილებელ საჭიროებად სცნო ამიერ-კავკასიის სახელმწიფო სანაპირო სავეტერინარო ხაზის გაძლიერება.

თათბირმა დაადგინა აღძრას შუამდგომლობა ცენტრალური მთავრობის წინაშე, რათა დაზარალებულ გლეხს სახელმწიფო თანხებიდან მთლიანად აუნაზღაურდეს დაღუპულ საქონლის ღირებულება. ამასთან ერთად გადაწყდა საქონლის ჭირთან ენერგიული ბრძოლის საწარმოებლად საქონლის ექიმებს გაუდიდდეთ ჯამაგირები. ამ მიზნით კვალიფიცირებულ ექიმებისა და სპეციალისტების მოსამზადებლად თბილისში გაიხსნება უმაღლესი სავეტერინარო სასწავლებელი.

თათბირის უკანასკნელ სხდომაზე მოსკოვიდან მიღებული იქნა ცნობა, რომ საკავშირო შრომის და თავდაცვის საბჭომ ამიერ-კავკასიაში საქონლის ჭირთან ბრძოლისათვის გადასდო ოთხი მილიონი მანეთი. ეს თანხა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს შორის განაწილებული იქნება ამიერ-კავკასიის სავეტერინარო კომიტეტის მიერ, საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის მიწათმოქმედების სახ. კომისარიატების მონაწილეობით.

ბრძოლა ქუნთრუშასა და ხუნაგის ეპიდემიასთან

საგანგებო სამეულის სხდომა

გუშინ, ქალ. აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილებასთან შესდგა ეპიდემიასთან მებრძოლი საგანგებო სამეულის მორიგი სხდომა. სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა პროფ. ამირეჯიბი, რომელიც შეეხო უმთავრესად ამცრელი რაზმების მოქმედებას და მათი მომავალი მუშაობის მნიშვნელობას.

მომხსენებლის აზრით, საჭიროა დაუყოვნებლივ გამრავლებულ იქნას ამცრელი რაზმების რიცხვი, ვინაიდან არსებული რაზმი ვერ ასწრებს აცრას, ხოლო ქალაქში არსებული სკოლები კი დაუყოვნებლივ საჭიროებენ აცრების ჩატარებას. ამჟამად ქალაქში მუშაობს მხოლოდ ორი რაზმი. რაზმებს 27 და 28 ნოემბრის განმავლობაში აუცრიათ 400 მოწაფისთვის.

ვინაიდან სამეულში შემოვიდა ცნობა, რომ განათლების კომისარიატის ქვემდებარე სკოლებში თავი იჩინა ეპიდემიურმა სენებმა, სამეულის სხდომამ დაადგინა ყველა ამ სკოლებში, თუ ისინი მდებარეობენ თბილისში, ჩაატაროს აცრა საკუთარი რაზმების საშუალებით.

ექიმ კონსულტანტების თათბირი

დღეს, საღამოს 6 საათზე, თბ. აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილებასთან შესდგება თბილისში მყოფ ყველა ექიმ - კონსულტანტების საქალაქო თათბირი ქუნთრუშისა და დიფტერიტის ეპიდემიასთან საბრძოლველ საშუალებათა შესახებ.

ახალ დაავადებათა შემთხვევები

28 ნოემბერს ქალაქში ქუნთრუშით ავათ გახდა 1 ბავში და დიფტერიტით—2, ხოლო 29 ნოემბერს, ადგილი ჰქონდა ქუნთრუშით დაავადების 3 შემთხვევას და დიფტერიტის ერთ შემთხვევას.

გახურებული შ[illegible]ლი

„რატომ[illegible]

ზემო-სვანეთი, როგორც მოგეხსენებათ, იშვიათი ბუნებრივი სილამაზით დაჯილდოებული კუთხეა. ყოველ ზაფხულობით მას მრავალი ექსკურსანტები და ტურისტები აწყდება. ეცნობიან აქაურ ბუნებას, ხალხს, ენას და ზნე-ჩვეულებას. მაგრამ სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ ჩვენში სტუმრათ ჩამოსულნი არ ეცნობიან ადგილობრივ საბჭოთა აპარატის პირად შემადგენლობას. ეს რომ ასე იყოს, ალბათ ბევრი ტურისტი აღნიშნავდა თავის უბის წიგნაკში დაახლოებით შემდეგს: „ბუნების თავისებურობას საკუთარი დაღი დაუჩნევია ზემო-სვანეთის საბჭოთა აპარატზეც. ზემო-სვანეთის მზე გუჯეჯიანების გვარზე ამოდის. მაზრის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა უჭირავს გრიგოლ გუჯეჯიანს, მემანქანე ქალის თანამდებობა—გრიგოლის ძვირფას მეუღლე გუჯეჯიანს,მილიციის უფროსის თანაშემწის—შ. გუჯეჯიანს, სკოლის გამგის თანამდებობა კ. გუჯეჯიანს“.

შემთხვევით გავლილი ტურისტი ალბად ამ უცნაურ მოვლენას აღნიშნავდა, როგორც მგზავრის შთაბეჭდილებას. ის არ დაიწყებდა იმის მიზეზების ძებნას თუ როგორ მოხდა, რომ ზემო-სვანეთში საბჭოთა აპარატი გუჯეჯიანების საგვარეულო შემოსავლის წყაროთ გადაიქცა. მაგრამ ადგილობრივი მცხოვრებნი ასეთ ცნობისმოყვარეობას იჩენენ: ისინი კითხულობენ, რატომ მოხსნეს ლატაკი მემანქანე ქალი ანასოკა თანამდებობიდან? იმიტომ ხომ არა, რომ გრიგოლ გუჯეჯიანის მეუღლე მოეწყოთ ამ თანამდებობაზე? რატომ დანიშნეს მილიციის უფროსის თანაშემწედ ამ საქმეში სრულიად გამოუცდელი შ. გუჯეჯიანი? იმიტომ ხომ არა, რომ შ. გუჯეჯიანი გრიგოლის ნათესავია? რატომ მოხსნეს სკოლიდან ძველი გამგე და მის ნაცვლად დანიშნეს კ. გუჯეჯიანი? იმიტომ ხომ არა, რომ კ. გუჯეჯიანმა, ისე როგორც გრიგოლ გუჯეჯიანმა, არ იცის სავალდებულო ქართული ენა? რატომ მოხდა, რომ ზემო-სვანეთის სკოლების ავეჯეულობა გრიგოლ გუჯეჯიანის სახლში იქნა აღმოჩენილი?... მგონი ამდენი „რატომ“ საკმარისია.

როდის იქნება, რომ ყველა ამ „რატომ“-ზე ზემო-სვანეთის სამაზრო აღმასკომი დამაკმაყოფილებელ „იმიტომ“-ს გაგვაგონებს, რაც უფრო ჩქარა იქნება ეს, მით უკეთესია ზემო-სვანეთის საბჭოთა აპარატისათვის.

უშბა.

ქურდს ქუდი არ ეწვის

გორის მაზრის სოფელი ხიდისთავი, ერთი თვალსაჩინო სოფელთაგანია მთელ ამ მაზრაში. არა იმიტომ, რასაკვირველია, რომ ეს სოფელი რაიმე ყურადღებას იპყრობდეს მართლაც ხიდის თავით. ხიდები აქ იმდენივეა, როგორც სხვა სოფლებში, მდებარეობითაც არ განსხვავდება ხიდისთავი გორის მაზრის სხვა დასახლებულ კუთხიდან. სამაგიეროდ აქაური აღმასკომის თავმჯდომარის თედიაშვილის თავი კი ბევრად განსხვავდება სხვა თემაღმასკომთა თავმჯდომარეების თავისაგან.

თედიაშვილს მეტად უყვარს ბუხრის ქუდი. სიმჰამა, კარგად შესარგი, გავლა-გამოვლა, სტომაქზე ნებივრულად ხელის დასმა.

წელს კი, მოგეხსენებათ, მეტად ნაადრევი ზამთარი დადგა. თედიაშვილმა, როგორც თავიანთ კაცმა, ამას წინდაწინვე აუღო ალღო. მღვდელის სიძეს კავკასიძეს მშვენიერი ბუხრის ქუდი ჰქონდა, თედიაშვილს კი შეეძლო მისთვის გაეჩარხა მამულის საქმე. აქ, როგორც მოგეხსენებათ, საჭიროა სინდისზე ცოტა ჰნით თითი დააჭირო, რომ კავკასიძის ბუხრის ქუდმა თედიაშვილის თავი შეამკოს, ხოლო კავკასიძემ მამულის საქმე მოიჭახრაკოს.

მაგრამ განა მარტო იმიტომ აბია თავი თედიაშვილს, რომ კავკასიძისეული ქუდი ატაროს? არა, ხიდისთავის აღმასკომის თავმჯდომარის თავს სხვა დანიშნულებაც აქვს. აი მაგალითად, თედიაშვილმა საფუნძე ვენახი თვით შეაფასა, თვით აიღო იჯარით და თვითონ დაამუშავა ის არა საკუთარი შრომით, არამედ დაქირავებული მუშა-ხელით.ამას მოფიქრება და მოკვარახჭინება უნდოდა თუ არა, როცა გვერდით პირღია და ხახამშრალი ღარიბი გლეხკაცობა დღიურ მიწას ცის მანანასავით შესჩერებია? თედიაშვილმა ეს ყველაფერი შესძლო. ან კი რატომ ვერ შესძლებდა, როცა მას მხარს უმშვენებს მეორე ხიდისთაველი აბრუნდისტი, ბოროტმოქმედებისათვის არაერთხელ პასუხისგებაში მიცემული გიორგი კატაპარიაშვილი. ეს ყმაწვილი, როცა ის მიწკომის თავმჯდომარე იყო, გლეხს მიწას არ მისცემდა, თუ ერთ მილიონ მანეთს ბონით არ მიართმევდა, ან ერთ ბურვაკს.

ადვილი წარმოსადგენია, რა დღეში იქნება ღარიბი გლეხკაცობა ასეთი მართველობის ხელში. დროა გორის აღმასკომმა მიიღოს სათანადო ზომები,თორემ თუ ჩვენ იმას ვუცადეთ, სანამ ქურდს ქუდი აეწვება, თედიაშვილი კიდევ ბევრ ბუხრის ქუდს გამოცვლის და [illegible] კატაპარიაშვილიც არა ერთ ბურვაკს დაიგდებს გულზე.

გლეხი.

ქრონიკა

ჯ. ჩ. გუმედი თბილისში

გუშინ აფრიკის პროფკავშირების გაერთიანების თავმჯდომარე **ჯონსიი ჩანგანა გუმედი** ამხ. კ. ხოშტარიას თანხლებით ესტუმრა პირველ გამასწორებელ სახლს და სპეციალური დანიშნულების იზოლატორს, სადაც დაათვალიერა კამერები, საავადმყოფო, სახელოსნოები, თეატრი, კლუბი და სხვა. იქვე კედლის გაზეთისათვის მან დასწერა წერილი. კამერების დათვალიერების შემდეგ პატიმრებმა გუმედის საჩუქრად გადასცეს თავისი ნამუშევარი.

გამსახლის საპატიო სტუმართა წიგნში გუმედიმ ჩასწერა, რომ საბჭოთა გამასწორებელი სახლების დათვალიერებამ მასზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა, „გამსახლების გაცნობამ მე დამარწმუნა, რომ საბჭოთა ხელისუფლება მიზნათ ისახავს არა დამნაშავეების დასჯას, არამედ გასწორებას“,—აღნიშნავს თავის წერილში ჯონსიი გუმედი.

ამხ. ბლიუმის ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სატყეო დირექტორიატის უფროსი დირექტორი ამხ. ბლიუმი. მისი ჩამოსვლის მიზანია ხე-ტყის ექსპორტის საქმის გაცნობა ამიერ-კავკასიაში.

ამხ. ბლიუმი უკვე გაეცნო ექსპორტის მსვლელობას აფხაზეთში და აჭარისტანში და სართიჭალის ხე-ტყის სახერხ ქარხანას. ამ დღეებში ა.-კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატში ამხ. ბლიუმის მონაწილეობით შესდგება თათბირი, რომელზედაც განხილული იქნება ხე-ტყის ექსპორტთან დაკავშირებული საკითხები.

პროფ. ვილიამ გუდის და გარი პოლიტის გამგზავრება

გუშინ მოსკოვში გაემგზავრნენ ინგლისელი პროფ. ვილიამ გუდი და ინგლისის მეუმცირეთა პროფმოძრაობის ბელადი გარი პოლიტი.

სასკოლო აღწერა

სასკოლო აღწერის დამხმარე კომისიის განმარტებით სასკოლო აღწერა ჩატარებული იქნება მხოლოდ მასწავლებლების საშუალებით უგასამრჯელოდ. ამის გამო მასწავლებლები, რომლებიც ჩაბმული იქნებიან აღწერაში, სამსახურიდან განთავისუფლებული უნდა იქნენ 8 დეკემბრიდან აღწერის დამთავრებამდე.

კედლის გაზეთების შეჯიბრი

26 ნოემ. მუშათა ცენტრალურ კლუბში გაიხსნა გემო-კვების მუშაკთა კავშირის წარმოებებთან არსებულ კედლის გაზეთების საქალაქო გამოფენა. საუკეთესო კედლის გაზეთების დასაჯილდოებლად კავშირმა გამოჰყო სპეციალური ჟიური, რომელშიაც მონაწილეობას იღებდენ გაზ. „კომუნისტის“, „ზარია ვოსტოკას“, „რაბოჩაია პრავდას“ და „მუშას“ რედაქციების წარმომადგენლები.

ჟიურიმ 1-ლი ჯილდო 20 მან. რაოდენობით მისცა სასაკლაოს მუშების კედლის გაზეთს „სასაკლაო მუშა“-ს. მეორე ჯილდო 15 მან. რაოდენობით მიეცა როზა ლიუქსენბურგის სახ. თამბაქოს ფაბრიკის კედლის გაზეთ „წითელ თავსაკრავს“ და მესამე ჯილდო 10 მან. რაოდენობით მიეცა თამბაქოს ქარხანა „პროლეტარის“ კედლის გაზეთ „მარტუნი“-ს.

1926 წ. უპროცენტო სესხის ტირაჟი

დღეს ქ. მინსკში (ბელორუსია) იწყება 1926 წლის უპროცენტო სესხის მოგებათა მეხუთე ტირაჟი.

1926 წლის სესხი პირველად გამოიცა 30 მილ მანეთის რაოდენობით და გასაღდა სრულიად პირველსავე წელს.

მოთხოვნილება ამ სესხის ობლიგაციებზე გაცილებით მეტი იყო, ვინემ მიწოდება, რამაც გამოიწვია მისი საბირჟო კურსის აწევა—120 მანეთამდე (გამოსასყიდი ფასი უდრიდა—96 მანეთს). ობლიგაციის ფასის გადიდება კიდევ არის მოსალოდნელი.

ჭურჭლეულობის შეძენა

ცეკავშირმა გადაწყვიტა წელს ფაიფურის საწარმოებზე უფრო მეტი შეიძინოს ფაიანსი. ჭურჭლეულობა, ვინაიდან ფაიანსის ჭურჭლეულობა უფრო იაფია და გამძლეც. ფაიანსის ნაწარმოები უმთავრესად განაწილებული იქნება მაზრებში. ქალაქისათვის შეძენილი იქნება როგორც ფაიანსის ისე ფაიფურის ჭურჭლეულობა. წელს ცეკავშირი კოოპერაცია სილიკატიდან შეიძენს 1.000.000 მანეთის ჭურჭლეულობას, აქედან 200,000 მან. ფაიფურის ჭურჭელი და250,000 მან. ფაიანსისას. დანარჩენი თანხით შეძენილი იქნება სხვადასხვა შუშეულობა. ახლო ხანში ცეკავშირი შეკვეთის თანახმად მიიღებს 5 ვაგონ ფაიფურს, 12 ვაგონ ფაიანს, 12 ვაგონ შუშეულობის სხვადასხვა ჭურჭელს 1 ვაგონ სააფთიაქო ჭურჭელს და 10 ვაგონ სხვადასხვა ზომის ბოთლებს.

ჭურჭლეულობა მიღებისთანავე განაწილებული იქნება ძირითადად კოოპერატივებს შორის.

თბილისის აღმასკომში

◆ **ტრამვაის ახალი ხაზების** გასაყვანად თბ. აღმასკომმა გადასდო 49.500 მან.

◆ **ტრამვაის დირექტორობა**, ამხ. ფარნიევის ადგილობრივ მრეწველობის განყოფილების გამგეთ დანიშვნის გამო, დროებით დაეკისრა ამხ. ალიევს.

◆ **საფურთხებლები.** თბილისის აღმასკომის დადგენილებით ყველა წარმოება-დაწესებულებები, მაღაზიები, კლუბები და თეატრები ვალდებულნი არიან დადგან საფურთხებლები.

◆ **არხის გაუქმება.** კომუნალურ განყოფილებას დაევალა გერმანელთა ახალშენებში გააუქმოს არსებული არხი, რომელიც აჭაობიანებს დიდუბის რაიონს.

◆ **თბილისის გალამაზების მიზნით** თბილისის აღმასკომმა გადასწყვიტა მოახდინოს ქალაქის ახალი დაგეგმვა

◆ **პროსტიტუციასთან ბრძოლის** მიზნით თბილისის აღმასკომს გადაწყვეტილი აქვს გახსნას სამკერვალო და სამრეცხველო, რომლებშიაც იმუშავებენ პროსტიტუციის გზაზე დამდგარი ქალები.

◆ **სანიტპირობების დასაცავად.** ის სახლის პატრონები. რომლებიც სუფთად არ იქონიებენ ეზოებს და საპირფარეშოებს პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი.

ჯანსახკომში

◆ **აბანო.** ლეჩხუმის მაზრაში აბანოს აგებათ ჯანსახკომმა გადასდო 1500 მან.

◆ **ეპიდემიური ბარაკები** დუშეთის მაზრის ეპიდემიურ ბარაკის შესაკეთებლად ჯანსახკომმა გაიღო 1000 მან.

◆ **ვენერიული ამბულატორიები.** ჯანსახკომმა გადასწყვიტა ქალ. ოზურგეთში გახსნას ვენერიული ამბულატორია.

◆ **სანიტგანათლებაზე** გასულ წელს ჯანსახკომმა დახარჯა 50.750 მან.

◆ **წყალით მკურნალობა.** ფიზიო-თერაპევტიულ ინსტიტუტთან გაიხსნა წყალით სამკურნალო-ინჰალატორიუმი.

◆ **სამკურნალო იარაღები** ჯანსახკომმა მაზრებისათვის შეიძინა საექიმო და სამეანო იარაღების 30 კომპლექტი.

◆ **საავადმყოფო მონასტერში.** ყოფ. ბოდბის მონასტერის შენობაში გადატანილი იქნა სიღნაღის საავადმყოფო.

◆ **დოსტაქრობა.** ზესტაფონის და ჩხარის საავადმყოფოებთან მოეწყო სადოსტაქრო განყოფილებები.

◆ **ახალი საავადმყოფო.** ყარაიაში გახსნა საავადმყოფო.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **სუმბათაშვილ-იუჟინის** ხსოვნის აღსანიშნავად დღეს მუშათ თეატრის რუსული დრამის მიერ წარმოდგენილი იქნება განსვენებულის პიესა „ჯენტლმენი“.

◆ **ოპერის თეატრში** დღეს წარმოდგენილი იქნება „სამსონ და დალილა“.

◆ **მირა ელიავას** მეორე კონცერტი გაიმართება კონსერვატორიის დარბაზში 3 დეკემბერს.

◆ **ჭიათურის** აკადემიური დრამა ფრანგიშვილის რეჟისორობით ამზადებს „კვაჭს“ და „ამერიკელ ძიას გასაბჭოებას“.

◆ **კონსერვატორიის დარბაზში** დღეს გაიმართება მომღერალ ნიკ. ილლოვიჩის და ევლაპოვას პირველი კონცერტი.

◆ **რუსთაველის თეატრში** დღეს წარმოდგენილი იქნება: „ზაგმუკ“.

დღეს კინოებში

— აპოლოში—„მოსკოვი ოქტომბერში“.
— არფასტოში—„პოეტი და მეფე“.
— სოლეიში—„პოეტი და მეფე“.
— დარბაზში „ბუკრაველის თავგადასავალი“.

შემთხვევები

ამხ. გრიგოლიას მოკვლის განზრახვა

ამ რამოდენიმე ხნის წინად სამსახურის საქმეების გამო, აკდამში გაემგზავრა თბილისის სისხლის სამართლის მილ. რწმუნებული ამხ. მ. გრიგოლია. 26 ნოემბერს ამხ. გრიგოლიას ოთახში შევიდა მოქ. ალიახპერ სოიუნ-ოღლი და მოკვლის განზრახვით ესროლა მას ნაგანის რევოლვერიდან.

ამხ. გრიგოლიას ტყვია მოხვდა მარცხენა ყბაში და გავიდა მეორე მიმართულებით.

ამ დროს ამხ. გრიგოლია ლოგინზე იყო წამოწოლილი. იგი სწრაფად წამოდგა. ალიახპერ სოიუნ-ოღლიმ რევოლვერი კვლავ დაუმიზნა მას თავში და მოინდომა მეორეჯერ ესროლა მისთვის. გამოუშვა ჩახმახი, მაგრამ რევოლვერი არ გავარდა.

ამხ. გრიგოლიამ მოიკრიბა ძალ-ღონე და [illegible]გრად ჩასჭიდა ხელი რევოლვერის ტარს. ბოროტმოქმედი შეებრძოლა მას და უკბინა ხელზე.

ხელჩართული ბრძოლის შემდეგ ამხ. გრიგოლიამ რევოლვერი აართვა ალიახპერ სოიუნ-ოღლის და ამით თავიდან აიცილა მოსალოდნელი უბედურება.

ბოროტმოქმედი ალიახპერ სოიუნ-ოღლი დაპატიმრებულია და ახლო მომავალში წარსდგება სასამართლოს წინაშე.

რეციდივისტების დაპატიმრება

ამ უკანასკნელ ხანებში ქალაქში „მოღვაწეობდა“ ქურდ-რეციდივისტების ჯგუფი, რომელიც განსაკუთრებით დახელოვნებული იყო საცხოვრებელ ბინების გაქურდვაში.

გუშინ სისხლის სამართლის მილიციამ ყველა ბოროტმოქმედი დააპატიმრა. ისინი აღმოჩნდენ: ვლადიმერ ვასილის ძე კამინსკი, აშოტ აირაპეტის ძე მიკირტუმოვი, გიგო ივანეს ძე ეჯაევი და ერვანდ სუქიას ძე ნაზაროვი (ნაზარიანცი).

შემთხვევა სახელმწიფო უნივერსიტეტში

გუშინწინ, საღამოს 7 ნახ. საათზე, სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში სტუდენტ ნიკოლოზ ვასილის ძე შენგელაიამ (22 წლისა) ჯიბის დანით მსუბუქად დასჭრა მკერდის არეში მისივე ამხანაგი სტუდენტი ვასილ ილიას ძე ალექსიძე (19 წლისა).

მკვლელობა

გუშინ, თბილისის სისხლის სამართლის მილიციაში მიიღეს ცნობა, რომ გუშინწინ, საღამოს სოფ. ანთოკის და „მარიამ-ჯვრის“ (თბილისის მაზრა) შუა-გზაზე მოქ. თათეოზ ასატუროვმა შურისძიების ნიადაგზე ხანჯლით სასიკვდილოთ დასჭრა სოფ. გურჯაანის მცხოვრები არამ ალექსანდრიანცი.

მკვლელი ასატუროვი და მისი ხელის შემწყობი ელენე წიკლაური დაპატიმრებულნი არიან.

◆ **ვერცხლის საათის** მოპარვისათვის დააპატიმრეს თედორე სტეფანეს ძე რელია.

◆ **ჯიბგირი.** გუშინ დააპატიმრეს ჯიბგირი სიმონ ალექსანდრეს ძე პეტროვი.

◆ **დაპატიმრებულია** ქურდი გაიკ აბრამის ძე უგანესოვი.

◆ **ზოოლოგიურ ინსტიტუტის** შენობიდან (ვაკე) მოიპარეს 100 მანეთის ნივთები.

◆ **ცენტრალურ ბაზარში**, მაჰმედ ქიარიმოღლის მოპარეს 460 მანეთის ნივთები.

◆ **მცირეწლოვანი ქურდი.** პლეხანოვის პროსპექტი № 70, ვიქტორ აბრამოვიჩის მაღაზიის გაქურდვის განზრახვის დროს შეპყრობილ იქნა 15 წლის ნიკოლოზ გოლნიკოვი.

◆ **პალტოს მოპარვა.** ალექსანდრე ლამბარაშვილის ბინიდან (კალინინის ქ. № 29) მოიპარეს 3 პალტო.

◆ **მუშკოოპის** ხორცის სავაჭროში (პლეხანოვის პროსპექტი № 128) გ. ქუმსურიძეს ჯიბიდან ამოაცალეს [illegible] მანეთი.

◆ **ტრამვაიში** სიმონ შარაშიძეს ჯიბიდან ამოაცალეს 57 მანეთი.

◆ **29 ნოემბერს**, ვ. სიჭინავას ბინიდან ([illegible]რესის ქ. № 19) მოიპარეს 300 მანეთის საოჯახო ნივთები.

◆ **გუშინ დააპატიმრეს** ჯიბგირი ლეონ მაკარტიჩის ძე არუთინოვი.

◆ **მიწადმოქმედების კომისარიატის** ცხენსაშენ განყოფილებიდან (ელისაბედის ქ. № 240) მოიპარეს ერთი ცხენი, უნაგირი და პალტო.

სასამართლო

ერთი ქალი 8 შეიარაღებულ მამაკაცის წინააღმდეგ

ამ ამბის შინაარსი ჩვენმა მკითხველებმა მოკლედ უკვე იციან.

მოხდა ეს ამა წლის 11 სექტემბერს თბილისში პლეხანოვის თეატრის მახლობლად, საზღვრის ქუჩის იქით—მინდორზე.

ღამის 12 საათია. ახალგაზრდა 18 წლის ქალი ეკატერინე ბ-შვილი თავის ამხანაგ ქეთო ქართველიშვილთან ერთად ამხ. ორჯონიკიძის სახელობის კლუბიდან ბრუნდებოდა თავის სახლში.

რკინიგზის ხიდთან შეგობრები ეთხოვებიან ერთმანეთს და ეკატერინე ბ-შვილი მიდის მარტო. პლეხანოვის თეატრს რომ გაუსწორდა, ეკატერინეს შემოხვდენ ნაცნობები ვანო ბუჯიაშვილი და გიორგი ბებიაშვილი.

ნაცნობები მიესალმენ ეკატერინეს და უთხრეს —გაგაცილებთო.

— ნუ შესწუხდებით, მე არ მეშინია, მარტო წავალ,—უპასუხა ქალმა.

ამ ლაპარაკის დროს მათთან მივიდა სამი მოქალაქე, რომლებმაც წინადადება მისცეს ვაჟებს, გაეცნოთ მათთვის ბ-შვილის ქალი.

ამ დროს მოშორებით მოსჩანს ახალგაზრდების ერთი ჯგუფი.

ქალმა კატეგორიული უარი განაცხადა როგორც მათ გაცნობაზე, ისე გაცილებაზე და მარტო გაუდგა გზას.

გაიარა რამოდენიმე მანძილი. ქალს ესმის აჩქარებული ფეხის ხმა. ინსტიქტიურად გრძნობს, რომ მის დასაწევად მოდის ვიღაც.

— შეიძლება გაგეცნოთ,—გაისმა აღელვებული ხმა და მოქალაქემ გზა გადაუჭრა ქალს.

— თავი დამანებეთ, არავითარი სურვილი არ მაქვს თქვენთან გაცნობის, თქვენი გზა მონახეთ,—უპასუხა ქალმა და სცადა ქუჩის მეორე მხარეზე გადასვლა.

მოქალაქემ მაგრად ჩასჭიდა ქალს ხელი, გადაუგრიხა მკლავი და წააქცია ტრამვაის ლიანდაგზე.

ქალმა მორთო ყვირილი: „მიშველეთო“..

მოვარდა მეეზოვე სერგეევი.

ამ დროს მათ მოუახლოვდა მთელი ჯგუფი ახალგაზრდებისა. ხმაურობაზე მივიდენ ქალის ნაცნობებიც ბუჯიაშვილი და ბებიაშვილი.

მეეზოვემ დაუძახა მეორე მეეზოვეს სამადაშვილს და უთხრა:

— ხომ ხედავ, ამდენ ხალხს ჩვენ ვერ გაუმკლავდებით, შენ აქ დაიცადე. რამე საზიზღროაზე არ ჩაიდინონ, მე გავიქცევი და მილიციელს დავუძახებ.

მეეზოვე სამადაშვილი დარჩა. სერგეევი წავიდა მილიციელის დასაძახებლად.

ქალის ნაცნობებმა ბუჯიაშვილმა და ბებიაშვილმა გაანთავისუფლეს ეკატერინე, გამოსდეს ხელი მკლავში და მიაცილეს სახლამდე.

ამ დროს „ავარების ჯგუფს“ მოლაპარაკება აქვთ მეეზოვე სამადაშვილთან. მოლაპარაკების მიზანია, მეეზოვის გადაბირება, რომ მისი დახმარებით მიაღწიონ საზიზღარ მიზანს.

მეეზოვე გადავიდა „მტრების ბანაკში“.

მთელი ეს ავარების ხროვა მეეზოვე სამადაშვილის მეთაურობით დაეწია ქალს სწორედ მაშინ, როცა იგი სახლში უნდა შესულიყო.

— თქვენ დაპატიმრებული ხართ ქუჩაში წესრიგის დარღვევისათვის, ეხლავე კომისარიატში უნდა გამომყვე, როსკიპებს იქ ასწავლიან ჭკუას, ეუბნება მეეზოვე სამადაშვილი ბ-შვილის ქალს.

ქალი სტირის, ჰყვირის. დაბოლოს იძულებული ხდება გაჰყვეს კომისარიატში.

აქ მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ ეკატერინე ბ-შვილის ქალი ახალ ჩასახლებულია მე-12 უბანში, სადაც ეს ამბავი ხდება. მან გზაც არ იცის კომისარიატის.

მეეზოვე უკან მიჰყვება ქალს და მიუთითებს, საით უნდა წავიდეს.

მეეზოვემ ქალი გაიტყუა მინდორზე, სადაც ახლობლად არავინ სახლობს.

— აქეთ კომისარიატს რა უნდა, აკანკალებული ხმით ეუბნება ქალი მეეზოვეს.

— ასე უფრო ახლოს არის,—უპასუხებს სამადაშვილი.

როცა კარგა მოზრდილი მანძილი გაიარეს, მეეზოვე სამადაშვილმა უეცრად გაიხადა ტანზე ფარაჯა, შემოახვია ქალს თავზე, წააქცია და დააჭვე ზევიდან.

მოგაგონებთ, რომ ამ „პროცესიას“ თან მოჰყვებოდა ქალის ნაცნობი ვაჟებიც.

ქალის წაქცევის თანავე მთელი ეს ჯგუფი ავარებისა დაესია ქალს.

ნაცნობებმა ასტეხეს ყვირილი და დაუწყეს ვინება თავდამსხმელებს.

ავარებმა იძვრეს დანები, რევოლვერები და სიკვდილის მუქარით ხმა გააკმენდინეს ყველას.

იწყება შეტევა ქალის წინააღმდეგ. მეეზოვე, რომელსაც პირველად უნდოდა ქალის მოკვლა, უსაკვირველია, პანღურის კვრით გამოაგდეს.

კუდ ამოძუებული მეეზოვე გაიბუტა, გაიბერა, ნელის ნაბიჯით წავიდა და უყურებდა შორიდან.

ამხანაგები ერთმანეთს უჯიკავებენ, ერთმანეთს ეჯიბრებიან—არა მე და არამეო.

ქალს თანდათან ახევენ ტანისამოსს, ქალი იბრძვის, იგერიებს, მაგრამ ხედავს, რომ საქმე ცუდათ მიდის. რამდენს უნდა გაუმკლავდეს?

ქალს წააჭირეს ყელში ტანსაცმლის ნაგლეჯა. ქალმა მოიგონა ხერხი.

— შენ მაინც არ დაგნებდები თუნდაც, რომ მომკლა, ეუბნება ქალი ერთ-ერთ მათგანს.

— რატომ?

— იმიტომ, რომ აი შენმა ამხანაგმა მითხრა, რომ ვენერიული სენით არის დაავადებული და არ დანებდეო.

— ვინა? ამან გითხრა?

— ჰო, მაგან მითხრა.

გაჩნდა ამხანაგებს შორის ჩხუბი. ერთი გაუშლის ცხვირში, მეორე უპასუხებს. ამ დროს ქალი ცდილობს გაპარვას. ისევ დაიჭირენ.

ერთი ავარათაგანი ქალს შეუკრავს ხელს.

ქალი წაიძრობს ფეხზე ტუფლს და სთხლაშავს ცხვირში.

ცხვირ გატეხილი ავარა სტოვებს ბრძოლის ველს.

ისევ იწყება ჩხუბი ამხანაგებს შორის. ჩხუბი მწვავდება, ის დროა, რომ ერთმანეთს დანები უნდა დაჰკრან.

უეცრად მოიხედავენ და სადღაა ქალი.

ქალმა ისევ უშველა.

ქალთან ბრძოლამ გასტანა ორი საათი. ბრძოლის ველზე დარჩენ ცხვირპირ დამტვრეული ავარები. ეკატერინე ბ-შვილის ქალი დაბრუნდა თავის სახლში.

მეორე დღეს 13 სექტემბერს შეიპყრეს ყველა ბოროტმოქმედნი გარდა ერთისა, რომელიც მიმალულია. ისინი აღმოჩნდენ: **გიორგი ქავსროლიაშვილი, გ. მერაბიშვილი, კ. სულხანიანი, მეეზოვე სამადაშვილი და მ. კაპიანიძე.**

საქმის გამოძიება დაამთავრა უფროსმა გამომძიებელმა **პორომინმა.** თავდამსხმელების გასამართლება მოხდება საჯაროდ. **ბერ.**

ბრძოლა მალარიის წინააღმდეგ

საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მრავალთაა ჭაობიანი ადგილები, რომლებიც ავრცელებენ მალარიას. ჭაობიან ადგილების გარდა მალარიის გავრცელებას ხელს უწყობენ ტბები, სარწყავი არხები, მდორე მდინარეები, ჭები და სხ. მალარიასთან ბრძოლის საქმეში, ჯანსახკომს განზრახვა აქვს ჭაობების ამოშრობასთან ერთად დაიწყოს გამბუზიას ჯიშის თევზების მოშენება. ამ ჯიშის თევზები მუსრს ავლებენ ყოველგვარ ჭიებს, განსაკუთრებით კოღოების წარმომშობ ჭიებს. გამბუზიას ჯიშის თევზების სამშობლოა სამხრეთ ამერიკა. მათ მოშენებას უკანასკნელ წლებში აწარმოებენ იტალიაშიდაც. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ჯიშის თევზები მრავლდებიან მშობიარობით, საჭმელად უვარგისია და მიუხედავად თავიანთი ტანის სიპატარავისა, მეტად გაუმაძღარნი არიან. ჭაობიან ადგილებში გამბუზია წელიწადში მრავლდება 5—6 ჯერ, (ცივ ადგილებში 2—3 ჯერ და ყოველ დამაკების შემდეგ ბადებს 50—70 პატარა გამბუზიას. 1925 წელს აფხაზეთის ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტის დირექტორმა ექ. **ნ. რუხაძემ** იტალიიდან ჩამოიყვანა 400 გამბუზია მოსაშენებლად. თევზები ჩაშვებული იქნა აუზებში, ჭებში და დღემდე არაჩვეულებრივი სისწრაფით მრავლდებიან.

საქართველოს ჯანსახკომს განზრახვა აქვს შეუდგეს გამბუზიას მასიურ მოშენებას საქართველოს სხვადასხვა ადგილებში—ტბებში, მდორე მდინარეებში, ჭებში, სარწყავ არხებში და სხ.

ჭადრაკი

ალიოხინი—მსოფლიო ჩემპიონი

ბუენოს-აირესი, 30 ნოემბერი. ალიოხინმა მიიღო მსოფლიო ჩემპიონის სახელწოდება. მატჩი ალიოხინმა მოიგო +6,—3,=25 შედეგით.

კაპაბლანკამ წერილობით აცნობა ალიოხინს, რომ მან გადასწყვიტა, თამაშის განუახლებლად წაგებულად სცნოს მატჩის მე-34 პარტია და ულოცავს მას გამარჯვებას.

ჟურნალისტებთან საუბარში ალიოხინმა განაცხადა:

„მე უაღრესად ბედნიერად ვთვლი თავს, რომ განვახორციელე ჩემი ცხოვრების ოცნება“.

ალიოხინმა დასძინა, რომ მსოფლიო ჩემპიონის ახლად მიღებულ სახელწოდებას ის დაიცავს არაუადრეს 1929 წლისა. ამასთან დაუმატა, რომ მსოფლიო ჩემპიონობას ის დაიცავს ყველას წინაშე, ვინც კი მას გამოიწვევს, ხოლო განსაკუთრებით კაპაბლანკას წინაშე.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ კაპაბლანკაზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა დამარცხებამ, მაგრამ კაპაბლანკა აღიარებს, რომ მატჩი მას მოუგო ღირსეულმა მოთამაშემ.

მცოდნეთა აზრით, მატჩი მიმდინარეობდა საუკეთესო პირობებში და მისი შედეგები მოწმობენ ალიოხინის უპირატესობას. (ადს).

ბუმბერაზთა ბრძოლა

ალიოხინ-კაპაბლანკას მატჩი მსოფლიო პირველობაზე დამთავრდა. აწრულდა ალიოხინის დიდი ხნის ოცნება: მან დაამარცხა ამაყი კუბელი ოსტატი და მსოფლიო ჩემპიონის სახელი მოიხვეჭა. ამაშია ამ უჩვეულო მატჩის სენსაციური მხარე.

ორთვენახევარი გრძელდებოდა ჭადრაკის ბუმბერაზთა ეს გაუგონარი ჭიდილი. აქ არ ყოფილა „ახალგაზრდობის“ და „სიბერის“ საბედისწერო შეხვედრა. ჭადრაკის დაფაზე ერთმანეთს შეხვდა ორი თანასწორი ძალა, ორი გენიალური ოსტატი, რომლებიც წლოვანობითაც კი თითქმის თანასწორი არიან (კაპაბლანკა 39 წლისაა, ალიოხინი 35-ის).

ხოზე რაულ კაპაბლანკა (მისი სრული გვარია კაპაბლანკა—ი—გრაუპერა) კუბინელია (სამხრეთ-ამერიკა), დაიბადა 1888 წელს გავანაში.

ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ალიოხინი, ტომით რუსი, ამჟამად საფრანგეთის მოქალაქეა; დაბადებულია მოსკოვში 1892 წელს.

მატჩი მსოფლიო პირველობაზე მათ შორის დაიწყო მიმდინარე წლის 15 სექტემბერს და დამთავრდა 29 ნოემბერს. ეს მატჩი ალიოხინის შუამდგომლობით მოწყობილი იყო არგენტინის ჭადრაკის კლუბის მიერ და სწარმოებდა არგენტინის დედა-ქალაქ ბუენოს-აირესში.

მატჩის პირობები ასეთი იყო (ეს პირობები გამომუშავებული იქნა 1922 წელს ლონდონში ექვსი გროსმეისტერის მიერ კაპაბლანკას და ალიოხინის მეთაურობით): ჯილდოთ გადადებული იყო 10.000 დოლარი; აქედან გამარჯვებული მიიღებდა 60 პროც., დამარცხებული 40 პროც. მატჩი უნდა გაგრძელებულიყო 6 მოგებულ პარტიამდე (უშედეგოთ დამთავრებული პარტიები არ ითვლება); იმ შემთხვევაში, თუ მოწინააღმდეგეებს ექნებოდათ 5:5, მატჩი უშედეგოთ ჩაითვლებოდა და მსოფლიო ჩემპიონის სახელი რჩებოდა კაპაბლანკას.

მოსაფიქრებლად მოთამაშეებს მიცემული ჰქონდათ 2 საათი პირველ 40 სვლისათვის და თითო საათი თვითეულ შემდგომ 15 სვლაზე. თამაში სწარმოებდა კვირაში 6-ჯერ და თვითეულჯერ გრძელდებოდა 5 საათი განუწყვეტლივ.

ორთვენახევრის განმავლობაში სულ ნათამაშევი იქნა 34 პარტია. აქედან მოგებულია 9. დანარჩენი 25 პარტია უშედეგოთ დამთავრდა. 9 პარტიიდან 6 მოიგო ალიოხინმა (1, 11, 12, 21, 32 და 34 პარტიები) და 3 კაპაბლანკამ (3, 7 და 29 პარტიები). ამრიგად, მატჩი დამთავრდა ალიოხინის ბრწყინვალე გამარჯვებით 6:3.

ალიოხინის გამარჯვება ამ მატჩში მით უფრო თვალსაჩინოა, რომ არც ერთ ტურნირზე და არც ერთ მატჩში ალიოხინს არასოდეს არ მოუგია კაპაბლანკასათვის. მსოფლიოში არ ყოფილა არც ერთი მოთამაშე, რომლისთვისაც კაპაბლანკას ერთ პარტიაზე მეტი წაეგოს.

ალიოხინი კაპაბლანკას პირველად შეხვდა 1914 წელს პეტერბურგში. მაშინ ალიოხინი 21 წლის იყო, კაპაბლანკა 25-ის. მათი პირველი შეხვედრა დამთავრდა 2,5:0,5 კაპაბლანკას სასარგებლოდ.

ომის შემდეგ ალიოხინი შვიდჯერ შეხვდა კაპაბლანკას სხვადასხვა ტურნირებში; შვიდი პარტიიდან ალიოხინმა ექვსი უშედეგოთ დაამთავრა, ერთი კი წააგო.

მიუხედავად ამისა, ჭადრაკის ავტორიტეტები კაპაბლანკას ერთად-ერთ ძლიერ მეტოქედ ისევ ალიოხინს სთვლიდენ. ამ უკანასკნელს იმდენი გამარჯვება და ისეთი მნიშვნელოვანი გამარჯვებები ჰქონდა სხვა ოსტატებთან შეჯიბრში, რომ მხოლოდ მას შეეძლო მსოფლიო პირველობისათვის ბრძოლა.

კაპაბლანკა და ალიოხინი ორ სხვადასხვა მიმართულებას ეკუთვნიან ჭადრაკის ხელოვნებაში; ისინი განსხვავდებიან სხვა მხრივაც: კაპაბლანკა დინჯი მოთამაშეა. მისი თამაში ყოველთვის გაზომილი და ღრმად მოფიქრებულია; იგი დამყარებულია საღ სტრატეგიაზე და ღრმა ჭკუაზე.

ალიოხინი, პირიქით, ნერვიული მოთამაშეა. სამაგიეროთ მას მდიდარი ფანტაზია და მუდამ ახალი, ორიგინალური იდეები ახასიათებს.

ალიოხინის სწორედ ნერვიულობას და ფიზიკურ სისუსტეს ემყარებოდა კომენტატორების უმრავლესობა, როდესაც მას დამარცხებას უწინასწარმეტყველებდა, ალიოხინის ნერვები ვერ გაუძლებს ხანგრძლივ ბრძოლას,—ამბობდენ ისინი —ამიტომ იგი იძულებული იქნება დანებდეს, მიუხედავად თავისი გენიალობისა.

მაგრამ ალიოხინმა გააბათილა კომენტატორების წინასწარმეტყველება. წინააღმდეგ ყოველგვარი მოლოდინისა, იგი მეტად დაშვიდებული თამაშობდა ამ მატჩში. პირიქით. ღელავდა მუდამ მშვიდი და დინჯი კაპაბლანკა. ერთ-ერთი პარტიის დროს იგი იმდენათ აღელდა, რომ დამსწრე საზოგადოების გაყვანა მოითხოვა დარბაზიდან.

ალიოხინმა სხვა მხრივაც უღალატა თავის თავს ამ მატჩში. ალიოხინი თავისებური სტილის მოთამაშეა. მაგრამ ამ მატჩით ის მთლიანად არ გაჰყვა თავის სტილს და ბრძოლის ექსპერიმენტად არ გადააქცია მატჩი, რადგან ამ შემთხვევაში გამარჯვების მოპოვება მისთვის საეჭვო იქნებოდა.

კაპაბლანკას სტრატეგიულ ხერხს მან დაუპირდაპირა თავისი ბრწყინვალე ტექნიკა, რომლის გადალახვა ველარ შესძლო კუბინელმა „რკინის“ მოჭადრაკემ.

კაპაბლანკა ბრძოლებში გამოცდილი მოთამაშეა. მისმა მდიდარმა [illegible] მიუვალი ციხე-სიმაგრის სახელი გაუთქვა მაგრამ ეხლა [illegible] გამოცდილებამ ვეღარ უშველა მას შემოქმედებითმა თავდადებამ, გადალახა უძლეველი კედელი და გზა გაიკაფა მსოფლიო პირველობისაკენ.

დღეს ჭადრაკის „მეფე“ ალიოხინია. შეიძლება მან დიდხანს ვერ გასძლოს ამ საფეხურზე, ხვალ ისევ კაპაბლანკა შეიქნეს მსოფლიო „მბრძანებელი“, მაგრამ ალიოხინს ვერავინ წაართმევს იმ დამსახურებას, რომ მან უმაგალითო ბრძოლით და შესანიშნავი თამაშით მოიპოვა მსოფლიო მოჭადრაკის საპატიო სახელი.

შ. ბ—ძე.

ტურნირი პირველობაზე

ამ.-კავკასიის მოჭადრაკეთა ჩემპიონატში, რომელიც შესდგება ა. წ. დეკემბრის შუა რიცხვებში, თბილისში მოჭადრაკეთა ცენტრ. კლუბს ჩემპიონატზე (სპეციალურად მოწვეულ მოჭადრაკეებს გარდა) დათმობილი აქვს ერთი ადგილი.

კლუბში ამჟამად მიმდინარეობს ტურნირი პირველობაზე; სამშაბათს, 29 ნოემბერს შესდგა ტურნირის მეხუთე ტური, რომელშიც **დანიელოვმა მოუგო თარაიანს, მირზაევმა მოუგო გუბელიას, ხოლო კასპარიანის და გეიმანის პარტია** უშედეგოთ დამთავრდა.

მეხუთე ტურის შემდეგ ტურნირის შედეგები ასეთია: ჯერ-ჯერობით პირველ ადგილზა **კასპარიანი**+4½—5-დან. **მირზაევი**+3 — 4-დან. **დანიელოვი** +3½—5-დან.

ტურნირის მეექვსე ტურის შეხვედრა მოხდება შაბათს.

ბიბლიოგრაფია

კლ. ნადარაია და ვლ. ბოკერია. „ქართული მწერლობის კრიტიკული მიმოხილვა“

ნაწ. 1, თბილისი, 1927 წ.

სარეცენზიო ნაშრომში ავტორებს უცდიათ, მოეცათ ქართული ლიტერატურის ისტორიის (ძველი პერიოდი) კურსი მარქსისტულ-მატერიალისტური თვალსაზრისით გაშუქებული. განზრახვა ავტორებისა მეტად დროულია. ჩვენი მწერლობის ისტორიის სისტემატიური კურსი ამ თვალსაზრისით ჯერ არ განხილულა (ცალკე მონოგრაფიები მხედველობაში არ გვაქვს), ხოლო მის საჭიროებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. ამიტომ სარეცენზიო ნაშრომი ერთობ საჭირო და სასარგებლო იქნება მკითხველი საზოგადოებისათვის, თუ კი ის გაამართლებს ავტორების დანაპირებს

მივყვეთ წიგნს ფეხდაფეხ თავების მიხედვით

I თავი. შესავალი. იმ გარემოებას, რომ ლიტერატურული ნაწარმოებნი დღემდე არ არიან „მატერიალისტური თვალსაზრისით გარკვეული“ ავტორები ხსნიან შემდეგი მიზეზით: „მარქსიზმს არ ჰქონდა მოპოვებული მოქალაქეობრივი უფლება, და მწერლობას და საერთოდ ხელოვნებას მცირემნიშვნელოვან საშუალებას რაცხდენ თვით მარქსიზმისათვის მებრძოლნიც თავიანთ დიად მიზნების განსახორციელებლად“ (სტილი და ორფოგრაფია ავტორებისაა დაცულია. თ. ბ.). მოყვანილ დებულებათა ასე მშრალად მიწოდება მკითხველი საზოგადოებისათვის ყოვლად შეუძლებელია. მარქსიზმი წარმოიშვა როგორც გარკვეული ფილოსოფიური მსოფლმხედველობა და მას „მოქალაქეობრივი უფლება“ ისევე ჰქონდა მოპოვებული, როგორც სხვა ფილოსოფიურ სისტემებს. მარქსიზმმა სხვა სისტემებზე არა ნაკლები ლიტერატურა შექმნა, და არა ნაკლები კრიტიკული განხილვა (თავისი სისტემისა) გამოიწვია.

მარქსიზმისათვის მებრძოლნი, წინააღმდეგ ავტორების მტკიცებისა, ლიტერატურას და საერთოდ ხელოვნებას ყოველთვის დიდ მნიშვნელობას აძლევდენ. საკმარისია ჩვენ ავტორებს მოვაგონოთ **გ. პლეხანოვი** თავისი ხელოვნების თეორიით, ლენინის შეხედულება ხელოვნებაზე და ლიტერატურაზე, ფ. მახარაძის სხვადასხვა ლიტერატურულ ნაწარმოებთა კრიტიკული გარჩევა, ისეთი პოპულიარული ნაშრომები როგორიც პ. კოგანის ლიტერატურის ისტორიები, რომ თვით ავტორები დაგვეთანხმონ თავიანთ დებულების სიყალბეში და მის არამარქსისტულობაში.

შემდეგი დებულება: „ამრიგად, სარგებლიანობრივი (ე. ი? თ. ბ.) შეხედულება ხელოვნებაზე იმდენად თავისთავად ცხადი იყო, რომ ის ბუნებრივათ თავს იჩენდა წინა ხანებში მარქსიზმის გარეშეც“ (გვ. 7). ამ დებულების დასამტკიცებლად მოყვანა რუსთაველის სიტყვების „შაირობა სამღრთო საღმრთოდ გასაგონია“. ან ილია ჭავჭავაძის ლექსი, სადაც პოეტს „ცა ნიშნავს და ღმერთთან ლაპარაკობს“ ეს თვით რეალიზმის უარყოფა იქნებოდა. ავტორებს ამ საკითხისათვის უამრავი მასალის მოძებნა შეეძლოთ ქართულს და გინდ უცხო მწერლობაშიაც.

შემდეგი დებულება: „ამგვარ სოციალურ მეთოდის თვალსაზრისით ლიტერატურის ისტორია იქცევა სოციალურ-ეკონომიურ ისტორიის შემადგენელ ნაწილად“ და „ლიტერატურული მიმართულებანი წარმოადგენენ ერთგვარ სიმბოლიურ ნიშნებს მეურნეობისა და კლასთა შორის ბრძოლისას“. ეს დებულება ცალკე თეზისად არის მოყვანილი შესავალში (გვ. 13), სამწუხაროდ, ავტორებს არ მოჰყავთ განმარტება—რა უნდოდათ ამ თეზისით ეთქვათ. გარდა იმისა, რომ სრულიად გაუგებარია დებულება, ერთ **უარყოფითი აზრის გამოტანა მაინც შეიძლება. აქედან:** ავტორებს ლიტერატურის ისტორიისათვის წაურთმევიათ საკუთარი ღირებულება და „სოციალურ-ეკონომიურ ისტორიის შემადგენელ ნაწილად“ გადაუქცევიათ. ამის თქმა, მეტადრე იმისათვის, ვინც ლიტერატურის ისტორიის დაწერას ფიქრობს, მეტი რო არა ვთქვათ, შეუწყნარებელია.

ავტორებს ცალკე თავად გამოუყვათ „ნატურალურ მეურნეობის ხანა და ამ დროის ადამიანის აზროვნება-შეგნება“. აქ არეულია ერთმანეთში ნატურალურ მეურნეობის ხანა (ალბად ფეოდალიზმის ეპოქაა ნაგულისხმევი. თ.ბ.) და პირველ ყოფილ ადამიანების ცხოვრება. საზოგადოების ფორმათა განვითარების ისტორიაში ეს ორი ხანა საკმაოდ გამიჯნულია ერთმანეთიდან და მათ კარგა დიდი მანძილი ჰყოფთ ერთმანეთიდან. ვფიქრობ მათი ერთმანეთში არევა ავტორების მხრივ უფრო უყურადღებობის ბრალია. გარდა ამისა სტილი და ლოღიკა, მაგ., ასეთი რამ. „უმაღლეს ძალამ, ყოვლის შემქმნელმა და ყოვლის მიზეზმა, დაიმორჩილა ადამიანის შემოქმედება. ადამიანი მიენდო ღმერთს და იმის იმედით სცხოვრობდა დედამიწაზე“, თანამედროვე გამოკვლევებს და მით უმეტეს, სახელმძღვანელოებს აღარ შეშვენის.

ცოტა ქვევით ავტორები ლაპარაკობენ „ქართულ მწერლობაზე ფეოდალურ ხანაში“. აქაც ავტორებს, ვფიქრობთ უყურადღებობით, ზოგიერთი ცნობების არევა შეპარვიათ. არეულია ერთმანეთში ფეოდალიზმის ეპოქა და სავაჭრო კაპიტალის ეპოქა, ამ ეპოქების მეურნეობა და მათი სახე. მაგ., შეუძლებელია ითქვა ფეოდალიზმის ეპოქაში კლასთა „დამოკიდებულება კლასთა შორის მარტივია: ბატონი და ყმა ეკონომიურად ერთმანეთისაგან **დიდათ არ განსხვავდებიან.** (ხაზი ჩვენია. თ. ბ.) შემდეგ ვითარდება მეურნეობა (როგორი? აქამდის არ იყო? თ. ბ.) მეურნეობის განვითარებას თან დაჰყვა ზედმეტ ღირებულებათა შექმნა“... და სხვ. ასე არავინ ახასიათებს ნატურალური მეურნეობის ხანას. ნატურალურ მეურნეობის ხანაში არც აღებ-მიცემობა და ვაჭრობაა იმდენად განვითარებული, რომ ავტორებს შეეძლოთ ეთქვათ: „გლეხობა იძულებული გახდა თავისი ლუკმა პური გაეტანა ბაზარზე, რაც იახევარ ფასად ხელში უვარდებოდა ვაჭარს. ამგვარად, გლეხს ჰყვლეფს ერთი მხრივ მემამულე და მეორე მხრივ ვაჭარი“. ასეთ საკითხებზე მსჯელობას უფრო მეტი მეცნიერული სისწორე სჭირდება.

წიგნში გარჩეულია „ვეფხის ტყაოსანი“. ვეფხის ტყაოსანზე მსჯელობას საკმაო დაკვირვება სჭირია. ეს ეპოქალური ნაწარმოებია და მკვლევარი სიფრთხილით უნდა მოეპყრას მას. ამიტომ ავტორები ზოგიერთ შეცდომებს ვერ ასცდენ. პოემის შინაარსი ვერ არის სწორედ გადმოცემული. მაგალითისათვის შემდეგი დავასახელოთ: „ტარიელს ძმობილიც ჰყავდა, ფრიდონი, მულღაზანზარის მეფე, რომლისათვისაც თავის ბიძაშვილებს **წაერთმიათ სამეფო** (გვონი ტექსტში ასე არ უნდა იყოს! თ. ბ.) ტარიელი დახმარებია ფრიდონს და ისევ **გაუმეფებია.** ან კიდევ შემდეგი: „ავთანდილმა გაიგო რომ გულანშაროს ქალაქში **ლამაზ** ქალებს ჰყიდდენ“ (გვონი არც ეს ალაგი უნდა იყოს ტექსტში. თ. ბ.) ასეთი ეპიზოდები ვეფხის ტყაოსანის დღემდის ცნობილმა არც ერთმა ვარიანტმა არ იცის.

გარდა ამისა ავტორებს მოჰყავთ და არჩევენ ისეთ ტაეპებს, რომლებიც ყველას მიერ ყალბად არის აღიარებული. თუ წინააღმდეგ მკვლევართა აზრისა, ავტორებს ჰგონიათ, რომ ეს ტაეპი არ არის ინტერპოლაცია, არამედ საკუთრად ვეფხის ტყაოსანის ავტორისაა, მაშინ ამ აზრის დასაბუთება იყო საჭირო.

პოემის ავტორის ვინაობის გამოსარკვევად მოყვანა ლეგენდის „თქმულება შოთა რუსთაველზე“ შეუძლებელია, რადგან ლეგენდა იმის ლეგენდაა, რომ ისტორიულ სინამდვილეს არ შეიცავს.

დანარჩენი მასალა როგორც მაგ. ქართული ენა და მისი განვითარება, ქართული ანბანი და მისი ისტორია, პირველი ქართული ლიტერატურული ძეგლები და სხვ. იმდენად მოკლედ არის გადმოცემული, რომ წიგნს უფრო კონსპექტის ხასიათი აქვს. იგი მართლაც კონსპექტად შეიძლება ჩაითვალოს. რომ შიგ ყოველ საკითხზე მართლაც კონსპექტიურად ამომწურავი მასალა იყოს მოცემული.

თედო. ბეგიაშვილი.

რადიო-გადაცემა

ხუთშაბათი, 1 დეკემბერი

დღეს რადიო-მსმენელთა დასასვენებელი დღეა. რადიო-გადაცემა არ იქნება.

პარასკევი, 2 დეკემბერი

2 დეკემბერს საქართველოს პროფკავშირთა საბჭოსთან არსებული რადიო-სტუდიიდან გადაცემული იქნება:

კომკავშირის გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“—ქართულ ენაზე.

საუბარი ბიოლოგიაზე—რუსულ ენაზე.

ყელმჭირება და ხუნაგი და მათთან ბრძოლა—თურქულ ენაზე.

ობსერვატორიის ამოცანები და მიზნები—ქართულ ენაზე.

საკავშირო სასოფლო აღწერა—ქართულ ენაზე.

„ობსერვატორიის“ ცნობა.

მუსიკის ახსნა-განმარტება.

კონცერტის ტრანსლიაცია.

ტექნიკური კონსულტაცია.

ა. ქ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—ქართულ და რუსულ ენებზე.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშახელზე

დღეს, ხუთშაბათს, შრომის ბირჟა სამუშაოზე [illegible] [illegible] პირველი ხარისხის: დავით [illegible] ჩახარულიძეს (ფეხსაცმელის გამომჭრელი) და ოგანეზ მიკირტუმის ძე სრაპიონს (იმავე სამუშაოზე).

ახალგაზრდათა სექციაში

შრომის ბირჟის კომიტეტმა ახალგაზრდობაში უმუშევრობის ლიკვიდაციის მიზნით, გადასწყვიტა მოაწყოს ქაღალდის პარკების დამამზადებელი კოლექტივი.

7.000 მანეთი უმუშევართა კოლექტივისათვის

ყუთების დამამზადებელ კოლექტივის მოსაწყობათ ბირჟამ გაიღო 7000 მანეთი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) ლენრაიკომი აუწყებს, რომ პარასკევს, 2 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, მე-5-თე პროფსკოლის შენობაში (პლეხანოვის პროსპ. 166), შესდგება ლენრაიონის განათლების მუშაკთა აქ-24-ხე კომუჯრედის დახურული კრება.

საქ. კომპარტიის (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისია სთხოვს ამხ. ვასილ ბესარიონის ძე სიორიძეს გამოცხადდეს ცენტრ. საკონტ. კომისიაში (რუსთაველის პროსპ. 24, მესამე სართული, ოთახი № 12), დღეს, 1 დეკემბერს, დილის 9 საათზე.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. საკონტრ. კომისია სთხოვს ამხ. სერგო პორობოვს, ვასილ დონაძეს, გრიგოლ დენიაძეს, იონა ჯავახიას და ქსენია ცინცაძეს გამოცხადდენ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიაში (რუსთაველის პროსპ. 24, მესამე სართული ოთახი № 11), დღეს, 1 დეკემბერს, დილის 10 საათზე.

სახ. უნივ. სოც. ეკონ. ფაკულტეტთან არსებული კომ. უჯრედის ბიურო აცნობებს თავის უჯრედის ყველა წევრთა და კანდიდატთა საყურადღებოთ, რომ დღეს, 1 დეკემბერს, საღამოს სრულ ხუთ საათზე, მოწვეულია უჯრედის კრება. დღის წესრიგი: ბიუროს გადარჩევა და ანკეტების განხილვა.

დასწრება სავალდებულოა.

სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ ა. ლ. კ. კ. გაერთიანებულ უჯრედთა ბიურო-კოლექტივი აცხადებს, რომ დღეს, ხუთშაბათს, საღამოს სრულ 6 საათზე, შესდგება უჯრედთა გაერთიანებული დახურული კრება. წევრთა და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლათ. კრებაზე დაშვებული იქნებიან მხოლოდ უნივერსიტეტის უჯრედთა წევრები.

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ანტონი იგნატესძე თვალთვაძე, ქალიშვილი ფატმანი და სიძე ნიკოლოზი ფარაფონოვი აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ქ. ქუთაისში გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

ელისაბედ ბეკოს ასული თვალთვაძისა

დაკრძალვა დღეს, 1 დეკემბერს, ქალ. ქუთაისში, საფიჩხიის სასაფლაოზე. 633

ეკატერინე ივანეს ასული შენგელაია შვილებით: ელენე ყანჩელისა, გიორგი, ალექსანდრე, ნიკოლოზი და დავითი შენგელაიები აუწყებენ მახლობლებს ძვირფასი დეიდის

ელისაბედ ბეკოს ასული თვალთვაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ქუთაისში 1 დეკემბერს, საფიჩხიის სასაფლაოზე. 633

კომუნისტი

ხელისმოწერა მიიღება

თბილისში—მთავარ კანტორაში, რუსთაველის პროსპ. 34

პროვინციაში

1. ხაშურში—კონტრაგენტ ვალოდია კარხანიძესთან.
2. ჭიათურაში—კონტრაგენტ გ. გოგელიასთან—მთელი შორაპნის მაზრისთვის.
3. ქუთაისი—კონტრაგენტ მ. ტყაბლაძესთან—ქუთაისის და ახლო მდებარე რაიონებ.
4. სამტრედია—კონტრაგენტ ვლ. გოგელიასთან—სამტრედია და ახლო მდებ. რაიონ.
5. სენაკი—კონტრაგენტ ეხბუასთან—ქ. სენაკი და ახლო მდებარე რაიონისთვის.
6. აბაშა—კონტრაგენტ მიქაძესთან—დ. აბაშა და ახლო მდებარე რაიონისთვის.
7. ფოთი—ფოსტა-ტელეგ. კანტორაში.
8. ბათომი—ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში მთელი აჭარისტანისთვის
9. ზესტაფონი, ჩხარი, სვირი, აჯამეთი. ათ. ცხომელიძესთან.
10. დიდი ჯიხაიში—წიგნის მაღაზიაში გიორგი ბიბილეიშვილთან.
11. ოზურგეთი—კონტრაგენტ პოლ. ინწკირველთან—მთელი ოზურგეთის მაზრისათ.
12. თელავი—კონტრაგენტ რევაზოვთან—მთელი თელავის მაზრისათვის.
13. გორი—მაისურაძესთან.
14. სურამი—მჟავანაძესთან.
15. სიღნაღი—კონტრაგენტ ა. მდივანოვთან—სიღნაღის მაზრისათვის.
16. ზუგდიდში—პოლიტგანის კიოსკში—კილასონიასთან.
17. სოხუმში—ფოსტა-ტელეგ. კანტორაში
18. ველისციხის და გურჯაანის რაიონში—კონტრაგენტ შიშნიაშვილი ესტატე
19. ბორჯომ-ბალი—მაჭავარია
20. ნავთლუღი—კიოსკი.
21. ხონი—გალდავაძესთან.

და სპეციალურ რწმუნებულების საშუალებით, რომლებიც აღჭურვილი არიან კანტორის სათანადო მოწმობებით

0—1

„კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა

სახელმწიფო ოპერა

დღეს, ხუთშაბათს, 1 დეკემბერს სამსონ და დალილა
მონაწ. რეხეზოვა, აგრანოვსკი, ქარცივაძე, ლუბენცოვი.
დირიჟორი—სახ. არტისტი ი. ფალიაშვილი.

პარასკევს, 2 დეკემბერს, პრემიერა ლეილა
ქართული ორიგინალური ოპერა

შაბათს, 3 დეკემბერს, სადკო.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ნ. 289 1—1

აპოლო
სოლეი
არფასტო
დარბაზი

სახ. კინემატოგრაფიის თეატრები

ემილ იანინგსი შეუდარებელ სურათში
„კაცი და ლივრეა“

ყოველდღიური ანშლაგები. დადგმის მეორე კვირა.
გრანდიოზული სურათი
„პოეტი და მეფე“
რეჟ. ვ. გარდინი.

ამერიკის ტრიუკებიანი კინო-რომანი
„კოვბოი ბუკ-რაველის თავგადასავალი“.

0—22 ნ.

ცირკი „კოლოს“
ტელ. 16—67

ხუთშაბათს 1-ს და პარასკევს, 2 დეკემბერს,
მსოფლიო გენიოსის ევროპის სახელგანთქმულ გიპნოტიზიორის !!ტო-რამა!!
და მისი მხეცების ლომის, ძუ-ლომის, არწივების, მგლის და სხვ. ცხოველების პირველი გამოსვლა. დასაწყისი 8½ საათზე.
მონაწ. მთელი დასი, ყველა გასტროლიორები, ყველა ატრაქციონები.

ნ. 290 2—1 დირექცია ი. ზ. კუდრიავცევი. რწმუნებ. კ. გროდზინსკი. ადმინისტრატ. მ. ტადე.

კინო „აპოლო“-ში
დღეს, და ყოველდღე

ემილ იანინგსი
შეუდარებელ სურათში
კაცი და ლივრეა
რეჟისორი მურნაუ.

ნ. 291

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი
გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 5 დეკემბერს 1927 წ. დღის 2 საათზე სახლში № 17 პუშკინის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოსეს ანტონიანის მოძრავ ქონებას: საყიულეებს, საწოლებს და სხვ. შეფასებულს 280 მანეთად, ავეტის მიქაელიანის და სხვების ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 25 ოქტომბრის 1927 წ. თარიღით, № 3586 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 293

ვინაიდან მომავალ ზამთარში მოსალოდნელია ყინვები, წყალსადენის ყველა აბონენტებს (სახლის პატრონებს) მოვაგონებთ, რომ თანახმად არსებული წესისა მათ ევალებათ წყალსაზომების ყინვებისაგან დაცვას მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება, რისთვისაც საჭიროა:

შეაკეთონ წყალსაზომების ქის ხუფები და მუდამ დახურული იქონიონ.

2. შეახვიონ მილები და გვერდებიდან წყალსაზომი ერთიანი მაუდით ან რაიმე თბილეულით და ზევიდან საზომის ხუფსაც დააფარონ ცალკე თბილი ნაჭერი, რომ ჩვენების აღების დროს შეიძლებოდეს მისი ახდა.

3. ღამ-ღამობით, დიდი ყინვის დროს, საზომის წინ დაკეტონ ბოჯი და დამხარჯი ბოჯის საშუალებით შტოდან გამოუშვან წყალი.

ამ საკითხის გარშემო ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლიან მიიღოს რჩევა-დარიგება წყალსადენის ტეხნიკურ ნაწილში და აგრეთვე ადგილობრივ რაიკონტროლიორისაგან რაიონში ჩამოსვლის დროს.

წყალსადენი ამითვე მოაგონებს ყველას, რომ იმ სახლებში, სადაც ყინვისაგან წყალსაზომები და არმატურა გაიბზარებიან, აბონენტ-სახლის პატრონებს გადახდებათ სრული ღირებულების საფასური და ამის შესახებ აღძრული რაიმე დავა არ იქნება განხილული.

ნ. 276 3—1 წყალსადენის დირექცია

მიხეილ ბედევანიშვილის სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით მკურნალობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყოლანოვის ქ., № 20 1—25

ექიმი მეგრაბიანცი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.

ფილტვების, ჭლექის და გულის სნეულებანი

ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში

სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა

ხელოვნური მთის მზე. იონტოთერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ. ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ. 2—5

სახელმწიფო უნივერსიტეტის
სტომატოლოგიურ
(კბილის სნეულებათა)
კლინიკაში

ავადმყოფების მიღება 1 ნოემბრიდან იწარმოებს
დილით 8—12 საათამდე
საღამ. 4— 6 საათამდე
საღამოობით რჩევა-დარიგება უფასოა, მკურნალობა დაკლებულ ფასებში
კლინიკასთან არსებობს რენტგენის კაბინეტი. მისამართი: პლეხანოვის გამზირი 126, ტელეფ. 25—34.

ფიზიკურ მეთოდებით მკურნალობის
ინსტიტუტში
ორჯონიკიძის ქუჩა (ყოფ. ანდრეევის) № 30. ტელეფ. 10—90
მიიღება ფასიანი ავადმყოფები

წყლით, ელექტრონით, სინათლით, რადიუმით, რენტგენით, ფინზენით და სხ. სამკურნალო კაბინეტებში. ავადმყოფების გასინჯვა სპეციალისტების მიერ, განსაკუთრებულ საათებში დღის 1-დან 3-მდე.

ყველა ცნობები მიიღება ინსტიტუტის რეგისტრატურაში

ინსტიტუტის დირექტორი მ. ზანდუკელი

25—1 ქვ. 288

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი
გ. კ. ჯინჭველაშვილი

ამით აცხადებს, რომ ის ა/წ. 7 დეკემბერს დღის 2 საათზე სახლში № 167 ელისაბედის (კლარა ცეტკინის) ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. სიმონ აბაშიძის უძრავ ქონებას—სამ სართულიან, თუნუქით დახურულ, ქვით და აგურით ნაშენ სახლს, რომელიც შესდგება 45 საცხოვრებელი ბინით, (აქედან 5 ოთახი ეკუთვნის მოქ. დევდარიანს, რომელიც არ გაიყიდება) 10 სამზარეულოთი და 15 სარდაფით შეფასებულს 1.500 მანეთად, მოქ. მოქ. კოტაშვილის, მირიანაშვილის და სხვათა ვალების დასაკმაყოფილებლად, თანახმად თბილისის შრომის სასამართლოსაგან 4 დეკემბრის 1926 წლ. და 25 ოქტომბრის 1927 წლ. თარიღით 3838 და 3585 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლებისა. ვაჭრობა ჩატარდება ს.ს. კოდექსის 311 და 312 მუხლების დაცვით. ნ. 294

ქ. თბილისის შრომის სასამართ. აღმასრულებელი
გ. კ. ჯინჭველაშვილი

ამით აცხადებს, რომ ის 3 დეკემბერს 1927 წ. დღის 1 საათზე სახლში № 64 (სახკვ. კავშ. 2 რაიადგილკომის ბინაში) პლეხანოვის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. იობაშვილის მოძრავ ქონებას: ვენის სკამებს, სტოლსაფრებს და სხვა... შეფასებულს 200 მანეთად, სახკვების კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. ტფილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 11 ნოემბრის 1927 წ. თარიღით, № 3786 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 292

მედიც. დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ვენერიული ავადმყოფობანი და სიფილისი.
დილით 9—12 ს., საღამ. 6—8. საათ. პლეხანოვის პროსპექტი № 7, (შესავალი კუთხიდან ნარიყალის ქ. № 1)

ექიმი კ. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სისივნე, ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები
ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნ.ხ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე დილ. 11—12 საათამდე და საღ. 7—8 საათამდე

ექიმი
ი. დ. თოფურიძე
მოსკოვის ქუჩა № 7
იღებს ავადმყოფებს (კანის, ვენერიული და სიფილისით) დაავადებულებს, აგრეთვე სასქესო ორგანოთა დაავადებით მკურნალობა გ მოწვეული მწვავე და ქრონიკული გონორეით
მიღება საღამოს 5—8 საათამდის
ნ. 25—1

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის მკურნალობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთი 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, № 3, 25-

თმის მკურნალობა
და
სამკურნალო კოსმეტიკა
ელექტრო-სინათლით მკურნალობის კაბინეტი.
ი. გ. კ. ნეფოროვიჩი
იღებს 11-დან 3-დე და 6-დან 8-დე.
კოსმეტიური მასაჟი და პირისახის მკურნალობა უცხოეთის უახლეს მეთოდებით.
საბა-სულხანის ქ. № 1 (ყ. ფრეილინისა) 25—1

თვალის საავადმყოფო
მუდმივ საწოლებით და ამბულატორიით ღებულობენ ექიმები:
ა. ნ. ზატილოვი
საოპერაციო დღეებში
ა. გ. მალაევი
დილით 8 9 საათ. საღამოთი 6—7ს.
სტაციონალური ავადმყოფების მიღება ყოველ დროს. კლარა ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 47, ტელეფონი № 5—90. 1—25

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი სნეულებანი. სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს სანაპირო ქუჩა (ყოფ. ნაბერეჟნაია) № 7 ვერის ხიდთან. ტელ. № 15 02

ექიმი
ვლ. ა. თოხაძე
გადავიდა ალექსანდროვის ქუჩიდან ბესიკის (ყოფ. დავიდოვის) ქ. № 20.
ღებულობს ავადმყოფ ბავშვებს ყოველ დღე საღ. 5—7 საათამდე

ექიმი
ს. ი. ვოლოხი
ქალთა სნეულება და მეანობა. მიღება საღამოს 5—7 ს.-დე ყოველდღე (გარდა ხუთშაბათისა), ბელგიის ქ. № 5 მთავარ საავადმყოფოს (ყოფ. მიხეილის) მახლობლათ. 5—

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ „ჩოდრიშვილის“ შესახვევი ყოფ. პლეხანოვის შესახვევი) № 8.
25—13

დუქანზე ხელშეკრულება, დადებული პ. ფულიდთან ქარხნის იჯარით აღების შესახებ, ჩაითვალოს გაუქმებულად ბ. ტოროიანი. 630

დაიკარგა პირადი წიგნაკი ფ. № 4, № 13 გაცემული ნოქალაქევის სამხედრო მაგიდისაგან ერასტი კინტირიაძე ძაძიას სახელზე, ჩ. გ. 632

დაიკარგა მედსანშრომის კავშირის საწევრო წიგნაკი № 151 აბრამენა თოფურიას სახელზე, ჩ. გ. 632

დაიკარგა პირადი წიგნაკი ფ. № 4, გაცემული ნაქალაქევის რაისამხედრო მაგიდიდან № 12 ბაგრატი ლუკასძე ჯოჯუას სახელზე, ჩ. გ. 625

დაიკარგა სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი № 445, ფ. № 4 მოცემული ქ. [illegible] სამხედრო მაგიდიდან გიორგი კვეკაძეს სახელზე, ჩ. გ. 627

დაიკარგა მაზრიდან მიღებული წლოვანობის მოწმობა ელენე მაისურაძის სახელზე, ჩ. გ. 626

დაიკარგა მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 6206 სპირიდონ მამარდაშვილის სახელზე, ჩ. გ. 628

დაიკარგა „ზაქტპოს“ მაღაზიიდან საქონლის გასატანი წიგნაკი № 5766 იოსებ ავალიშვილის სახელზე, ჩ. გ. 629

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 86 ალექსანდრე ზ. ლაბაძის სახელზე, ჩ. გ. 631

პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქ. № 68